გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის

2020 წლის

საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციაზე წარმოდგენილი

ნაშრომების კრებული

საერთაშორისო სტუდენტური კვლევითი კონფერენცია 2020

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სახელი	სოფიკო
გვარი	ფუტკარაძე
უნივერსიტეტი	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ბათუმის წარმომადგენლობა
ფაკულტეტი	სამართალი
კურსი	მე-4
ხელმძღვანელი	სამართლის დოქტორი. ასოც. პროფესორი ქეთევან კუხიანიძე
ქალაქი,ქვეყანა	ბათუმი, საქართველო

შრომის უსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში

ანოტაცია

შესავალი და მიზანი : დღესდღეობით როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში მწვავედ დგას შრომის უსაფრთხოების პრობლემა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთი ქვეყნის კანონმდებლობაში დანერგონ რიგი ნორმები, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების დაცვას. კვლევის მიზანია შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია: ნაშრომში გამოყენებულია ლოგიკური და შედარებითი სამართლებრივი მეთოდები.

შესავალი

შრომის უფლება არის ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური და სოციალური უფლება. მას იცავს არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი. შრომა უზრუნველყოფს ადამიანის პიროვნულ განვითარებას, კეთილდღეობასა და ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნას. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მიხედვით შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით.[1] აქედან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებას იღებს დაიცვას თითოეული დასაქმებული ადამიანი მავნე ზემოქმედებისაგან.

1. შრომის უსაფრთხოების სტანდარტები და ინსპექციის მანდატი

2019 წლის 1 სექტემბრიდან „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის რიგი ნორმები ამოქმედდა. შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონის მიხედვით ყველა ტიპის დამსაქმებელს აქვს ვალდებულება, შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული პრობლემების საპასუხოდ, მოიწვიოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ამავე კანონის მიხედვით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს გავლილი უნდა ჰქონდეს კანონით გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა.[2] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დრომდე არსებული აკრედიტირებული პროგრამები არ არის სტანდარტიზებული და შესაბამისად ვერ იძლევა შრომის უსაფრთხოებისთვის გათვალისწინებულ სათანადო

---

[1] .საქართველოს კონსტიტუცია. 1995. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995

[2] საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ . 2019. საქართველოს პარლამენტი. 4283-IIს.

ცოდნასა და კვალიფიკაციის გარანტირებულ უზრუნველყოფას. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს შესაბამისი აკრედიტირებული პროგრამები, რომელიც იქნება სტანდარტიზირებული და მისცემს დაინტერესებულ პირს სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას. მნიშვნელოვნად გაფართოვდა შრომის ინსპექციის მანდატი თუმცა ინსპექციის მანდატი არ ეხება შრომითი უფლებების ნაწილს. არ ხდება შრომის ინსპექციის მიერ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომის ხელშეკრულების შემოწმება და განსაზღვრა თუ რამდენად პასუხობს ის კანონით დადგენილს.

მიგვაჩნია, რომ უნდა გაფართოვდეს შრომის ინსპექციის მანდატი და კანონში უნდა მოხდეს რიგი ნორმების ცვლილება.

შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-16 მუხლის მე-6 ნაწილის ბ)ქვეპუნქტს უნდა დაემატოს დამატებით ერთი ქვეპუნქტი კერძოდ ბ.ბ)ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

6. ზედამხედველი ორგანო უფლებამოსილია:

ბ.ბ) შეამოწმოს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება და განსაზღვროს თუ რამდენად პასუხობს ის კანონით დადგენილს. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიმუშაოს და გასცეს რეკომენდაციები.

2. შრომის უსაფრთხოების საკითხები საზღვარგარეთის ქვეყნებში

საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე შეგვიძლია გავაანალიზოთ, თუ რა უფლებამოსილება გააჩნია შრომის ინსპექციას გარდა საწარმო-დაწესებულების შემოწმებისა და დაჯარიმებისა.

2.1 ბელგია

ბელგიაში შრომითი ინსპექცია დაყოფილია კომპეტენციების ორ მთავარ დარგად: სოციალური კანონების კონტროლი და სამსახურებრივი კეთილდღეობის

კონტროლი. პირველი მათგანი ამოწმებს დასაქმებულსა დამსაქმებელს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების კანონთან შესაბამისობას. ეს მოიცავს ანაზღაურებას, შვებულებას, სამუშაო საათებსა და სხვ.[3]

2.2 საბერძნეთი

საბერძნეთის შრომის ინსპექციის სახელმწიფო სამსახური და რეგიონალური ინსპექციის ოფისები ამოწმებენ სამუშაოების ზოგად პირობებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ იურიდიული ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, ინსპექციის ოფისები ამოწმებენ კოლექტიური ხელშეკრულებების შერჩეულ ნაწილებსა და კომპანიების შინაგანაწესთან შესაბამისობას შრომის კოდექსის შესაბამისად.[4]

2.3 ლატვია

ლატვიის შრომის ინსპექტორები პასუხისმგებელნი არიან შრომის კანონმდებლობის აღსრულებას, რომელიც ეხება ზოგად სამუშაო პირობებს, (ანაზღაურების წესი და რაოდენობა, შვებულება და სხვ), სამუშაო უსაფრთხოებას და ჯანმრთელობას. აგრეთვე ინდივიდუალურ შრომითი ხელშეკრულებებით ან/და კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ნებისმიერ ვალდებულებას[5].

3.სტატისტიკა

გამოქვეყნდა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-ის 2020 წლის ანგარიში. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ 2019 წლის იანვარ-ოქტომბრის განმავლობაში სამუშაოს შესრულებისას საქართველოში 36 მუშა

---

[3] International Labour Organization. Belgium.

https://www.ilo.org/labadmin/info/WCMS_150912/lang--en/index.htm ბოლო ნახვა (10.03.2020)

[4] International Labour Organization. Greece. 2009.
https://www.ilo.org/labadmin/info/WCMS_115425/lang--en/index.htm ბოლო ნახვა (11.03.2020)

[5] International Labour Organization. Latvia. https://www.ilo.org/labadmin/info/WCMS_209359/lang--en/index.htm ბოლო ნახვა (11.03.2020)

დაიღუპა და 107 დაშავდა არასაკმარისი რეგულირების გამო. როგორც Human Rights Watch-ი აცხადებს, მშრომელთა უფლებები და უსაფრთხოება რისკის ქვეშაა. ორგანიზაციის რეკომენდაციაა, ქვეყანაში სამუშაო საათების რეგულირება განხორციელდეს.[6]

4.ინტერვიუ დასაქმებულებთან

ჩვენს მიერ გამოკითხული იქნა კომპანიის „ ელთ ბილდინგის (Elt Building)“ ორი დასაქმებული. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი წინასწარი ტრენინგის გარეშე მოხდა მათი დასაქმება კონკრეტულ სამუშაო პოზიციაზე. ორივე დასაქმებული ახდენს ე.წ ბლოკის/აგურის წყობას. თითოეული დასაქმებული გამოკითხული იქნა ინდივიდუალურად. მათ დავუსვით კითხვები შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებზე, სავალდებულო ტრენინგსა და დამცავ ინვენტარზე. ორივე დასაქმებული ვერ ასახელებს რა სახის სტანდარტზეა საუბარი. ერთ-ერთი დასაქმებული აცხადებს, რომ არ გაუვლია შესაბამისი ტრენინგი და ისე მოხდა მისი დასაქმება. ხოლო მეორე დასაქმებული აღნიშნავს, რომ წინასწარი ტრენინგის გავლა მისთვის საჭირო არ იყო. ამასთანავე დასაქმებულების განმარტებით მათი სამუშაო პოზიცია არ საჭიროებს დამცავი ინვენტარით აღჭურვას.[7] დასაქმებულების გამოკითხვა ცხადჰყოფს, რომ ხარვეზები კვალავ არსებობს შრომის უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, რაც საჭიროებს შესაბამისი მექანიზმების დანერგვას. (იხ. დანართი 1)

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შრომის უსაფრთხოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხია ნებისმიერი სახელმწიფოსათვის და მათ შორის საქართველოსთვის. მიგვაჩნია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში უნდა მოხდეს რიგი ნორმების დანერგვა, რომელიც გააფართოვებს შრომის

[6] Business Media Georgia. 2019/2020. https://bm.ge/ka/video/shromis-inspeqtireba-20192020/16571 (ბოლო ნახვა (11.03.2020)

[7] ინტერვიუ დასაქმებულებთან (იხ.დანართი 1)

ინსპექციის მანდატს და უზრუნველყოფს შრომითი უფლებების დაცვას უკანონო ხელყოფისაგან. ასვე მიგვაჩნია, რომ საქართველოს კანონმდებლობის შერწყმა, განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასთან ხელშეუწყობს შრომის უფლებების, როგორც მატერიალურ ასევე ინსტიტუციური მექანიზმების შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების მაქსიმალურ დაცვას.

გამოყენებული წყაროები

1.საქართველოს კონსტიტუცია. 1995. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995

2.საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ . 2019. საქართველოს პარლამენტი. 4283-IIს.

3.International Labour Organization. Belgium. https://www.ilo.org/labadmin/info/WCMS_150912/lang--en/index.htm ბოლო ნახვა (10.03.2020)

4. International Labour Organization. Greece. 2009. https://www.ilo.org/labadmin/info/WCMS_115425/lang--en/index.htm ბოლო ნახვა (11.03.2020)

5. International Labour Organization. Latvia. https://www.ilo.org/labadmin/info/WCMS_209359/lang--en/index.htm ბოლო ნახვა (11.03.2020)

6. Business Media Georgia. 2019/2020. https://bm.ge/ka/video/shromis-inspeqtireba-20192020/16571 (ბოლო ნახვა (11.03.2020)

დანართი 1.

ინტერვიუ დასაქმებულებთან.

გამარჯობა!

-თქვენი სახელი და გვარი?

-ბაჩუკი ხოზრევანიძე

-თქვენი ასაკი?

- 24 წლის

-სად მუშაობთ? რა პოზიციაზე?

-ბათუმში, კერძედ კომპანია ელთ ბილდინგში (Elt Building). ვახდენ ბლოკის/აგურის წყობას.

-რამდენი ხანია რაც დასაქმებული ხართ აღნიშნულ პოზიციაზე?

- 2 თვეა.

-როგორ ფიქრობთ დაცულია თუ არა თქვენი სამუშაო გარემო შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა სტანდარტებით? დადებითი პასუხის შემთხვევაში შეფიძლიათ დამისახელოთ რა სტანდარტები იცით?

-არ არის დაცული. ვერ დაგისახელებთ.

-სამუშაოს დაწყებამდე გაიარეთ თუ არა შესაბამისი ტრენინგი?

-არა, არ გამივლია.

-ხართ თუ არა სამუშაოს შესრულების დროს აღჭურვილი დამცავი ინვენტარით და რამდენად ეფექტურია ის?

-არა, არ არის საჭირო ჩემს სამუშაო პოზიციაზე დამცავი ინვენტარი.

-თქვენი სახელი და გვარი?

-კახა ფუტკარაძე

-თქვენი ასაკი?

- 25 წლის

-სად მუშაობთ? რა პოზიციაზე?

-ბათუმში, კომპანია ელთ ბილდინგში (Elt Building). ვახდენ ბლოკის/აგურის წყობას, კედლების ამოყვანას

-რამდენი ხანია რაც დასაქმებული ხართ აღნიშნულ პოზიციაზე?

- 1 წელი და 6 თვეა.

-როგორ ფიქრობთ დაცულია თუ არა თქვენი სამუშაო გარემო შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა სტანდარტებით? დადებითი პასუხის შემთხვევაში შეფიძლიათ დამისახელოთ რა სტანდარტები იცით?

-რა თქმა უნდა დაცულია. ვერ დაგისახელებთ.

-სამუშაოს დაწყებამდე გაიარეთ თუ არა შესაბამისი ტრენინგი?

-არა, არ გამივლია რადგან ჩემი სამუშაო პოზიცია არ საჭიროებს ტრენინგს.

-ხართ თუ არა სამუშაოს შესრულების დროს აღჭურვილი დამცავი ინვენტარით და რამდენად ეფექტურია ის?

-არა, არ არის საჭირო ჩემს სამუშაო პოზიციაზე დამცავი ინვენტარი.

საერთაშორისო სტუდენტური კვლევითი კონფერენცია 2020[1]

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სახელები:	ხატია ხაბაშვილი და ხატია მიკირტიჩანი
გვარები:	
უნივერსიტეტი:	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ფაკულტეტი:	სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
კურსი:	მე-2
ქალაქი, ქვეყანა:	გორი, საქართველო

კვლევის სათაური

აღდგენითი მართლმსაჯულების როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში

შესავალი

საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციის დანერგვა 2010 წელს დაიწყო, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებების საფუძველზე ამოქმედდა განრიდებისა და მედიაციის პროგამა. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა საქართველოში ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით დაინერგა. 2010 წლიდან დღემდე აღნიშნული პროგრამა საკმაოდ აქტუალურ საკითხად იქცა, რადგან მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება განსხვავებულია. საზოგადოების ნაწილი დადებითად აფასებს აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომებს, ხოლო მეორე ნაწილი ამ პროგრამის ხარვეზებზე საუბრობს. მიუხედავად საკითხის აქტუალურობისა, საზოგადოების

[1] ნაშრომის გვერდების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 5 გვერდს (შრიფტი: Sylfaen; შრიფტის ზომა 12; ხაზებს შორის დაშორება 1.5)

ნაწილ არ არის ინფორმირებული აღნიშნული პროგრამის არსთან დაკავშრებით, არ იცის რატომ არის ის მნიშვნელოვანი და არის თუ არა განსხვავება აღდგენით მართლმსაჯულებასა და დანაშაულის წახალისებას შორის.

კვლევის საგანი: აღნიშნული ნაშრმის კვლევის საგანს წარმოადგენს აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამის როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში.

კვლევის მიზანია: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ანალიზის საფუძველზე დადგინდეს საქართველოს კანონმდებლობაში არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეები, გამოვლენილი იქნეს პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და შემუშავებულ იქნეს მათი აღმოფხვრის მექანიზმები. ამასთანავე დადგინდეს აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამის როლი და მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდოლოგია ემყარება შემდეგი სახის ინსტრუმენტებს: 1.(ტრადიციული) სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების შედარებითი ანალიზი. 2.საჯარო ინფორმაციის ანალიზი. 3. სოციოლოგიური კვლევა

1. აღდგენითი მართლმსაჯულების ცნება და მისი შედარებითი ანალიზი (ტრადიციული) სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან

აღდგენითი მართლმსაჯულება არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია მართლმსაჯულების განხორციელებასა და დანაშაულით გამოწვეული ზიანის აღდგენაზე

(ბაზემორ & ვოლგრეივ, 1999)

,,აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება შეიძლება მოიცავდეს არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვას, მის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულებას ან/და სხვა პროგრამას, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის

შედეგების გამოსწორებას." [2] თუმცა აღდგენითი მართლმსაჯულება არის უფრო ფართო, მრავლისმომცველი კონცეფცია. მასში მოიაზრება ბევრად მეტი ვიდრე მედიაციის ცნება და პრაქტიკა. იგი გულისხმობს დანაშაულის ფენომენისა და დანაშაულზე ჩვენი რეაგირებისადმი ზოგად მიდგომას, ხოლო მედიაცია არის ერთ-ერთი პრაქტიკული მეთოდი და ინსტრუმენტი აღდგენიითი მართლმსაჯულების ზოგადი ფილოსოფიის პრაქტიკაში განსახორციელებლად.[3]

2. განრიდება/მედიაციის პრაქტიკის შესწავლა

განრიდების პროგრამები 21 წლამდე ასაკის პირებისთვის წარმოადგენს ერთ შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ, განაგრძოს ცხოვრება ნასამართლეობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება და გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისაკენ.

განრიდება და მედიაცია ეყრდნობა აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს დამზარალებლისა და დაზარალებულის ინტერესებს, მიმართულია დანაშაულის პრევენციაზე და ზრუნავს საზოგადოების ინტერესების, როგორც მთლიანობის, გაჯანსაღებაზე. ,, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში, განიხილება განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას."[4] აქედან გამომდინარე, არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი უპირატესობას ანიჭებს არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და შემდგომი დანაშაულის პრევენციაზე და ამისათვის ოპტიმალურ საშუალებას სწორედ აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება წარმოადგენს.

---

[2] იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 44. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=14> [03.14.2020]

[3] იხ. *ერცენი.ი, ჯავახიშვილი.ჯ, ჯავახიშვილი.ლ,* აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, 2020. 22

[4] იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. 2015 წლის 24 ივნისი.

სსიპ ,,დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო, სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო" განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტი აქვეყნებს განრიდების პროგრამის (განრიდების/მედიაციის) 2019 წლის ანგარიშს. რომლის მიხედვითაც 2019 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 997 პირი, აქედან 437 პირი არასრულწლოვანი (14-18 წლამდე) და 360 სრულწლოვანი (18-21 წლამდე). აქედან 408 პირის მიმართ გამოყენებული იქნა მედიაცია და შედგა 328 მედიაციის საერთო შეხვედრა. 2010 წლიდან 2019 წლის ჩათვლით საერთო ჯამში განრიდებულ იქნა 4430, 21 წლის ასაკამდე პირი. (2019 წლის განრიდების პროგრამასთან დაკავშირებული დეტალური სტატისტიკური მონაცემები იხილეთ დანართი 1 და 2).

3. საჯარო ინფორმაციისა და სოციოლოგიური კვლევის ანალიზი

კვლევის ფარგლებში 2020 წლის 5 მარტს გორის რაიონული სასამართლოდან გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი საქმე იქნა გადაცემული სასამართლოს მიერ პროკურორისათვის განრიდების მიზნით 2019 წელს. მიღებული ინფოორმაციის თანახმად კი, გორის რაიონული სასამართლოს მიერ განრიდების მიზნით პროკურორისათვის სულ გადაცემული იქნა 8 საქმე.[5]

კვლევის ფარგლებში, აგრეთვე განვახორციელეთ სოციოლოგიური კვლევა სოციალური ქსელის, ფეისბუქის საშუალებით შიდა ქართლის რეგიონის მასშტაბით. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა შიდაქართლის რეგიონის მოსახლეობის ცნობიერების დონე აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამასთან დაკავშირებით. კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 104_მა ადამიანმა. (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართი 3)

დასკვნა და რეკომენდაციები

აღდგენითი მართლმსაჯულების და (ტრადიციული) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ცნების ანალიზით, განრიდება/მედიაციის პრაქტიკის

[5] იხ. გორის რაიონული სასამართლოდან 2020 წლის 5 მარტს გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია.

შესწავლითა და ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის საფუძელზე შეიძლება ითქვას, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამა, მართლაც, წარმოადგენს ოპტიმალურ საშუალებას კანონთან კონფლიქტში მყოფ 21 წლამდე პირების რესოციალიზაცია რეაბილიტაციისათვის და ახდენს ახალი დანაშაულის პრევენციას. აღდგენითი მართლმსაჯულების ცნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილია, როგორც დაზარალებულის, ასევე, დამზიანებლის პოზიციები. სწორედ ამიტომ, აღდგნით მართლმსაჯულებასა და დანაშაულის წახალისებას შორის დიდი განსხვავებაა. არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე საზოგადოების რეაქცია ხშირად გამოიხატება რეპრესიების გაძლიერებით, სანქციების გაზრდით და პასუხისმგებლობის ასაკის შემცირებით. თუმცა ეს მიდგომა აუარესებს მდგომარეობას და უბიძგებს არასრულწლოვნებს ახალი დანაშაულის ჩადენისაკენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ,,დასჯა გამოსავალი არ არის". სწორედ განრდება და მედიაცია წარმოადგენს დამნაშავის რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის და დანაშაულის პრევენციის ეფექტურ საშუალებას.

მიგვაჩნია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოში კიდევ უფრო ლოიალური უნდა გახდეს. ქმედების კვალიფიკაციისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არასრულწლოვნის პიროვნება, სოციალური გარემო და დანაშაულის ჩადენის მოტივი. ამის შედეგად, დამნაშავე უკეთ გააცნობიერებს საკუთარ ქმედებას და პასუხისმგებლობის გრძნობაც გაუჩნდება. შესაბამისად, დამნაშავისა და დაზარალებულის პოზიციებიც უკეთესად იქნება დაცული.

როგორც უკვე ითქვა, აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულება განსხვავებულია. იგი საზოგადოების ერთ ნაწილში უნდობლობას იწვევს, ეს დამოკიდებულება კი გამოწვია ინფორმაციის სიმცირემ და არასწორმა ინფორაციამ. ამიტომაც, საჭიროდ მიგვაჩნია, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება და ხალხის ინფორმირება ისეთი საშუალებებით, როგორიცაა სოციალური ქსელები,

მედია და ა.შ. რის შეედეგადაც შეიცვლება საზოგადოების დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ბიბლიოგრაფია და გამოყენებული ვებ-რესურსები

საკანონმდებლო აქტები

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=14

ლიტერატურა

1. *ვაიდკუნი.უ*, მართლმსაჯულება ბავშვებისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013
2. *ერცენი.ი, ჯავახიშვილი.ჯ, ჯავახიშვილი.ლ*, აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, 2020. 22

ვებ-რესურსები

1. სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“ განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტი, 2019 წლის ანგარიში. http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion_Report_2019.pdf
2. http://liberali.ge/articles/view/45080/aghdgeniti-martlmsajuleba--danashaulis-shemtsirebis-tu-tsakhalisebis-gza

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია

1. გორის რაიონული სასამართლოდან 2020 წლის 5 მარტს გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია (იხ. დანართი 4)

დანართი 1



დანართი 2



დანართი 3 და დანართი 4



საერთაშორისო სტუდენტური კვლევითი კონფერენცია 2020[1]

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სახელი	მარიამ
გვარი	დარბაიძე
უნივერსიტეტი	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფაკულტეტი	სოციოლოგია
კურსი	მეორე
ქალაქი, ქვეყანა	თბილისი, საქართველო

კვლევის სათაური

მუსლიმების დამოკიდებულება ევთანაზიის მიმართ

➢ **შესავალი/საკითხის აქტუალობა:** ევთანაზია - ეს ის საკითხია, რომელიც დღესაც დიდი დავისა და განსჯის საგანია. ის გულისხმობს უკურნებელი სენით დაავადებული ადამიანის უშფოთველად, უმტკივნეულოდ მოკვდინების პრაქტიკას. იგი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან (eut - ტკბილი, უშფოთველი, thanatos - სიკვდილი), და ბერძნულიდან პირდაპირ რომ გადმოვთარგმნოთ, უმტკივნეულო სიკვდილს ნიშნავს. არსებობს აქტიური და პასიური ევთანაზია. აქტიური ევთანაზიაა, როდესაც სწრაფი სიკვდილის მიზნით გარკვეული პრეპარატები შეჰყავთ ადამიანის ორგანიზმში. პასიური ევთანაზია გულისხმობს სწრაფი სიკვდილის მიზნით მკურნალობის თერაპიის შეწყვეტას ექიმების მიერ. კიდევ არსებობს თვითმკველობა ექიმების დახმარებით, რაც გულისხმობს ადამიანის ორგანიზმში ისეთი პრეპარატის შეყვანას, რაც სიკვდილს იწვევს ან ამ პრეპარატებზე პაციენტისთვის ინფორმაციის მიწოდება.

[1] ნაშრომის გვერდების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 5 გვერდს (შრიფტი: Sylfaen; შრიფტის ზომა 12; ხაზებს შორის დაშორება 1.5)

ევთანაზია ლეგალურია ბელგიაში, ლუქსემბურგში, ჰოლანდიაში. ახალ ზელანდიაში, რუსეთსა და ამერიკაში იგი არალეგალურია, მაგრამ თვითმკვლელობა ექიმის დახმარებით შესაძლებელია ვაშინგტონის, კალიფორნიის, კოლორადოს, ორეგონისა და ვერმონტის შტატებში, დიდ ბრიტანეთში ევთანაზიაც და თვითმკვლელობა ექიმის დახმარებით არალეგალურია, კანადაში 2016 წლიდან ლაგალურია ევთანაზია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის თანახმად მკვლელობა მსხვრეპლის დაჟინებული თხოვნით, ჩადენილი ძლიერი ფიზიკური ტკივილებისგან გათავისუფლების მიზნით, ისჯება შინაპატიმრობის ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე. როგორც ზემოთაა აღნიშნული, ძალიან ბევრ ქვეყანაში არ არის ლეგალური და დღემდე მიმდინარეობს ამაზე დავა/განსჯა, ამიტომ ამ მიმართულებით კვლევები ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით რელიგიურ და ეთნიკურ ჭრილში. საკვლევი პრობლემაა მუსულმანების დამოკიდებულება ევთანაზიის მიმართ. რადგან არსებობს კვლევა მართლმადიდებელი მრევლის დამოკიდებულებაზე ევთანაზიაზე, დავინტერესდით მუსულმანების ხედვაზეც.

მეთოდები: კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის ძირითადი ინსტრუმენტი, კითხვარი, რომელიც იყო ნახევრადსტრუქტურირებული. რესპონდენტების რაოდენობა შეადგენს 35 ადამიანს. შერჩევის საფუძველს წარმოადგენდნენ მუსულმანური რელიგიის წარმომადგენლები. გამოვიყენეთ მიზრნობრივი შერჩევა. კვლევის ამოცანებია გავიგოთ, 1) რამდენად აქვთ რესპონდენტებს ინფორმაცია ევთანაზიის შესახებ, 2) განვიხილოთ მათი დამოკიდებულება რელიგიურ ჭრილში.

მიღებული შედეგები: კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 35 რესპონდენტი, რომელთა შორის 21 არის მდედრობითი სქესის წარმომადგნელი, 14 მამრობითი. 35 რესპონდენტიდან 20 იყო 18-25 ასაკობრივ კატეგორიაში, 7 ადამიანი 26-33 წლების კატეგორიაში, 5 რესპონდენტი 34 -41 და 3 რესპონდენტი 42-29 წლების კატეგორიაში.

რესპონდენტებიდან 25 აქვს ინფორმაცია ევთანაზიის შესახებ, 8 ადამიანს კი - არა. კითხვაზე რა არის თქვენთვის ევთანაზია განსხვავებული პასუხები დაფიქსირდა: ”უკურნებელი სენით დაავადებულის სიკვდილის დაჩქარება ვაქცინაციის საშუალებით“; „სიცოცხლისა და ბედნიერების მკვლელი“; „ადამიანის მოკვდინების პრაქტიკა სამედიცინო გზით“; „ჩემი აზრით, ეს არის მკვლელობა“; „უკურნებელი სენით დაავადებული, დატანჯული ადამიანის სიცოცხლის შეწყვეტა“; „სამედიცინო დახმარების გზით ადამიანის მოკვდინების პრაქტიკა“; „სიცოცხლის გაგრძელება“; „ევთანაზია ჩემთვის თუ ადამიანის ნებართვის გარეშე ხდება, დიდი სიბოროტეა“; „როდესაც უარს ამბობს ადამიანი მკურნალობაზე“ და ა.შ. რესპონდენტებისთვის შემდეგი კითხვა იყო, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ევთანაზიის მიმართ. შედეგების მიხედვით ძალიან კარგი აღნიშნა 1-მა რესპონდენტმა, კარგი 3-მა, ნაწილობრივ კარგი და ნაწილობრივ ცუდი 16-მა, ცუდი 6-მა, ძალიან ცუდი 7-მა. რესპონდენტებს ვთხოვეთ განემარტათ თავიანთი პასუხები, რატომ ფიქრობდნენ ასე, რაზეც მივიღეთ შემდეგი შედეგები: „რადგან ცუდი მაგალითია ადამიანებისთვის. ყველაზე მეტად ახალგაზრდებისთვის“; „ისლამი კრძალავს ევთანაზიას და ცოდვაა“; „ადამიანი შექმნილია ალაჰის სახელით და უნდა მოკვდეს ისე“; „რადგან ეს სუბიექტის პირადი გადაწყვეტილებაა“; „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება დაბადებიდან თანდაყოლილი. ეს მისი ხელშეუხებელი და წმინდა უფლებაა. არ შეიძლება მისი წართმევა გარდა იმ შემთხვევისა თუ მისი დაავადება სხვა დამიანების სიცოცხლეს ემუქრება ან თავისი ნებართვით უნდა“; „ყველა ადამიანს აქვს თავისი უფლებები,“ „ერთის მხრივ იგი ადამიანს ტანჯვისგან ათავისუფლებს და თავად პაციენტებიც ამჯობინებენ ევთანაზიის გამოყენებას, მეორე მხრივ, ჩნდება განცდა, რომ ხდება დამიანის მკვლელობა“; „ევთანაზიის მიზანია დაავადებული პირის განთავისუფლება ძლიერი ფიზიკური ტკივილისგან. ასეთი პირების მდგომარეობის, ცხოვრების სირთულეების გაგება ჯანმრთელი ადამიანისთვის სრულიად არაა შესაძლებელი და შესაბამისად, ყველა პატივს უნდა სცემდეს. მეორე მხრიდან საქმე გვაქვს ადამიანის სიცოცხლის უფლებასთან, რომელიც ხელშეუხებელია.

შესაბამისად, ადამიანის სიცოცხლის შეწყვეტა მისი თანხმობის შემთხვევაშიც რამდენად სწორია, არ ვიცი“; რესპონდენტებს ვკითხეთ, თუ ფლობდნენ ინფორმაციას აქტიურსა და პასიურ ევთანაზიაზე, აღმოჩნდა, რომ რესპონდენტებიდან 28 ადამიანი არ ფლობდა ინფორმაციას, 7 კი. რესპონდენტებს ჩვენ ვთხოვეთ, რომ ეთქვათ, რა განსხვავებებია აქტიურსა და პასიურ ევთანაზიას შორის: „აქტიურია ვაქცინაციის საშუალებით სიცოცხლის დასრულება, პასიურის დროს კი როგორც წესი მხოლოდ აპარატებზეა პირი დამოკიდებული და ოჯახის თანხმობით ხდება აპარატის გათიშვა“; “აქტიური ევთანაზია - პაციენტისთის სხვადასხვა პრეპარატების შეყვანა ან სხვა ქმედება. პასიური ევთანაზია - ექიმების მიერ დამხმარე თერაპიის ზომების შეწყვეტა“; „აქტიური ევთანაზიის დროს ექიმის მიერ პრეპარატის შეყვანა ორგანიზმში სიკვდილის დაჩქარებისთვის, ხოლო პასიური ევთანაზიის დროს ექიმის მიერ ზომების შეწყვეტა თერაპიისთვის“; ფრაზას, ისლამი კრძალავს ევთანაზიას, 8 რესპონდენტი სავსებით ეთანხმება, 10 ეთანხმება, 9 ნაწილობრივ ეთანხმება და ნაწილობრივ არ ეთანხმება, 5 არ ეთანხმება, 3 სრულიად არ ეთანხმება. დებულებას, რომ ევთანაზია გამოუსწორებელი ცოდვაა, 5 რესპონდენტი სრულიად ეთანხმება, 10 ეთანხმება, 9 ნაწილობრივ ეთანხმება და ნაწილობრივ არ ეთანხმება, 9 არ ეთანხმება, 2 სრულიად არ ეთანხმება. დებულებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება, თუ ის აუტანელი ტკივილებით იტანჯება ან აქვს უკურნებელი დაავადება, მოისწრაფოს სიცოცხლე 6 რესპონდენტი სავსებით ეთანხმება, 11 ეთანხმება, 9 ნაწილობრივ ეთანხმება და ნაწილობრივ არ ეთანხმება, 5 არ ეთანხმება, 4 სრულიად არ ეთანხმება. ფრაზას, რომ ადამიანი, რომელიც იტანჯება ძლიერი ტკივილებით და უკურნებელი დაავადებით, არ შეუძლია საუბარი, საკუთარი სურვილის დაფიქსირება, უნდა განახორციელონ ევთანაზიის პრაქტიკა, სავსებით ეთანხმება 3 რესპონდენტი, ეთანხმება 5, ნაწილობრივ ეთანხმება და ნაწილობრივ არ ეთანხმება 13, არ ეთანხმება 8, სრულიად არ ეთანხმება 7. დებულებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს არჩევნის საშუალება განახორციელოს ევთანაზიის პრაქტიკა, სავსებით ეთანხმება 4 რესპონდენტი, 12 ეთანხმება, 9

ნაწილობრივ ეთანხმება და ნაწილობრივ არ ეთანხმება, 4 არ ეთანხმება, 5 სავსებით არ ეთანხმება. ადამიანი, რომელიც სხვას ეხმარება ევთანაზიის პრაქტიკის განხორციელებაში, უნდა იყოს დადანაშაულებული სისხლის სამართლის წესდებით სავსებით ეთანხმება 7 რესპონდენტი, ეთანხმება 5 რესპონდენტი, 8 ნაწილობრივ ეთანხმება და ნაწილობრივ არ ეთანხმება, 11 არ ეთანხმება, 3 სრულიად არ ეთანხმება. 24 რესპონდენტს არ სმენია ევთანაზიის შემთხვევაზე საქართველოში, 11-ს კი.

განხილვა: რესპონდენტთა უმრავლესობას , 26 ადამიანს აქვს ინფორმაცია ევთანაზიაზე. რესპონდენტებიდან 17 ადამიანს ნაწილობრივ კარგი და ნაწილობრივ ცუდი დამოკიდებულება აქვს ევთანაზიის მიმართ, რაც ნათლად გამოჩნდა მათ არგუმენტებში, როდესაც ვთხოვეთ დაეწერათ პასუხი, თითქოს მათი ოჯახის წევრი ან საყვარელი ადამიანი იყო უკურნებელი სენით დაავადებული და სურდა სიცოცხლის დამთავრება, დართავდნენ თუ არა, ევთანაზიის ნებას. რესპონდენტებმა ამაზე უარით უპასუხეს, რაც შემდეგი არგუმენტებით დაასაბუთეს: „არა, რადგან როგორ შეიძლება საყვარელ ადამაინს ეს უფლება დართო. ვერ გავაკეთებდი“, „რა თქმა უნდა არა, ალაჰის საქმეში ვერავინ ჩაერევა, მან გვაჩუქა სიცოცხლე“. ზოგიერთი რესპონდენტი ეთანხმება, რომ უნდა მისცეს ევთანაზიის ნება: „დავრთავდი ნებას, მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ძალიან ძნელია ამ გადაწყვეტილების მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში ვთვლი, ეგოისტი ვიქნები“, „კი, დავრთავდი იმიტომ, რომ მის სულიერ ტანჯვას სიკვდილი ჯობია (იმ შემთხვევაში თუ მას უკვე გაუსაძლისი ტკივილი აწუხებს)“. რესპონდენტების ნაწილი ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებს: „ყოველი შემთხვევა ინდივიდუალურად შესაფასებელია, ასე უბრალოდ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია“, „მიჭირს პასუხის დაწერა“. განსახვავებული პასუხები დაფიქსირდა ორ კითხვაზე: 1) ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება, თუ ის აუტანელი ტკივილებით იტანჯება ან აქვს უკურნებელი დაავადება, მოისწრაფოს სიცოცხლე და 2) ადამიანი, რომელიც იტანჯება ძლიერი ტკივილებით და უკურნებელი დაავადებით, არ შეუძლია საუბარი, საკუთარი სურვილის დაფიქსირება, უნდა განახორციელონ ევთანაზიის პრაქტიკა. პირველ კითხვის შემთხვევაში 6

რესპონდენტი სავსებით ეთანხმებოდა, 11 კი ეთანხმებოდა, მეორე კითხვაში, როცა პაციენტს არ შეუძლია საუბარი, მხოლოდ 3 სავსებით ეთანხმება, 5 ეთანხმება და იღებს თავზე ამ პასუხისმგებლობას. სხვის მაგივრად გადაწყვეტილების მიღება უფრო რთულია ვიდრე მაშინ, როდესაც პაციენტისგან ნებართვა გაქვს, თუნდაც ევთანაზიას ეხებოდეს საქმე.

დასკვნა: კვლევაში მიღებული მონაცემებზე დაყრდნობით ვფიქრობთ, რომ საჭიროა ევთანაზიაზე ადამიანებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება, იმაზეც, თუ რა ტიპის ევთანაზია არსებობს. თეორიულ საკითხებთან ერთად, თუ ადამიანებს ეცოდინებათ ევთანაზიის საქართველოში არსებული პრაქტიკების შესახებ ინფორმაცია, ბევრად უფრო გაუადვილდებათ გადაწყვეტილების მიღება. თუ ამ მიმართულებით ჩატარდება კვლევები, რომლებიც იქნება მასშტაბური და რეპრეზენტატული, ქვეყნები უკეთ შეძლებენ პოლიტიკის შემუშავებას.

საერთაშორისო სტუდენტური კვლევითი კონფერენცია 2020[1]

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სახელი გვარი	ნიკა გიგაური ინგა ფუტკარაძე
უნივერსიტეტი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფაკულტეტი	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კურსი	მაგისტრატურის I კურსი
ქალაქი, ქვეყანა	საქართველო, თბილისი

კვლევის სათაური

მთავრობის როლის აღქმა თანამედროვე საქართველოს პარტიულ სპექტრში

➢ დღესდღეისობით სახელმწიფო გაგებულია, როგორც პოლიტიკური ერთობა, რომელიც დამოუკიდებელ იურისდიქციას ავრცელებს გარკვეულ ტერიტორიულ საზღვრებში და ხელისუფლებას მუდმივმოქმედი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მეშვეობით ახორციელებს (Marsh , Hay, & Lister, 2006). თანამედროვე გლობალურ სამყაროში გაჩნდა მოსაზრება სახელმწიფოს როლის შემცირების შესახებ. თუ ადრეულ პერიოდში იგი საერთაშორისო სისტემის მთავარი აქტორი და საზოგადოებრივი ცხოვრების, ფაქტობრივად, ერთადერთი რეგულატორი იყო, იან შოლტეს (Scholte, 2005) აზრით, გლობალიზაციის გაღრმავების პარალელურად სახელმწიფოს ფუნქციებიც იცვლება, ეს ცვლილებები კი ეხება სახელმწიფოს როლს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. შესაბამისად, გლობალისტური ხედვით, სახელმწიფოს სუვერენიტეტი და აბსოლუტური ძალაუფლება წარსულის კუთვნილებაა, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, მკვლევართა მეორე ნაწილი, მათ შორის ტომპსონი (Thompson, Hirst, & Bromley, 2009) და ანტიგლობალისტები, ამტიკიცებენ, რომ სახელმწიფო საზოგადო ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტია და რომ დღეს სახელმწიფოთა ისეთი უფლებები, როგორიცაა ძალის გამოყენება და სამართლებრივი

[1] ნაშრომის გვერდების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 5 გვერდს (შრიფტი: Sylfaen; შრიფტის ზომა 12; ხაზებს შორის დაშორება 1.5)

ზეწოლა, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა, გადასახადების აკრეფა, ეროვნული ენის, კულტურისა და განათლების სისტემის განვითარება და კიდევ სხვა სფეროებზე მონოპოლია არა თუ რჩება მთლიანად სახელმწიფოს განმგებლობაში, არამედ სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა ამ სფეროებში განუხრელად იზრდება.

საქართველოს კონსტიტუცია ამკვიდრებს სოციალური სახელმწიფოს ღირებულებებს, რომელთა მიხედვით სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობისა და სოციალური თანასწორობის პრინციპების განმტკიცებაზე. ამასთან კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის განვითარებაზე (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4). აღნიშნულ სფეროებში სახელმწიფოს როლის ზრდა კი პოლიტიკურ პარტიებში სახელმწიფოს ფუნქციების შესახებ დებატებს კვლავ აქტუალურს ხდის. სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება არის პოლიტიკურ იდეოლოგიებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორი (Jost, Federico, & Napier, 2009), რაც შემდეგ სხვადასხვა იდეოლოგიური ფუნდამენტის ირგვლივ გაერთიანებულ პოლიტიკურ პარტიათა საარჩევნო პროგრამებში აისახება.

საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებით, პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის შუამავლი რგოლია და ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური არხები, რომელთა საშუალებითაც საზოგადოებრივი მოთხოვნილებები გამოიხატება (Sartori , 2005). პოლიტიკური პარტიები მთავრობის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფენ, საქართველოში ეტაპობრივად ინერგება საპარლამენტო მმართველობა, რაც პოლიტიკური პარტიების როლს კიდევ უფრო ზრდის, რადგან საპარლამენტო მმართველობის სისტემაში სამთავრობო კოალიციების ფორმირება დამოკიდებულია პარტიათა შორის არსებულ თანამშრომლობაზე. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართული პოლიტიკური სივრცე პოლიტიკურ პარტიათა შორის არსებული სერიოზული დაპირისპირებით ხასიათდებოდა, თუმცა მიუხედავად ამისა, პარტიები ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტებია, რომლებმაც საქართველოში პლურალიზმის დამკვიდრება გარკვეულწილად მოახერხეს (ნოდია & სქოლტბახი , 2006). ამიტომ, საინტერესოა, ვიცოდეთ თუ როგორ ესახებათ და ესმით თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ პარტიებს სახელმწიფოს იდეა და მისი ფუნქციები, რა ამოცანები უნდა შეასრულოს სახელმწიფომ და რა უნდა მიანდოს კერძო პირებსა და

სამოქალაქო საზოგადოებას, ესახებათ იგი ნეიტრალურ არბიტრად თუ, მაგალითად, სახელმწიფოს საზოგადო სიკეთის განსახიერებად მიიჩნევენ და ემხრობიან მის მეტ ინტერვენციას სოციალური და პატერნალისტური მიზნების განხორციელებისთვის. ასევე საინტერესო იქნება გავიგოთ ისიც, თუ რამდენად მსგავსი ან გასხვავებული ხედვებია ქართულ პარტიულ სპექტრში აღნიშნულ საკვლევ თემასთან მიმართებით.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია შევისწავლოთ, თუ როგორ აღიქვამენ თანამედროვე ქართული საპარლამენტო პარტიები სახელმწიფოს იდეას, როგორ ესახებათ ის ფუნქციები, რასაც უნდა ასრულებდეს სახელმწიფო საზოგადოებისა და ინდივიდის ცხოვრებაში. ამასთან, ნაშრომის მიზანია განვსაზღვროთ, რამდენად შეესაბამება პარტიათა დამოკიდებულება მათ მიერ გაცხადებულ იდეოლოგიურ ფუნდამენტს. ასევე, კვლევა მიზნად ისახავს შევისწავლოთ, რამდენად მსგავსი ან განსხვავებული პოზიციებია გავრცელებული სახელმწიფოს ფუნქციებისადმი თანამედროვე ქართულ პარტიულ სპექტრში და როგორ იცვლებოდა პარტიათა პოზიციები 2012-2016 წლების საპარლამენტო არჩევნების პერიოდში.

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, საკვლევი კითხვები შემდეგნაირად ფორმულირდება:

1. რამდენად განსაზღვრავს იდეოლოგიური მიკუთვნებულობა თანამედროვე საქართველოს საპარლამენტო პარტიების მიერ სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების აღქმას?
2. რამდენად მსგავსი ან განსხვავებული პოზიციებია გავრცელებული სახელმწიფოს იდეისადმი საქართველოს თანამედროვე საპარლამენტო პარტიულ სპექტრში?
3. როგორ შეიცვალა 2012 - 2016 წლების საპარლამენტო არჩევნების პერიოდში პარტიების დამოკიდებულება სახელმწიფოს ფუნქციებისდმი?

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ჰიპოთეზები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- საქართველოს საპარლამენტო პარტიების დამოკიდებულებას სახელმწიფოს როლისა და ფუნქციებისადმი იდეოლოგიური მიკუთვნებულობა არ განსაზღვრავს.
- თანამედროვე ქართულ საპარლამენტო პარტიულ სპექტრში სახელმწიფოს იდეისადმი გავრცელებული პოზიციები ერთმანეთისგან რადიკალურად არ განსხვავდება.

- 2012 - 2016 წლების საპარლამენტო არჩევნების პერიოდში თანამედროვე ქართული საპარლამენტო პარტიების დამოკიდებულება სახელმწიფოს ფუნქციებისადმი ხშირი ცვლილებით ხასიათდება.

საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით აუცილებელია მოვახდინოთ ცვლადების ოპერაციონალიზაცია:

სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების აღქმა პარტიებში - გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების სხავდასხვა სფეროში სახელმწიფოს ჩარევის დონეს. სახელმწიფოს როლის განსაზღვრისას კვლევა მოიცავს შემდეგ ინდიკატორებს:

1.საზოგადოების უსაფრთხოება და თავდაცვა; 2.სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები; 3.სახელმწიფოს სოციალური როლი და ფუნქციები; 4.სახელმწიფოს როლი განათლებაში, კულტურასა და სპორტში; 5. სახელმწიფოს როლი ინდივიდის ცხოვრების სხვა სფეროებში.

იდეოლოგიური მიკუთვნებულობა - გულისხმობს პარტიათა სიახლოვეს მათ მიერ გაცხადებულ პოლიტიკურ იდეოლოგიასთან. რამდენად შეესაბამება წინასაარჩევნოდ მხარდაჭერილი იდეები იმ პოლიტიკურ იდეოლოგიათა ღირებულებებს, რომელთაც პარტიები თავს ოფიციალურად აკუთვნებენ.

აღნიშნული კვლევა ემყარება პოლიტიკური პრაგმატიზმის თეორიას. საზოგადოდ, პრაგმატიზმი წარმოადგენს ფილოსოფიურ მიმდინარეობას, რომელიც უარყოფს ჭეშმარიტების ობიექტურობას და არსებითად მიიჩნევს მხოლოდ იმას, რასაც პრაქტიკული შედეგები აქვს. პრაგმატიზმი, როგორც ფილოსოფიური დოქტრინა, დაკავშირებულია უილიამ ჯეიმსისა და ჯონ დიუის ნააზრევთან, რომლის მიხედვითაც რწმენათა მნიშვნელობისა და მოტივაციის შეფასება მათი პრაქტიკული შედეგებით უნდა მოხდეს (ჰეივუდი, 2004). პოლიტიკური პრაგმატიზმი პოლიტიკაში ინდივიდის ან ჯგუფისთვის განმსაზღვრელად თვლის ბრძოლას არა აბსტრაქტული იდეალების რეალიზაციისთვის, არამედ კონკრეტული პრაქტიკული შედეგებისა და სარგებლიანობისთვის.

ზემოთაღნიშნული თეორიული ჩარჩო ჩემი კვლევისთვის რელევანტურია იმ კუთხით, რომ პოლიტიკური პარტიები ორიენტირებულები არიან არჩევნებში საზოგადების მაქსიმალური მხარდაჭერის მიღებაზე. მაგალითად, კირხჰაიმერის (Kirchheimer, 1966) მიხედვით, 1960-იანი წლებიდან ფართოდ გავრცელდნენ ელექტორალური საყოველთაო (catch all) პარტიები, მისი თქმით, თანამედროვე საარჩევნო სისტემებიდან გამომდინარე,

პარტიების უმრავლესობა ორიენტირებულია, არა იდეოლოგიური დოქტრინების ერთგულებაზე, არამედ ელექტორატის მიმხრობაზე. კირხჰაიმერის მიხედვით, პარტიები იდეოლოგიურად ზომიერ ორგანიზაციებად გარდაიქმნენ და ისინი ძირითადად საყოველთაო კეთილდღეობის სხვადასხვა გზით მიღწევას პირდებიან ამომრჩეველს. ამგვარი პარტიებისთვის უცხოა მკაცრი იდეოლოგიური დოგმები და ისინი მზად არიან ამომრჩევლის შეხედულებისამებრ შეცვალონ საკუთარი იდეოლოგიური პრინციპები. ანდრე კროუველის მიხედვით (Krouwel, 1999), პოლიტიკური პრაგმატიზმიდან გამომდინარე პარტიებმა საკუთარი სტრუქტურის მოდერნიზაცია მოახდინეს და ორიენტირდნენ საზოგადოების სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის გაერთიანებაზე.

კვლევის კითხვებზე პასუხის გასაცემად, ვიყენებ კვლევის თვისებრივ მეთოდს, კერძოდ, მეორადი წყაროების ანალიზს, რაც გულისხმობს სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების შესახებ არსებული თეორიული ლიტერატურის შინაარსობრივ ანალიზს, ასევე შინაარსობრივი ანალიზი გამოვიყენე პირველადი წყაროების - პოლიტიკურ პარტიათა წინასაარჩევნო პროგრამების შესასწავალად. პროგრამების ანალიზი დამეხმარა შემესწავლა, თუ როგორ აღიქვამენ თანამედროვე ქართული საპარლამენტო პარტიები სახელმწიფოს იდეას.

ამასთანავე, კვლევაში ვიყენებ შედარების მეთოდს, რომლის საშუალებითაც ერთი მხრივ, ერთმანეთს ვადარებ სხვადასხვა პარტიის პოზიციებსა და დამოკიდებულებებს და მეორე მხრივ, ვიკვლევ ბოლო ორი არჩევნების მიხედვით როგორი ტრანსფორმაცია განიცადეს პარტიათა შეხედულებებმა სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების შესახებ.

ასევე, კვლევისას პარტიების წარმომადგენლებთან ვიყენებ თვისებრივი კვლევის კიდევ ერთ ტექნიკას - სიღრმისეულ ინტერვიუს, რომლის დროსაც გამოვიყენე ნახევრადსტრუქტურირებული გზამკვლევი. აღნიშნული მეთოდის ძლიერი მხარე საკითხის სიღრმისეულად და დეტალურად გააანალიზებაა, შესაბამისად, ინტერვიუში მოცემული კითხვები, რომელიც ინდივიდისა და საზოგადოების ცხოვრებაში სახელმწიფოს როლსა და ფუნქციებზეა ფოკუსირებული, პრობლემის უკეთ შესწავლას უწყობს ხელს, კვლევა კი ამ მხრივ უფრო ვალიდური გახდება.

ამრიგად, დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართულ საპარლამენტო პარტიულ სპექტრში სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების შესახებ მრავალფეროვანი და

საინტერესო პოზიციებია გავრცელებული. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის პროცესში შესწავლილი ოთხი პოლიტიკური პარტია ერთმანეთისგან იდეოლოგიური მიკუთვნებულობით განსხვავდებიან, სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების შესახებ რიგ საკითხებში მსგავს იდეებს ემხრობიან, თუმცა, რა თქმა უნდა, გამოიკვეთა განსხვავებული დამოკიდებულებებიც. ამასთან აღსნიშნავია, რომ პარტიის წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული პოზიციები გარკვეულ შემთხვებში განსხვავდება პარტიის 2012-2016 წლებში წინასაარჩევნო პროგრამებში ოფიციალურად დეკლარიებული პოზიციებისგან. კვლევის პროცესში ნაწილობრივ დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ საქართველოს საპარლამენტო პარტიების დამოკიდებულებას სახელმწიფოს როლისა და ფუნქციებისადმი იდეოლოგიური მიკუთვნებულობა არ განსაზღვრავს. აღსანიშნავია, რომ პარტიები გარკვეულწილად, მართლაც, იზიარებენ დეკლარიებულად გაცხადებულ იდეოლოგიურ ღირებულებებს, მაგრამ ხშირად მათი პოზიციები იდეოლოგიურად ბუნდოვანია და როგორც სიღრმისეული ინტერვიუების დროს პარტიის წარმომადგენლებმა განაცხადეს ისინი ორიენტირებულინი არიან არა იდეოლოგიური დოქტრინების ერთგულებაზე და ჩარჩოებში მოქცევაზე, არამედ საზოგადოების დაკვეთის შესრულებაზე. ამ მხრივ ქართულ პარტიულ სპექტრში შესაძლოა გამონაკლისად მივიჩნიოთ „პატრიოტთა ალიანსი," რომელიც ყველაზე მეტადაა ახლოს გაცხადებულ იდეოლოგიურ საფუძვლებთან, მაგრამ აღნიშნულ პარტიასაც ახასიათებს მკვეთრად სოციალური დაპირებები, რითიც საბოლოოდ მაინც სცილდება დეკლარირებულ ღირებულებებს.

ამრიგად, თანამედროვე ქართული საპარლამენტო პარტიებისთვის უცხოა მკაცრი იდეოლოგური დოგმები, პარტიები ორიენტირებულები არიან არჩევნებში საზოგადების მაქსიმალური მხარდაჭერის მიღებაზე, რის გამოც ისინი მზად არიან ამომრჩევლის შეხედულებისამებრ არჩევნებიდან არჩევნებამდე შეცვალონ საკუთარი იდეოლოგიური პრინციპები.

საერთაშორისო სტუდენტური კვლევითი კონფერენცია 2020

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სახელი	ეკატერინე
გვარი	მებუკია
უნივერსიტეტი	ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფაკულტეტი	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
კურსი	III კურსი
ქალაქი, ქვეყანა	თბილისი, საქართველო

კვლევის სათაური

სოფლის მეურნეობის პროდუქტების როლი ეკონომიკურ განვითარებაში და მისი ხარისხის კონტროლის პრობლემები

➢ ეკონომიკური მოძღვრებებიდან მერკანტილიზმის შემდეგ ერთ-ერთი უძველესი იყო ფიზიოკრატიზმი. სწორედ ფიზიოკრატიული სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელი ფრანსუა კენე აღნიშნავდა, რომ მრეწველობა, ხელოსნობა და ვაჭრობა არ არის პროდუქტიული დარგი და რომ მხოლოდ სოფლის მეურნეობაში იქმნება სიმდიდრე. ეს მოსაზრება მართალია ზუსტად არ ასახავს რეალობას, მაგრამ უდავოა ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობა უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში. სოფლის მეურნეობის განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკის წინსვლას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დარგს, რომელშიც ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 50 %-ია დასაქმებული, მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 10 % წილი შეაქვს, ხოლო სოფლის მეურნეობაში გადამამუშავებელ საწარმოთა მთლიანი წილი მშპ-ში დაახლოებით 4 % შეადგენს. ფაქტია, რომ სოფლის მეურნეობის

დარგი საქართველოში ვერ იყენებს რესურსებს ეფექტიანად. როგორც ვიცით, როდესაც ბაზარი ვერ ახერხებს დამოუკიდებლად გამართულ ფუნქციონირებას, საჭირო ხდება სახელმწიფოს ჩარევა. და საქართველოში სწორედ სოფლის მეურნეობის დარგში გახდა სახელმწიფოს ჩარევა საჭირო. თუმცა აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ სწორი და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება შეძლოს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 2010 წელს საქართველოში განხორციელებული პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებდა ჰიბრიდული სიმინდის იმპორტს და მოსახლეობაში მასობრივ გავრცელებას. სახელმწიფომ უზრუნველყო, როგორც სათესლე მასალის იმპორტი, ისე მისი მოსახლეობისთვის განვადებით მიწოდება, რაშიც კომერციული ბანკებიც ჩაერთვნენ. პროექტი არ აღმოჩნდა წარმატებული, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ათასობით ფერმერმა იზარალა და ბუნებრივია სახელმწიფო ბიუჯეტმაც. ხელისუფლება 2011 წელს აანონსებდა, რომ სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამით ფერმერები 5–ჯერ მეტ მოსავალს მიიღებდნენ, საქართველო კი სიმინდის ექსპორტიორი ქვეყანა გახდებოდა. სინამდვილეში საქართველოდან სიმინდის ექსპორტი თითქმის 5–ჯერ შემცირდა.

სწორედ ხარისხის კონტროლს ენიჭება უმნიშვნელოვანესი როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ვინაიდან უხარისხო პროდუქტი ვერ იქნება კონკურენტუნარიანი და შესაბამისად ვერ გავა მსოფლიო ბაზარზეც, რაც ავტომატურად ნიშნავს ექსპორტის შემცირებას. უხარისხო პროდუქტმა შეიძლება მიგვიყვანოს ეკონომიკურის გარდა სოციალურ პრობლემებამდეც. მაგალითად, ოფიციალური მონაცემებით ყოველწლიურად საქართველოში ონკოლოგიურად დაავადებული 7000 ადამიანი ვლინდება და მათ შორის 200 ბავშვია. ამას გარდა, თითქმის ყოველდღიურად გვესმის როგორც მოსახლეობის, ასევე პირუტყვის სხვა და სხვა დოზებით მოწამვლების შესახებ. ცნობილია, რომ ამ უბედურებაში ლომის წილი კვებაზე, წყალზე, ჰაერზე და იმ მოწამლულ გარემოზე მოდის, რომელშიც ყოველი ჩვენგანი ვცხოვრობთ. ასე რომ ხარისხის უკონტროლობამ შეიძლება გაზარდოს ქვეყანაში ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა მოკვდაობა. საქმე არ ეხება მხოლოდ ადგილობრივ პროდუქტს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უნდა ხდებოდეს ასევე იმპორტირებული პროდუქტის ხარისხის კონტროლიც.

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის შემოსავლების უდიდესი ნაწილი სწორედ სურსათზე იხარჯება, რომლის ხარისხის კონტროლიც არ ხდება. რაც ნამდვილად არ არის სამართლიანი.

საქართველოში 2017 წლიდან მიღებულია "ბიოაგროწარმოების" შესახებ კანონი. თუმცა ადგილი აქვს ამის საპირისპირო შედეგს. შხამ–ქიმიკატების მაღაზიების რიცხვი თითქმის 4-ჯერ გაიზარდა და ამ პატარა ქვეყანაში 1000–მდე მიაღწია, რაღა თქმა უნდა, პარალერურად გაიზარდა შხამების შემოტანა–გამოყენების მოცულობაც. ამ მაჩვენებელმა არაოფიციალური მონაცემებით (სასუქების გარდა) 5000 ტონას გადააჭარბა.

მოსახლეობის სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში (%)



წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=751&lang=geo

ასევე ცალკე პრობლემას წარმოადგენს გენმოდიფიცირებული საკვები და მათი ლაბორატორიული შემოწმება. ორი წლის წინ სენაკის რაიონში ჩავატარე გამოკითხვა. გამოკითხვის მიზანი იყო , გამეგო, რამდენად ინფორმირებული იყო საზოგადოება გენმოდიფიცირებული საკვების შესახებ და რამდენად დასაშვებად თვლიდნენ ისინი მსგავსი საკვების მოხმარებას. აღმოჩნდა, რომ საზოგადოების უმეტესობა ნეგატიურადაა განწყობილი მსგავსი საკვების მიმართ.. თვლიან, რომ გენმოდიფიცირებული საკვები საზიანოა ჯანმრთელობისთვს. გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ სენაკში ყველა გამოკითხულ ადამიანს ჰქონდა განასინჯი მსგავსი პროდუქტი. როცა დავინტერესდი შეეძლოთ თუ არა

მათ ჯანსაღი და გენმოდიფიცირებული საკვების ერთმანეთისგან განსხვავება, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ უმრავლესობას ეს არ შეუძლია. შედეგები ნაჩვენებია დიაგრამაზე.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ნგვ. (www.geostat.ge)

და მაინც რამდენად საშიშია მსგავსი პროდუქტი ჩვენი ჯანმრთელობისთვის?!- როგორც ყოველთვის და ყველაფერში ამ საკითხის გარშემოც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ერთი ნაწილი თვლის, რომ გენმოდიფიცირებული საკვები არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს ადამიანებისთვის. მეტიც 2012 წელს სამეცნიერო წინსვლის ამერიკულმა ასოციაციამ განაცხადა: - "მეცნიერება ცხადად ადგენს: მარცვლეულის გაუმჯობესება ბიოტექნოლოგიის თანამედროვე მოლეკულური მეთოდებით უსაფრთხოა". ასევე 2010-ში ევროკომისიამ შეისწავლა ათწლეულის მანძილზე ნაგროვები დამოუკიდებელი კვლევების

მასალები და დაასკვნა, რომ “გმო-მეთოდი არ არის გამოყვანის ტრადიციულ მეთოდებზე სარისკო”. თუმცა მეორე მხრივ, მეცნიერთა უმრავლესობა დაჟინებით ამტკიცებს, რომ გმო-ს შემცველი საკვების უსაფრთხოდ გამოცხადებამდე, უფრო მეტი კვლევაა საჭირო. ისინი თვლიან, რომ გენურ ინჟინერიას შეიძლება მოჰყვეს ისეთი თანმდევი მოვლენები, როგორიც მეცნიერებს ჯერ არ უპოვიათ. მაგალითად, AAAS-ს განცხადების საპირისპიროდ, 21 მკვლევარი ამტკიცებს, რომ ჰერბიციდების მომატებულად გამოყენებას შეიძლება ისეთი გავლენა ჰქონდეს ჯანმრთელობაზე, რომელზეც ჯერ არც კი გვსმენია.

და რომელ შეხედულებას უნდა ენდოს ადამიანი?! მაინც რჩება კითხვა საშიშია თუ არა გენმოდიფიცირებული საკვები ?! ამ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ ადამიანს თავად უნდა მიეცეს არჩევანის გაკეთების საშუალება. კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანების უმეტესობას არ შეუძლია მსგავსი საკვების ამოცნობა. სწორედ ამიტომ, აუცილებელია თითოეულ პროდუქტს ჰქონდეს თავისი ეტიკეტი.. დახლებზე გამოყოფილი იყოს ეს საკვები სხვა საკვებისგან და ასე შემდეგ. მაგალითად, საქართველოში 2015 წლის 1-ლი ივლისიდან მოქმედებს კანონი "სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ", რომლის მიზანია, მომხმარებელს ინფორმაცია მიაწოდოს, არსებობს თუ არა მის სასურველ პროდუქტში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები.

და მაინც რაშია გამოსავალი?! - სახელმწიფო აქტიურად უნდა ჩაერთოს ხარისხის კონტროლის განხორციელებაში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს უმთავრესი ამოცანაა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქვეყნის აგრარული პოტენციალის გამოყენებას, ამ დარგში შექმნილი და რეალიზებული პროდუქტის მოცულობის ზრდას. საკანონმდებლო ბაზის განვითარებისკენ სამი ძირითადი მიმართულება არსებობს:

1. ქვეყანაში წარმოებული აგროპროდუქციის მოცულობის ზრდა.
2. წარმოებული პროდუქციის ხარისხის შესაბამისობა იმ ბაზრების მოთხოვნებთან, რომლებისთვისაც პროდუქცია არის განკუთვნილი.
3. წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა.

და მაინც რატომ უნდა იყოს ქვეყნის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარება?!- მოგეხსენებათ, რომ უმთავრესი ეკონომიკური მიზნებია:

- ეკონომიკური ზრდა
- სრული დასაქმება
- ეკონომიკური ეფექტიანობა
- ფასების სტაბილური დონე
- ეკონომიკური თავისუფლება
- შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება

- ეკონომიკური უზრუნველყოფა
- სავაჭრო ბალანსი

სოფლის მეურნეობის განვითარება სულ მცირე 4 ზემოთ ხსენებული ეკონომიკურ მიზნის მიღწევის მნიშვნელოვანი ბერკეტია. თავის მხრივ კი ხარისხის უზრუნველყოფა გარანტია სოფლის მეურნეობის განვითარების, მისი საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებისა და ეკონომიკური ზრდის.

ასე რომ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გადაჭრას სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის კონტროლის პრობლემები. რასაც ის აუცილებლად მოახერხებს გლეხების განათლებაში ინვესტიციით, ახალი ლაბორატორიების შექმნით, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარებითა და მათთან ურთიერთობით.

გამოყენებული მასალა

1. წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 6გვ. (www.geostat.ge)
2. სტატია- სოფლის მეურნეების სახელმწიფო საწარმოები და მათი როლი დარგის განვითარებაში.- სტატია მომზადდა პროექტის სახელმწიფო საწარმოები საქართველოში და მათი ეფექტიანობა, ფოკუსი: სოფლის მეურნეობა [გვ 3];
3. სტატია-„სოფლის მეურნეობის განვითარება, თუ ეკოლოგიური კატასტროფა?!“- ავტორი: ლერი ჯალაბაძე [გვ 2]
4. http://www.moa.gov.ge/Ge/News/1275
5. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში არსებული პრობლემები და გაუმჯობესების შესაძლებლობები- სტრატეგია და ორგანიზაცია [გვ1]
6. http://www.moa.gov.ge/Ge/News/1281
7. წიგნი- მაკროეკონომიკური პოლიტიკა. ავტორი-ნოდარ ხადური [გვ 12].
8. http://geostat.ge/?action=page&p_id=751&lang=geo

საერთაშორისო სტუდენტური კვლევითი კონფერენცია 2020[1]

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სახელი	ნინო
გვარი	კალანდაძე
უნივერსიტეტი	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფაკულტეტი	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერება (ფსიქოლოგია)
კურსი	მე-2 კურსი
ქალაქი, ქვეყანა	თბილისი, საქართველო

კვლევის სათაური

„შვილად აყვანილ ბავშვთა ფსიქოლოგია“

[1]ნაშრომის გვერდების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 5 გვერდს (შრიფტი: Sylfaen; შრიფტის ზომა12; ხაზებს შორის დაშორება 1.5)

სარჩევი

I შესავალი- 3
II- შვილად აყვანის შედეგები ბავშვის სოციალურ მორგებაზე 5
III-დასკვნა - რა პოზიტიური ზეგავლენა აქვს შვილად აყვანას ბავშვზე. 7
გამოყენებული ლიტერატურა 8
გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურად: 8
გამოყენებული ლიტერატურა ქართულად: 9

I შესავალი- წლების განმავლობაში ბავშვთა ფსქილოგია უფრო და უფრო ვითარდებოდა და დღესაც აქტიურად გრძელდება ფსიქოლოგიის ამ დარგის განვითარება, ამიტომაც მსურს პირველ რიგში, მოკლედ ვისაუბრო ბავშვთა ფსიქლოგიის ისტროიასა და იმ პირებზე,რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მეცნიერების ამ დარგის განვითარებაში.ბავშვთა ფსიქოლოგიას, როგორც მეცნიერების დარგს საფუძველი ჩაეყარა 1840 წელს, როდესაც ჩარლზ დარვინმა დაიწყო დაკვირვება ბავშვთა განვითარების ეტაპეპბზე.დარვინის მსგავსს დაკვირვებებს ასევე აწარმოებდა გერმანელი ფსიქოლოგი ვილიამ პრეიერი.1891 წელს კი ამერიკელმა განათლების ფსიქლოგმა სტენლი ჰოლმა შექმნა პედაგოგიური სემინარი, რომელიც მიძღვნილი იყო ბავშვის ფსქოლოგიის და ზოგადად პედეგოგიისთვის.მეოცე საუკუნის განმავლობაში საფუძველი ჩაეყარა ინტელექტუალური განვითარების ტესტებს და საბოოლოდ წარმოიქმნა ბავშვთა ფსიქლოგია, როგორც ოფიციალური მეცნიერების დარგი.იმის მიუხედავად,რომ მეოცე საუკუნეში ბავშვთა ფსიქლოგიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით ზიგმუნდ ფროიდს, მელანიე კლეინსა და ფროიდის ქალიშვილს,ანა ფროიდს, მათზე დიდი როლი ამ სფეროს განვითარებაში ითამაშა შვეიცარიელმა ფსიქლოგმა ჯენ პიაგეტმა, სწორედ მან ჩამოაყალიბა ბავშვებში ურთიერთგაგების შეძენა(acquisition of understanding in children).იგი აღწერდა მრავალ საფეხურს ბავშვთა პერსონისა და პიროვნული თავისებურებების გაგებაში, ის ასევე განიხილავდა იმას თუ,როგორი პერსპეკტივიდან ხედავდნენ ბავშვები თავიანთ თავებს. იმის მიუხედავად, რომ დღეს დღეობით ბავშვთა ფსიქლოგია აქტუალური განხილვის საგანია,ჩემს ნაშრომში მინდა ვისაუბრო ნაშვილებ ბავშვთა ფსიქლოგიაზე, თუ რა წინააღმდეგობების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ ისინი, რა მენტალური დარღვევების რისკის ქვეშ არიან,არსებობს თუ არა განსხვავება ნაშვილებ და არანაშვილებ ბავშვებს შორის სხვადასხვა ასპეკტში და რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისთვის, რომ ვუზრუნველყოთ მათთვის სრულფასოვანი ბავშვობა. როდესაც ბავშვი იზრდება,მას უვითარდება პოზიტიური აზრი საკუთარი წარმოშობისა და თვითმყოფადობის შესახებ,ასევე გრძნობა ფსიქოლოგიური კეთილდღეობის. მას თანდათანობით უყალიბდება აზრი და წარმოდგენა სკუთარ თავზე და რაღათქმაუნდა თვითშეფასება.ამ ყველაფერთან ერთად, ისინი სწავლობენ თუ,როგორ გახდნენ უფრო კონფორტულები თავიანთ თავებთან. შვილად აყვანამ კი ბუნებრივი ბავშვური პრობლემები , როგორიცაა დამოკიდებულება კონკრეტული ადამიანის მიმართ, დანაკარგი და საკუთარი თავის იმიჯი შესაძლოა უფრო რთული გახადოს,იმ შემთხვევაში თუ მშვილებელი მშობლები არ იქნებიან სწორად ინფორმირებულები.ბავშვებზე ეს ყველაფერი დიდ გავლებას ახდენს და ხშირად წარუშლელ კვალსაც ტოვებს მათზე. არსებობს უმარავი ფაქტორები,რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ნაშვილები ბავშვის ახალ ოჯახთან შეწყობასა და ზოგადად ცხოვრების სტილზე.მაგალითისთვის იმ ბავშვებს,რომლებიც იყვენენ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი, უჭირთ ნდობის ჩამოყალიებება ახალი ოჯახის

მიმართ. ასევე პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს ტრანსარასიული ბავშვის შვილად აყვანა.პირველ რიგში მსურს დავიწყო საუბარი საქართველოს სტატისტიკაზე, თუ რამდენად ხშირია ბავშვთა აყვანა და რომელ ასოკობრივ ჯგუფზე ჩერდება არჩევანი.სოციალური მომსახურეობის სააგენტომ გაავცელა 2018 წლის სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვთაც საქართველოში გასაშვილებელი სტატუსის მქონე 220 ბავშვია, მათ შორის 153 შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა, 35-ს კი არ სურს ოჯახის გაჩენა (საუბარია 10 წლის და უფროსი ასაკის ბავშვებზე, რომელთა გაშვილება აკრძალულია მათი თანხმობის გარეშე).მათივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე მშვილებელთა რეესტრში 2813 მშვილებელია დარეგისტრირებული – ესენი არიან ადამიანები, რომლებიც აკმაყოფილებენ გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანისთვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.რაც შეეხება გაშვილებულთა სტატისტიკას, 2018 წელს ქვეყანაში გაშვილდა 85 ბავშვი, მათ შორის 8 განსხვავებული საჭიროების მქონეა. მათგან საერთაშორისო შვილად აყვანას დაექვემდებარა 5 შშმ ბავშვი. The NSAP იგივე შვილის აყვანის მსურველი მშობლების გამოკითხვამ ამერიკის შეერთებულ შტატებში აჩვენა, რომ ნაშვილები ბავშვების 57% არიან მამრობითი სქესის წარმომადგენლები. მთლიანობაში კი 40% ბავშვებისა არიან ნაშვილები ცხრა წლის ან უფრო ნაკლები ასაკიდან. The NSAP ნათლად წარმოადგინა ამერიკის შეერთებულ შტატებში მდომარეობა ბავშვთა აყვანის საკითხში და როგორც გაირკვა შეერთებულ შტატებში არის სულ სამი კატეგორია,რომლის მიხედვითაც შეგიძლია ბავშვის აყვანა. პირველი არის ბავშვთა სახლიდან შვილობილის აყვანა, პირადი გზებით (მაგალითად ახლობლის) და ბოლოს სხვა ქვეყნიდან ბავშის აყვანა. მონაცემებმა აჩვენა, რომ მთლიანობაში მამრობითი სქესის წარმომადგენელი არის 57% , ამ მონაცემებმა ასევე აჩვენა, რომ ყველა ნაშვილები ბავშვი 9 ან უფრო ახალგაზრდა ასაკიდან იწყებს მშვილებელ ოჯახთან ერთად ცხოვრებას. თუმცა ასვევე საგულისხმოა ის ფაქტიც,რომ 56% ბავშვებისა იყვნენ 5 წლის ან უფრო ნაკლები ასაკისანი, როდესაც მათი შვილად აყვანის პროცესი მიმდინარეობდა.ოჰაიოს უნივერსიტეტმა გაავრცელა შემდეგი მონაცემები,რომლის მიხედვითაც 3 თვის ან უმცროსი ბავშვები, რომლებიც იშვილეს წარმოადგენს 4%, სამიდან ექვს თვემდე ნაშვილები ბავშვები 18% პროცენტს,6 დან 1 წლამდე 33%, 1დან 2 წლამდე ბავშვები დაახლოებით 17 %, 2 დან 3 წლამდე 8 %, 3 დან 4 წლამდე 4%, 4 დან 5 წლამდე 3% და 5 წლიდან კი 10% წარმოადგენს, იმავე გამოკვლევამ ასევე აჩვენა, რომ თინეიჯერები,რომლებიც იშვილეს 13-17 წლამდე წარმოადგენენ 10% ნაკლებს.ამერიკის შეერთებული შტატების მონაცემების მიხედვით 2018 წელს ნაშვილებ იქნა 61,000 ბავშვი, რომელთაგანაც 51% იქნა აყვანილი მშვილობელი მშობლების მიერ, ხოლო 35% ნათესავების მიერ. შეერთებული შტატების მონაცემების მიხედვით 73% ნაშვილები ბავშვებისა არის არაესპანელი თეთრკანიანი ბავშვები, ხოლო დაახლოებით 27% განსხვავებული რასის წარმომადგენელები. UNICEF (the United Nations Children's Emergency Fund) მიხედვით დღესდღეობით მსოფლიოში არის 153 მილიონი ბავშვი ოჯახის გარეშე, რომლებიც ცხოვრობენ ბავშვთა თავშესაფარში. აქედან უმეტესობა ბავშვთა მოდის რუსეთზე, კონგოსა და ინდოეთზე, შემდგომ უკვე მოდის ამერიკის შეერთებული შტატები, სამხრეთ კორეა და ჩინეთი. 500,000 უოჯახო ბავშვი არის ჩინეთში, 20 მლნ ინდოეთში და 17,000 ბავშვი სამხრეთ კორეაში.

II- შვილად აყვანის შედეგები ბავშვის სოციალურ მორგებაზე

კველვამ ,რომელიც ჩაატარა ანტონი ბუროუმ ,ჩიკაგოს უნივერსიტეტში,აჩვენა, რომ არ არსებებობს სიგნიფიკანტური განსხვავებანი ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაში ნაშვილებ და არანაშვილებ ბავშვებს შორის. ნაშვილები ბავშვები,რომლებთაც დაუფიქსირდათ დაბალი თვითსეფასება დიდად არ განსხავავდებოდნენ იმ ბავშვთა თვითშეფასებისგან, რომლთა ოჯახის წევრები (მშობლები) განცალკევებულად ცხოვრობდნენ. თუმცა ამის მიუხედავად, შვილად აყვანილი ბავშვებში თავს იჩენს ისეთი პრობლემები, როგორიცაა დეპრესია, უბედურების განცდა, ბიჰევიორული პრობლემები,განსაკუთრებით კი იმ ბავშვებში, რომლებიც მოზარდობის დროს იშვილეს.ამის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ,რომ ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ბავშვებზე, არის მათი ასაკი,როდესაც ისინი იშვილეს. პროფესორმა,ანუ შარმამ თავის კოლეგებთან ჩატარებული კვლევით გაარკვია, რომ თინეიჯერებში გარემო პირობებთან, ადამიანებთან და ზოგადად გარემოსთან შეჩვევაში დიდ როლს ასრულებს ასაკი. ამ კველავში იყო შემდეგნაირი სიტყვები:“თუ ბავშვი შვილად აიყვანეს 1 წლისა ან უფრო პატარა, მხოლოდ 6 %-მა აჩვენა შეგუების პრობლემები, ე.წ attachment problems.იმ ჯგუფში, რომელშიც ბავშვები ახალ ოჯახს შეუერთდნენ 1 წლის ან უფრო დიდები , მათმა 23% აჩვენა კავშირში შესვლის სირთულეები (ანუ შეგუება ახალ ოჯახთან მათთვის უფრო რთული იყო). კვლევამ, რომელიც ჩატარდა 125 ნაადრევ ასაკში ნაშვილებ ბავშვზე აჩვენა, რომ რაც უფრო ადრე დამყარდება ემოციური კავშირი ბავშვსა და მშობელს შორის, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია პირველი 14 წლის განმავლობაში, მით უფრო გაუმარტივდება ბავშვს უცხო ადამიანებთან შეგუება და ახალ გარემო პირობებში საკუთარი თავის დამკვიდრება,ეს ყველაფერი ასევე ბავშვს მისცემს ემოციურ სტაბილურობას. ამ გამოკვლევამ ასევე აჩვენა, რომ ის ბავშვები ,რომლთა მიმართებაში არ გამოიხატებოდა ემოციოური მხარდაჭერა პირველი 14 წლის განმავლობაში,უვითარდებათ არასრულფასოვნების, დაუცველობის განცდა, რომელიც ხშირად ზრდასრულობის ასაკშიდაც კი ტოვებდა წარუშლელ კვალს მათზე. ამ ყველაფრის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაც უფრო ადრე დაიწყებს მშობელი თავის ნაშვილებ შვილთან ემოციურ კონტაქტსა და უთიერთობას,მით უფრო აყვავდება დედაშვილური/მამაშვილური კავშირი ბავშვსა და მის შეძენილ მშობლებს შორის.შემდეგი თემა იქნება სოციალური ქცევა, როგორ იქცევიან შვილად აყვანილი ბავშვები სოციუმში და განსხვავდება მათი ქცევა ისეთი ბავშვებისგან, რომელნიც ბიოლოგიურ მშობლებთან იზრდებიან. ამ ყველაფრის გასარკვევად ჰაროლდ გროტევანტმა,მინისოტას უნივერსიტეტის ოჯახის სოციალური მეცნიერების პროფესორმა , და მისმა კოლეგებმა გამოარკვიეს, რომ შვილად აყვანილი ბავშვებს არ აქვთ აგრესიული ანტისაზოგადოებრივი ქცევა,არანაშვილებ ბავშვებთან შედარებით.მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი უფრო დიდი

რისკის წინაშე დგანან,რომ გამოხატონ აგრესიული ანტისოციალური ქცევა. (აგრესიული ანტისაზოგადოებრივი ქცევა განისაზღვრა, როგორც "ძალადობრივი, აგრესიული ქცევა ადამიანების ან ცხოველების მიმართ", ხოლო "ქურდობა, ქონების დაზიანება, სერიოზული წესის დარღვევა და ნარკოტიკების გაყიდვა ან ფლობა, ძალადობრივი ქცევის გარეშე" არის არააგრესიული ანტისაზოგადოებრივი ქცევა .) რაც უფრო ახლოს არიან მშობლები თავიანთ არაბიოლოგიურ შვილთან და რაც უფრო განათლებული არიან მშობლები, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შვილები ეწევიან ამ აგრესიულ ქცევვას,თუმცა, სხვა გამოცდილება ზრდის აგრესიის ალბათობას.რაც იმას გულისხმობს, რომ თუ ნაშვილებ ბავშვს არ აქვს შესაბამისი თანადგომა მშობლებისაგან და ასევე თუ მშობლები არ ფლობენ შესაბამის განათლებას,რომელიც ერთგვარი იარაღია ბოლომდე შეიცნო ახალი ოჯახის წევრი და ამის მიხედვით გამონახო მასთან საერთო ენა,მაშინ რა თქმა უნდა გაიზრდება იმ ნაშვილებ ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც აგრესიულ, ან პასიურ აგრესიულ საქციელებს ჩადიან.რას უფრო ნაკლებ ყურადღებას განიცდის ბავშვი, მით უფრო დიდ აგრესიას გამოხატავს იგი,მაგრამ თუ მშვილობელი დედა გაიხსენებს თავის წარსულს, და გაუზიარებს მას თავის შვილობილს, და მოჰგვრის ბავშვს უსაფრთხოების განცდას, მით უფრო ნაკლებ აგრესიას და უნდობლობას გამოავლენს ის ბავშვიც კი,რომელიც ადრე იყო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. ერთ-ერთი დიდი პრობლემა, რომელიც ასევე შეიძლება წამოიჭრას არის ქეისი,როდესაც მშვილებელი ვერ პოულობს თავის თავში ნამდვილ დედობრივ ან მამობრივ გრძნობებს ნაშვილები ბავშვის მიმართ, ეს ადვილად შესამჩნევი ხდება ბავშვისთვის, რაც მის დაბნევასა და შფოთვას იწვევს. ამ ყველაფერმა ასევე შესაძლებელია სრულიად გაანადგუროს ემოციური სტაბილურობა მშობლების მიმართ და გახადოს ბავშვი ანტისოციალური ქცევისადმი მიდრეკილი.თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად არსებობს ფაქტები, რომელებიც იმას მოწმობს, რომ სრულაფასოვანი ემოციური კავშირის შემთხვევაში ნაშვილებ ბავშვებში ზემოთ წამოჭრილი პრობლემები არ ვლინდება,ერთ ერთი მაგალითია შვეიცარიაში ჩატარებული ლონგიტუდური კვლევა, რომელიც ჩატარდა 23 წლამდე ნაშვილებ ადამიანბში. ამ კვლევაში პირები დაყვეს 4 ჯგუფად:ნაშვილები ბავშვები, ბავშვები რომლებიც ცხოვრობდნენ ბავშვთა სახლში, ის ბავშვები, რომელთა გაშვილებაც გადაიფიქრეს დედებმა და ბავშვები,რომლებიც ცხოვრობდნენ თავიანთ ბიოლოგიურ მშობლებთან.ამ კველავ დაადგინა, რომ არ არსებობდა არანაირი განსხვავება ნაშვილებ ბავშვებში კრიმინალურ ან ალკოჰოლურ პრობლემებში. სხვა სწავლებამ გაანალიზა განსხვავება ნაშვილებ ბავშვთა და არანაშვილებ ბავშთა ბიჰევიორულ ქცევით პრობლემებზე. ამ გამოკვლევის ჩასატარებლად გამოიკითხა მშობლები,შემდეგი კითხვებით:თუ როგორი იყო მათ ბავშვთა ტემპერამენტი, შფოთვა ან პირიქით უშიშრობა, და გაზომეს მათი პროსოციალური ქცევა შემდეგი კითხვით, თუ როგორ ეწყობოდნენ ბავშვები თანატოლებს და ჰქონდათ თუ არა მათ სირთულეები საერთო ენის გამონახვაში სხვა ბავშვებთან, აკეთებდნენ თუ არა იმას,რასაც მშობლები სთხოვდნენ, თუ ასრულებდნენ თავიანთ პასუხისმგებლობებს და რამდენად აჩენდნენ

თავიანთ ემოციურ მხარეს. ბავშვთა ასაკი ამ კველავაში იყო დაყოფილი შემდგომ ასაკობრივ ჯგუფებად, 0-4 წლამდე, 5-11 წლამდე, 12-18 წლამდე. ამ კველავ ასევე აღმოაჩინა, რომ არ ფიგურირებდა არანაირი განსხავავება ნაშვიელებ და არანაშვილებ ბავშვებს შორის.ასევე მნიშვნელოვანია თუ,როგორ მიმდინარეობს სოციალური ადაპტაცია ზრდასრულ ადამიანებში, რომლებსაც არაბიოლოგიური მშობლები ზრდიდნენ. კვლევამ აჩვენა, რომ ნაშვილები ქალებს უფრო სიამოვნებთ სოციუმისგან ემოციური მხარდაჭერა, მაგალითად მეგობრებისაგან, მათი მშობლებისგან. ასევე ამ გამოკვლევამ აჩვენა, რომ ქალები არიან უფრო ემოციურად სტაბილურები და აქვთ დაბალი ფსიქოლოგირი დისტრესის რისკი. ნაშვილები მამაკაცები კი პირიქით უფრო იშვიათად სთხოვდნენ დახმარებას და ემოციურ გვერჩი დგომას მეგობრებს ან ოჯახის წევრებს, მათ ჰქონდათ უფრო ხშირი პრობლემები დამოკიდებულებეთან და უმუშევრობასთან.

III-დასკვნა - რა პოზიტიური ზეგავლენა აქვს შვილად აყვანას ბავშვზე.

ნაშვილები ბავშვები უამრავ ბენეფიციალურ ზეგავლენას იღებენ. მრავალი მათგანი განიცდის დრამატულ წინსვალს სოციოეკონომიკურ სტატუსში, ისინი ახალი ცხოვრებისკენ დიდ ნაბიჯს დგამენ, ისინი იძენენ განათლებულ მშობლებს, რომლებთაც შეუძლიათ უზრუნველყონ მათი ემოციური და მატერიალური კეთილდღეობა, მათ ეძლევათ შესაძლებლობა განვითარების.ასევე მათ ნაწილს აქვთ შანსი ჰყავდეთ დედმამიშვილები, რაც მათ ოჯახთან შეჩვევას უფრო აადვილებს. თუმცა ნაშვილები ბავშვების უმეტესობა ცხოვრობს პატარა ოჯახებში, რაც ასევე ერთგვარი უპირატესობაა. კველევებმა აჩვენა, რომ თუნდაც ბავსვშვს დიდი ხანი ჰქონდეს გატარებული ბავშვთა სახლში,ოჯახობრივი მიკუთვნილება და ემოციური სტაბილურობა, ქმნის ცხოვრებისეულ საფუძველს ფსიქლოგიური სტაბილურობისთვის. გამოკვლევებმა ასევე აჩვენეს, რომ მთლიანობაში 81% მშობლებისა,რომლებმაც ბავშვები აიყვანეს, დაადასტურეს, რომ მათი ურთიერთობა მათ ბავშვებთან არის ძალიან თბილი და ახლო.ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მსოფლიო მაშტაბით , შვილად აყვანილი ბავშვები, უფრო ხშირად კითხულობენ წიგნებს და უფრო მიისწრაფიან განათლებისკენ, ვიდრე ის ბავშვები, რომლებიც ჩვეულებრივად ბიოლოგიურ მშობლებთან იზრდებოდნენ, ასევე ნაშვილები ბავშვები უფრო ხშირად ესწრებოდნენ და მონაწილეობას იღებდნენ დამატებით გაკვეთილებში და ჰქონდათ უფრო ფართო მაშტაბის ინტერესები. თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად 85% ნაშვილები ბავშვებისა, მიუხედავად კარგი ჯანმრთელობისა,შჭირდებათ უფრო მეტი სამედიცინო დახმარება ვიდრე ჩვეულებრივ ბავშვებს. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩატარებულმა ნაციონალურმა გამოკვლევამ ბავშვებზე დაადგინა, რომ ნაშვილები ბავშვები,საშუალო კლასის ოჯახებიდან, აჩვენებენ უკეთეს შედეგებს სასკოლო პერფორმანცებში, სოციალურ კომპეტენციაში,ავლენენ მეტ ოპტიმიზმსა და აქტიურად არიან ჩაბმულნი სხვადასხვა სახის ღონისძიებებში.ასევე ამ კვლევამ აჩვენა,

რომ ეს ბავშვები იყვენენ ნაკლები სტრესის ქვეშ ვიდრე ის ბავშვები, რომლებიც ცხოვრობდნენ ერთ მშობელთან.ასევე ისინი უფრო ნაკლებად იყვნენ ჩართულნი ვანდალიზმში, ჯგუფურ ჩხუბში, პოლიციათან პრობლემებში, იარაღის გამოყენებაში,ქურდობაში და სხვა არაკანონიერ ქცევაში. გაერთიანებული სამეფოში ჩატარებულმა ნაციონალურმა გამოკვლევამ,რომელშიც ერთამეთს შეადარეს ის ადამიანები, რომლებიც იყვენენ ერთ წლამდე ნაშვილები და ჩვეულებრივი ბიოლოგიურ მშობლებრთან გაზრდილი ადამიანები, 23-35 წლამდე. ამ გამოკველევებმა აჩვენა, რომ ნაშვილებ ქალებსა და მამაკაცებს ბევრად უფრო კარგი ეკონომიკური და სოციალური სტატუსი ჰქონდათ ვიდრე მათივე ასაკის თუმცა არანაშვიებ ადამაინებს.

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურად:

1. M. Cederblad, B. Höök, M. Irhammar and A.M. Mercke, "Mental Health in International Adoptees as Teenagers and Young Adults. An Epidemiological Study," Journal of Child Psychology and Psychiatry 40, no. 8 (1999)
2. D. Borders, L.K. Black and K. Pasley, "Are Adopted Children and Their Parents at Greater Risk for Negative Outcomes?" Family Relations 47, no. 3 (1998
3. D. Borders, L.K. Black and K. Pasley, "Are Adopted Children and Their Parents at Greater Risk for Negative Outcomes?" Family Relations 47, no. 3 (1998): 240. S. Collishaw, B. Maughan and A. Pickles, "Infant Adoption: Psychosocial Outcomes in Adulthood," Social Psychiatry and Ps D.E. Johnson, "Adoption and the Effect on Children's Development," Early Human Development 68, (2002)ychiatric Epidemiology 33, no. 2 (1998): 63.
4. B. Maughan, S. Collishaw and A. Pickles, "School Achievement and Adult Qualifications among Adoptees: A Longitudinal Study," Journal of Child Psychology and Psychiatry 39, no. 5 (1998): 682.
5. B. Maughan, S. Collishaw and A. Pickles, "School Achievement and Adult Qualifications among Adoptees: A Longitudinal Study," Journal of Child Psychology and Psychiatry 39, no. 5 (1998): 674.
6. John Triseliotis, "Long-term Foster Care or Adoption? The Evidence Examined," Child and Family Social Work 7, (2002): 31.
7. Sharon Vandivere, Karin Malm, and Laura Radel, "Adoption USA: A Chartbook Based on the 2007 National Survey of Adoptive Parents," U.S. Department of Health and Human Services (2009). Available at http://aspe.hhs.gov/sites/default/files/pdf/75911/index.pdf.

8. Child Trends Data Bank, "Adopted Children," Child Trends Data Bank (2012). Available at http://www.childtrends.org/?indicators=adopted-children#sthash.0aFaprYw.dpuf. Peter L. Benson, Anu R. Sharma, and Eugene C. Roehlkepartain, Growing Up Adopted-A Portrait of Adolescents and Their Families (Minneapolis: Search Institute, June 1994).
9. M.H. van IJzendoorn and F. Juffer, "The Emanuel Miller Memorial Lecture 2006: Adoption as Intervention. Meta-analytic Evidence for Massive Catch-Up and Plasticity in Physical, Socio-emotional, and Cognitive Development," Journal of Child Psychology and Psychiatry 47, (2006): 1228-45.
10. D.E. Johnson, "Adoption and the Effect on Children's Development," Early Human Development 68, (2002): 50.
11. J.C. Loehlin, J.M. Horn and J.L. Ernst, "Genetic and Environmental Influences on Adult Life Outcomes: Evidence from the Texas Adoption Project," Behavior Genetics 37, (2007): 474.
12. the United Nations Children's Emergency Fund

გამოყენებული ლიტერატურა ქართულად:

1. სოციალური მომსახურების სააგენტო საქართველოში

საერთაშორისო სტუდენტური კვლევითი კონფერენცია 2020[1]

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სახელი	**ალეკო**
გვარი	შავლოხაშვილი
უნივერსიტეტი	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ფაკულტეტი	სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
კურსი	პირვლი
ქალაქი, ქვეყანა	გორი/საქართველო

კვლევის სათაური

კორონავირუსი და საქართველოს ეკონომიკა

➢ როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, მსოფლიო მომაკვდინებელ კორონავირუსს ებრძვის. ახალი ვირუსის შედეგად ამ დრომდე 150,000-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა აქედან 73,731 ადამიანი გამოჯანმრთელდა ხოლო 5,617 ადამიანი გარდაიცვალა.[2]

Coronavirus Cases:
150,072
view by country

Deaths:
5,617

Recovered:
73,731

[1] ნაშრომის გვერდების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 5 გვერდს (შრიფტი: Sylfaen; შრიფტის ზომა 12; ხაზებს შორის დაშორება 1.5)

[2] https://www.worldometers.info/coronavirus/

ამჟამად ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ჩინეთია, კორონა ვირუსის წარმოშობის ეპიცენტრი, ქალაქი უხანი, ის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ხუბეის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრია, უხანი ჩინეთის მეშვიდე ყველაზე ხალხმრავალი ქალაქია,იქ დაახლოებით 11 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და გასაკვირი არცაა, რომ ვირუსი მარტივად გავრცელდა.[3]

რაც შეეხება ეკონომიკას,ეკონომისტები აცხადებენ, რომ ჩინეთის ეკონომიკას მკაცრი დარტყმა ემუქრება, რადგან წარმოებისა და სერვისის ინდუსტრიების საკმაოდ დიდი ნაწილი დახურულია.

მოგეხსენებათ მიმდინარე მოვლენების გამო ქვეყნების უმეტესობამ შეაჩერა ავიამიმოსვლა,მითუმეტეს ჩინეთთან, ხოლო ამან, რასაკვირველია, გამოიწვია ჩინეთის ეკონომიკური ზრდის შენელენბა, მისი ეკონომიკა დღეის მონაცემებით 0.5% პროცენტით დაეცა, ეს გამომდინარეობს ტურიზმის შეფერხებიდან, აგრეთვე მოგეხსენებათ ჩინეთთან თანამშრომლობენ ისეთი დიდი კორპორაციები,როგორებიც არიან ,მაგალითად:Samsung, Apple, Hp და ა.შ. ქარხნები ,რომლებშიც იწარმოებოდა ამ კომპანიების პროდუქცია დროებით შეჩერებულია ხოლო ეს ჩინეთის ეკონომიკის ზრდის შენელების ერთ-ერთი განმაპირობებელი მოვლენაა.

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკას, გამონაკლისები არც ჩვენ ვართ,საქართველოს ეკონომიკური ზრდა მცირდება და ეს გასაკვირი არცარის,საქართველოშიც, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, კორონავირუსმა ეკონომიკური თვალსაზრისით, პირველად ტურიზმს დაარტყა. საავიაციო მიმართულებით მწვავე კრიზისია.კორონავირუსამდე, ბოლო პერიოდში ტურიზმი ჩვენთან ძალიან გაძლიერდა. 2019 წელს ტურისტული ნაკადებისა და აქედან მიღებული შემოსავლების რეკორდული მაჩვენებელი გვქონდა. რეგრესი, რომელსაც ვირუსი იწვევს, დამაზარალებელია ეკონომიკისათვის. საქართველოში მთლიანი სავაჭრო ბრუნვის დაახლოებით 70% იმპორტზე მოდის, შესაბამისად, თუკი

[3] https://ka.wikipedia.org/wiki/უხანი

ტენდენცია ასე გაგრძელდება ეს პროცესები გრძელვადიან პერიოდში უარყოფითად აისახება ჩვენს ეკონომიკაზე.

საქართველოში კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, 29 მარტის ჩათვლით შეწყდა პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. სპეციალისტები ავიამიმოსვლის შეზღუდვის გამო ტურისტული ნაკადის შემცირებას და ამ დარგში ათობით ათასი დოლარის ზარალს ელოდებიან. 2019 წლის განმავლობაში საქართველოში ჩინეთიდან 48 071 ვიზიტორი შემოვიდა, რაც წინა წლის პერიოდთან შედარებით 50.9%-ით მეტი იყო. საშუალოდ ჩინეთის მოქალაქე ერთ ვიზიტზე საქართველოში 2.253 ლარს ხარჯავდა, რა მაჩვენებლითაც ჩინეთის მოქალაქეები საქართველოში მეშვიდე ყველაზე მაღალმხარჯველი ვიზიტორები არიან, ტურისტების შემცირება საქართველოს ეკონომიკას ძალიან დააზიანებს, რადგან,მოგეხსენებათ საქართველოს ბიუჯეტის დიდი ნაწილი ზუსტად ტურიზმის მეშვეობით ივსება.

ადამიანის სიცოცხლისთვის სერიოზული საფრთხის გარდა, კორონავირუსის გავრცელება სერიოზულ ზიანს აყენებს გლობალურ ეკონომიკას, ერთ-ერთ სტატიაში ნახსენებია,რომ კორონავირუსის გამო შესაძლოა გლობალური ექსპორტი 50 მილიარდი აშშ დოლარით შემცირდეს, რაც საქართველოს ეკონომიკაზეც იქონიებს გავლენას.

აგრეთვე აღსანიშნავია ლარის კურსის უეცარი ვარდნა,ლარის კურსის ვარდნა მრავალი მიზეზით არის გამოწვეული, მათ შორის ვირუსითაც. კორონავირუსის თავიდან ასაცილებლად საზღვრები ჩავკეტეთ, რამაც შეზღუდა პროდუქტის იმპორტი. ლარზე ასევე მოქმედებს მსოფლიო ტენდენციები - სხვა ვალუტების მიმართება დოლართან. თუმცა ცვლილების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი ეროვნული ბანკის გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკაა. მთავარი, რაც ვალუტის კურსს განსაზღვრავს, არის ლარის მასის თანაფარდობა დოლარის მასასთან. წლის დასაწყისში ეროვნულმა ბანკმა შეამცირა ლარის მასა და ამან გამოიწვია დოლართან

გარკვეული წონასწორობის დამყარება. თუკი მომავალში კვლავ გაიზრდება ლარის მასა ამის გამართლება ვეღარაფრით მოხდება, მათ შორის, ვერც ეპიდემიით.[4]

საქართველო-ირანის სავაჭრო-სამრეწველო პალატის (GICCI) დირექტორთა საბჭოს წევრი ვანო მთვრალაშვილი BM.GE-ისთან ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობებზე კორონავირუსის ეფექტზე საუბრობს და ამბობს, რომ ვითარება ფორსმაჟორულია, რაც შეეხება სატვირთო დერეფანს, „ჩვენ ირანს ვუკავშირდებით თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის გავლით; თურქეთმა და სომხეთმა ირანთან საზღვარი ჩაკეტა, თუმცა აზერბაიჯანზე არ გვაქვს ინფორმაცია“. მაგალითისთვის,განვიხილოთ ნავთობის ბიტუმი, რომელიც ამ დღეებში თურქეთის გავლით უნდა შემოსულიყო საქართველოში, თურქეთმა არ შემოუშვა, ტრაილერების მძღოლები გაბრუნდნენ და აზერბაიჯანის მხრიდან უნდათ შემოსვლა, თუმცა შემოვლენ თუ არა, ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ არის ცნობილი, ეს დამოკიდებულია იმაზე, საქართველოს მხრიდან აზერბაიჯანთან საზღვრის ჩაკეტვა მხოლოდ ფიზიკურ პირებზე ვრცელდება თუ სატრანსპორტო საშუალებებით საქონლის ტრანსპორტირებაზეც,[5]ლოგიკურია რომ ესეც ერთგვარ პრობლემებს უქმნის საქართველოს ეკონომიკას.

მიმდინარე მოვლენებიდან,კოკრეტულად კი კორონა ვირუსის გამო, საქართველოს მთავრობა და კერძო კომპანიები გვერდში უდგანან საქართველოს მოსახლეობას,მაგალითად:1.ბიზნესს, რომელსაც შეექმნება სესხის გადახდის პრობლემა ბანკები ინდივიდუალურად გაუკეთებენ სესხის რესტრუქტურიზაციას. აღნიშნული პროცესის შედეგად მხოლოდ სასტუმრო ინდუსტრიაში დაახლოებით გამოთავისუფლდება 100 მლნ. ლარის ფინანსური რესურსი. 2.მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ სურვილი გადაავადონ სესხის გადახდა, მომდევნო სამი თვის განმავლობაში ბანკი მათ მისცემს შენატანის გადავადების საშუალება.3.იმ

[4] https://www.radiotavisupleba.ge/a/ეკონომიკური-დანაკარგი-უფრო-დიდი-იქნება-ვიდრე-ადამიანური-კორონავირუსის-შედეგები/30479794.html

[5] https://bm.ge/ka/article/irantan-saxmeleto-sazgvris-chaketva-savachro-urtiertobebshi-problemebs-sheqmnis---vano-mtvralashvili/49769/

კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობებს; სასტუმროები და რესტორნები, ტურისტული სააგენტოები, სატრანსპორტო კომპანიები, საექსკურსიო საქმიანობა, კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორები და სხვ. საქართველოს მთავრობა გადაუვადებს მომდევნო 4 თვის განმავლობაში გადასახდელ ქონების და საშემოსავლო გადასახადებს (1 ნოემბრამდე). შედეგად, შეღავათი შეეხება 18 000 გადასახადის გადამხდელს და 50,000 ზე მეტ დასაქმებულ პირს, რაც ნიშნავს, რომ 100 მლნ. ლარზე მეტი დარჩება ეკონომიკის ამ სექტორში ამ და სხვა შეღავათებით საქართველოს მთავრობა დახმარების ხელს უწვდის მის საზოგადოებას.[6]

რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ არამდგრადი ეკონომიკური კეთილდღეობის აღმოფხვრის გზებს, მე ვფიქრობ, რომ ამაზე ზრუნვა აქედანვე უნდა დაიწყოს ჩვენმა სახელმწიფომ და დანარჩენმა მსოფლიომაც. დანაკარგი ნებისმიერ შემთხვევაში ამაზე მეტი იქნება, თუმცა მნიშვნელოვანი მის მინიმალიზებაზე ზრუნვაა. საჭირო იქნება მწარმოებლებსა და დამსაქმებლებზე მაქსიმალური ხელშეწყობა,როგორც ამას სახელმწიფო ახლა აკეთებს თუ საჭირო გახდება 3-4 თვეზე მეტხანს უნდა გადაუვადონ სესხების დაფარვის ვადა, რომ კერძო სექტორმა შეძლოს ამ კრიზისის გადატანა. ხელშეწყობაში იგულისხმება: შერბილებული საბანკო და საგადასახადო რეგულაციები. მთავრობამ მინიმალურ დონემდე უნდა დაიყვანოს ის ვალდებულებები, რომლებიც ამ კომპანიებს აკისრიათ დღეს მათ წინაშე. ამით ბიზნესი ნაკლები დანაკარგებით შეძლებს გადარჩენას, როგორც დღეისთვისაა ცნობილი სახმელეთო გზები ყველა მიმართულებით არარის ჩაკეტილი და სახელმწიფომ ამით უნდა ისარგებლოს და მოიმარაგოს საჭირო პროდუქცია თუ ნივთები, რადგან მოგეხსენებათ კორონა ვირუსი პანდემიად არის გამოცხადებული.

[6] https://www.interpressnews.ge/ka/article/589780-koronavirusis-gavrcelebit-gamocveuli-negatiuri-gavlenebis-shesarbileblad-mtavrobis-shemushavebuli-ekonomikis-mxardacheris-gonisziebebi-6-punktisgan-shedgeba/

ბიბლიოგრაფია

1. https://www.worldometers.info/coronavirus/
2. https://ka.wikipedia.org/wiki/ჟანი
3. https://www.radiotavisupleba.ge/a/ეკონომიკური-დანაკარგი-უფრო-დიდი-იქნება-ვიდრე-ადამიანური-კორონავირუსის-შედეგები/30479794.html
4. https://bm.ge/ka/article/irantan-saxmeleto-sazgvris-chaketva-savachro-urtiertobebshi-problemebs-sheqmnis---vano-mtvralashvili/49769/
5. https://www.interpressnews.ge/ka/article/589780-koronavirusis-gavrcelebit-gamocveuli-negatiuri-gavlenebis-shesarbileblad-mtavrobis-shemushavebuli-ekonomikis-mxardacheris-gonisziebebi-6-punktisgan-shedgeba/

საერთაშორისო სტუდენტური კვლევითი კონფერენცია 2020[1]

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სახელი:	სოფიო ბლაგიძე და ქეთევან თათაშვილი
გვარი:	
უნივერსიტეტი:	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფაკულტეტი:	იურიდიული
კურსი:	მე-3 კურსი
ქალაქი, ქვეყანა:	თბილისი, საქართველო

კვლევის სათაური

მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები

➢ შესავალი

საოჯახო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ფუნდამენტურ ინსტიტუტს წარმოადგენს ქორწინება და მასთან დაკავშირებული ურთიერთობები. სსკ-ის 1106-ე მუხლის დისპოზიციიდან იკვეთება, რომ ქორწინება ემყარება ქალისა და მამაკაცის ურთიერთმფარავი ნების გამოვლენას, ოჯახის შექმნის მიზნით.

დღესდღეობით მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვასთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ პრობლემატურია და არაერთ კითხვისნიშანს აჩენს. ნაშრომის ფარგლებში გვსურს ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე საკითხზე, კერძოდ, პირველ რიგში გვსურს შევეხოთ კოლიზიას სსკ-ის 1160-ე მუხლსა და 185-ე მუხლს შორის, როდესაც საუბარია უძრავ ნივთებზე, რადგან საკითხავია, სად გადის ზღვარი მესამე პირთა (ქონების შემძენი) და გასხვისებული ქონების თანამესაკუთრის ინტერესს შორის? როგორც ცნობილია, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება წარმოიშვება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ, თუმცა საერთო ქონება

[1] ნაშრომის გვერდების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 5 გვერდს (შრიფტი: Sylfaen; შრიფტის ზომა 12; ხაზებს შორის დაშორება 1.5)

შესაძლოა დარეგისტრირებული იყოს მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის სახელზე, რაც მას განსაკუთრებულ უფლებამოსილებას მიანიჭებს ქონების განკარგვის პროცესში. სამოქალაქო სამართალში, კერძოდ სსკ-ის 312-ე მუხლის თანახმად მოქმედებს საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, შესაბამისად, როდესაც მეორე მეუღლე არ არის დაფიქსირებული რეესტრში, როგორც ქონების თანამესაკუთრე, ქონების გასხვისების დროს შესაძლოა სრულიად უსაფუძვლოდ ჩრდილქვეშ მოექცეს რომელიმე მხარის ინტერესი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 1160-ე მუხლი იმ მეუღლეს, რომელმაც არ იცოდა გარიგების არსებობის შესახებ, არ ანიჭებს უფლებამოსილებას მოითხოვოს აღნიშნული გარიგების ბათილობა. პრობლემა სწორედ აქ იკვეთება, რადგან გაურკვევლად რჩება იმ გარიგების ლეგიტიმურების საკითხი, რომელიც დაურეგისტრირებელი თანასაკუთრებისას ერთ-ერთი მეუღლის მიერ დაიდო მეორე მეუღლესთან შეთანხმების გარეშე. არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ბათილია ის გარიგება, რომელიც ეხება მეუღლეთა თანასაკუთრებას და დადებულია მასთან შეუთანხმებლად, მიუხედავად იმისა, რომ იგი, მართალია, არაა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, მას აქვს კანონიერი უფლება თანაზიარ ქონებაზე.[2] თუმცა გამოითქვა საწინააღმდეგო პოზიციაც, რომლის მიხედვით, საჯარო რეესტრის ჩანაწერი უპირატესია და ასეთი გარიგება არ ექვემდებარება გაბათილებას. საინტერესოა, მოძრავ ნივთთა განკარგვის საკითხიც, რადგან კოლიზიაში მოდის სსკ-ის 158-ე და სსკ-ის 1160-ე მუხლები. ასევე, საინტერესოა თუ რა როლს თამაშობს ამ პროცესში შემძენის კეთილსინდისერება. ამდენად, უნდა დადგინდეს, თუ რომელი ნორმაა კონკრეტულ ურთიერთობაში სპეციალური - საოჯახო თუ სანივთო სამართლის ნორმა.

1.მეუღლეთა საერთო ქონების განკარგვა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლის თანახმად მეუღეები საოჯახო ურთიერთობებში სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი. მეუღელეთა თანასწორობის იდეა ასევე გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი ნაწილიდან. მეუღლეთა თანასწორობის საკითხს ქონებივ ურთიერთობასთან მიმართებით უფრო დეტალურად განსაზღვრავს სსკ-ის 1159-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. თუმცა, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ქონების განკარგვა ხდება ურთიერთშეთანხმების გარეშე. ალბათ, საინტერესო კითხვაა, თუ რამდენად არის მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე დადებული გარიგება ბათილი.

[2] შ.ჩიკვაშვილი, საოჯახოსამართალი, თბილისი,2004 წელი, 135 გვ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს“. იმ შემთხვევაში, როდესაც არ გვაქვს ერთ-ერთი მეუღლის თანხმობა, რა თქმა უნდა, აღნიშნული გარიგება კანონსაწინააღმდეგოა, მაგრამ ყურადსაღებია სსკ-ის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რადგან მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ :ა) მან არ იცოდა გარიგების შესახებ; ბ) ის არ ეთანხმებოდა გარიგებას.

შესაბამისად, ცხადია, რომ სსკ-ის 1160-ე მუხლი არსებითად განსხვავდება და ეწინააღმდეგება როგორც სსკ-ის 1159-ე და 1160-ე მუხლის 1-ელი ნაწილის ჩანაწერებს(კუმულაციურად), ასევე საქართველოს კონსტიტუციას- საკუთრების უფლებასთან მიმართებით.

მართალია, სსკ-ის 1160-ე მუხლში შევიდა ცვლილება 2007 წელს, რომელის თანახმადაც, მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, შეუძლია მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებლი რეგრესის წესით, მაგრამ შესაძლოა, ქონების განმკარგავი მეუღლე იყოს გადახდისუუნარო და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ვერ მოხდეს.

ასევე ყურადსაღებია, ის გარემოებაც, რომ 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილი მთლიანად ვერ აგვარებს პრობლემურ საკითხს, რადგან ერთ-ერთ მეუღლეს შეუძლია ქონების განკარგვა როგორც სასყიდლიანად, ასევე უსასყიდლოდ (მაგ. ჩუქებით). ამ უკნასკლელის შემთხვევაში სრულიად დაუცველია მეუღლე, რომელიც მართალია ამ ფაქტის შესახებ არ ფლობდა ინფორმაციას და შესაბამისად ვერ მოითხოვს გარიგების ბათილობას და ვერც აღნიშნული ქონების განკარგვით მიღებულ სარგებელს, რადგან სარგებელი არ არსებობს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1160-ე მუხლი არ ახდენს დიფერენცირებას მოძრავი და უძრავი ქონების განკარგვით დაკავშირებით, ჩვენ ვფიქრობთ, გამომდინარე იქედან რომ მოძრავ და უძრავ ნივთებთან მიმართებით განსხვავებული მიდგომა არსებობს, რაც უპირველეს ყოვლისა ვლინდება იმაში რომ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრიდან დგინდება და მათ მიმართ არ მოქმედებს მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია (სსკ-ის 158-ე, 183-ე მუხლები). შესაბამისად მესამე პირებისთვისაც ის ითვლება უძრავი ნივთების მესაკუთრედ, ვინც რეესტრშია ასეთად რეგისტრირებული.[3] ხოლო მოძრავ ნივთებთან მიმართებით არსებობს პრეზუმცია, რომ მფლობელი აღნიშნული ნივთისა არის მესაკუთრე. აქედან გამომდინარე უმჯობესი იქნებ სსკ-ის 1160-ე მუხლშიც იყოს ჩანაწერი, რომელიც განსხვავებულად მოაწესრიგებდა საკითხს მოძრავი და უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით.

[3] გ.ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი მეორე გადამუშავება, თბილისი, 2003 წელი 350 გვ.

როგორც უკვე ვახსენეთ, სსკ-ის 185-ე და 187-ე მუხლებით დაცულია კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესი. თუმცა უნდა აღინიშნოს სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, რომლის თანახმადაც კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდ სცოდნოდა, რომ ქონების გამსხვისებელი არ იყო ქონების ერთადერთი მესაკუთრე[4]. აღნიშნულთან ერთად ყურადსაღებია სსკ-ის 312-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო რეესტრის უტყრუარობისა და სიზუსტის პრეზუმფცია, რომლის თნახმადაც რეესტრში შეტანილი ინფორმაცია ითვლება ნამდვილად მანამ სანამ საწინააღმდეგო არ დადგინდება. აქედან გამომდინარე როდესაც ვაწყდებით კონკურენციას სანივთო და საოჯახო სამართლის ნორმებს შორის უნდა აღინიშოს რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს სანივთო სამართლის ნორმებს

2 საჯარო რეესტრის არსი და მნიშვნელობა მეუღლეთა ქონებრივი

საჯარო რეესტრი არის სამართლებრივი მექანიზმი, რომლის ძალითაც ხდება უფლებათა რესგისტრაცია. [5]

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს საჯარო რეესტრისთვის მახასიათებელი თვისებაა მისი საჯაროობა, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და მასში მონაწილე მხარეთა დაცვას ემსახურება. სწორედ საჯაროობდან გამომდინარე ურთიერთობის მხარეს უფლება აქვს მიიღოს სრული ინფორმაცია ურთიერთობის საგნის შესახებ. ასევე მას აქვს უფლება არ დაეყრდნოს მხოლოდ კეთილსინდისიერაბას და ნივთვის სამართლებრივი მდგომარეობა შეამოწმოს საჯარო რეესტრში.

საჯარო რეესტრის როლი მნიშვნელოვანია სამართლებრივი ურთიერთობებისთვის, რადგან ის გვევლინება სამოქალაქო ბრუნვის გარანტიად, მაგრამ შესაძლებელია გარკვეული პრობლემები წარმოიშვას მეუღლეთა თანასაკუთრებასთან მიმართებით. კონფლიქტი კი წარმოიშობა მაშინ, როდესაც რეესტრში რეგისტრირებული უფლება არ შეესაბამება ამ უფლების ნამდვილ შინაარსს, ხოლო მესამე პირისთვის ეს ფაქტი უცნობია[6]

იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობა დაკავშირებულია მის რეგისტრაციასთან[7] (რაც ვფიქრობთ, სწორი მიმართებაა, საკუთრების უფლების არსიდან გამომდინარე) და მხოლოდ სსკ-ის 1158 მუხლი არ არის საკმარისი მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დადგენისთვის და თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა არა ავტომატიურად, არამედ ორივე მეუღლეზე ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. აქვე უნდა ვახსენოთ, სსკ-ის 312 მუხლი, რომელიც ეხება საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმფციას,

---

[4] ე.ზარნაძე, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლოდავების გადწყვეტის ზოგიერთი თავისებურება, თბილისი 2007 წელი, გვ 132.

[5] იქვე. 363 გვ.

[6] უზენაესი სასამართლოს გადწყვეტილება №ას-189-182-2013

[7] თ. შოთაძე, სანივთო სამართალი, თბილისი 2014 წელი, 442 გვ.

რაც იმას ნიშნავს რომ თუკი ქონება ერთ-ერთი მეუღლის სახელზე იქნება რეგისტრირებული 321-ე მუხლიდან გამომდინარე სწორედ ის ჩაითვლება მესაკუთრედ ვიდრე საწინააღმდეგო არ იქნება დამტკიცებული. გამომდინარე პრაქტიკიდან, როგორც წესი, თანაზიარი საკუთრების მესაკუთრედ მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლე რეგისტრილდება, შესაძლებელია, ამან მეორე მეუღლისთვის საკუთრების უფლების აღიარებების პროცედურა შეაფერხოს და ჩრდილქვეშ დააყენოს მისი საკუთრების უფლება სასამართლოს ძალით შესაძლებელია დავის გადაწყვეტა და თანასაკუთრების აღიარება, მაგრამ ეს იქნება დროში გაწელილი პროცესი ამასთან ერთად გასათვალისწინებელია სასამართლო ხარჯებიც, მხარის ფინანსური მდგომარეობა დარღვეული უფლების მქონე პირის დამაბრკოლებელ გარემოებად მოგვევლინოს. თუმცა უნდა ითქვას რომ რეგისტრაცია მხარის უფლებაა და არა მოვალეობა. მეუღლეებმა კი წინდახებულობა უნდა გამოიჩინონ, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაურკვევლობა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმციამ შესაძლებელია ყოველთვის ვერ დაიცვას პირთა ინტერესი, რადგან თუკი ერთ-ერთ მეუღლეზე არ იქნა ქონება რეგისტრირებული შესაძლებელია იგი ვერ იქნას აღიარებული მის ფლობელად ან იმ შემთხვევაში, როდესაც ის მეუღლე, რომელზეც ქონებაა რეგისტრებული განკარგავს მას მეორე მეუღლემ შესაძლებელია დაკარგოს აღნიშნული იურიდიული კავშირი აღნიშნულ სიკეთესთან. აქედან გამომდინარე უმჯობესი იქნება თუკი გამარტივდება თანასაკუთრების რეგისტრაცია შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა და ერთ-ერთი მეუღლის ინიციატივა საკმარისი გახდება საერთო საკუთრების დარეგისტრირებისთვის და აღარ იყოს დამოკიდებული მეორე მხარის ნებაზე. ასეთი პროცესი კი იქნება უფრო მარტივი და ხელმისაწვდომი ყველასთვის.

როდესაც ვსაუბრობთ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე, აუცილებელია ყურადღების გამახვილება მესამე პირებთან მიმართებით, რადგან მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ქონების კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი შემძენი, რადგან განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს ვაწყდებით თითოეულთან მიმართებით. ჩვენთვის ამ ეტაპზე რელევანტურია განვიხილოთ კეთილსინიდსიერი შემძენისა და კეთილსინდისიერი, არაინფორმირებული მეუღლის ინტერესთა კოლიზია, რაც შეეხება არაკეთილსინდიესიერ შემძენს, მის საკითხს მოგვიანებით, სასამართლო პრაქტიკასთან მიმართებით განვიხილავთ.

საჯარო რეესტრთან მიმართებით ვფიქრობთ გათვალისწინებულ უნდა იქნას გერმანიის კანონმდებლობა, რომელიც ცდილობას მაქსიმალურად დაიცვას როგორც კეთილსინდისიერი შემძენი, ასევე კეთილსინდისიერი მეუღლე. აღნიშნულთან მიმართებით უნდა მოვიშველიოთ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1558-1553 რომლითაც დადგენილია მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეესტრი, კერძოდ,

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1558-ის თანახმად მეუღლეთა ქონებრივი უფლებების ჩაწერა ხდება საუბნო სასამართლოს მიერ და ამ რეესტრში არის დამატებითი ინფორმაცია მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის შესახებ[8]

აღნიშნული ნოვაციის შემოტანით ქართულ კანონმდებლობაში შეძლებისდაგვარად გადაიჭრება არა მარტო მეუღლეთა თანასაკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები, არამედ შეამცირებს დავებს ისედაც გაატვირთულ სასამართლოში და შესაბამისად სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი უფრო მეტად რეალიზდება.

დასკვნა

მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვა დღევანდელ რეალობაში აქტუალურია, რადგან მეუღლეები ხშირად არ არეგისტრირებენ ქონებას, როგორც თანასაკუთრებას. შესაბამისად მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლე გვევლნება ქონების მესაკუთრედ, რომელსაც შესწევნს უნარი განკარგოს ქონება. სწორედ აღნიშნული უდევს საფუძვლად კონკურენციის შემთხვევაში სანივთო და საოჯახო სამართლის ნორმებს შორის უპირატესობა ენიჭება სანივთო სამართლის ნორმებ.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს რომ სსკ-ის 1159-ე და 1160-ე მუხლის 1-ელი ნაწილი (კუმულაციურად) ეწინააღმდეგება სსკ-ის 1160-ე მუხლის მეორე ნაწილსა და კონსტიტუციასში განარტირებულ საკუთრების უფლებას და უმჯობესი იქნება აღნიშნული ნორმაში შევიდეს ცვლილება.

რეკომენდაციის სახით შესაძლებელია ითქვას რომ გასაზიარებელია გერმანიის პრაქტიკა, სადაც დამატემით მოქმედებს მეუღლეთა ქონების რეესტრი. ამასთან შესაძლებელია მეუღლეთა წასახილებისთვის საერთო ქონების რეგისტრაცია გარკვეული ვადით მაინც იყოს უფასო ან შეღავათი არსებობდეს აღნიშნული იქნება წამახალისებელი მეუღლეთათვის.

[8] ო. ზოიძე, ქართული კერძოსამართლის კრებული, წიგნი 1, თბილისი 2004, გვ.34

საერთაშორისო სტუდენტური კვლევითი კონფერენცია 2020[1]

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სახელი	თამარ
გვარი	ჩიტიშვილი
უნივერსიტეტი	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ფაკულტეტი	სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
კურსი	პირველი კურსი
ქალაქი, ქვეყანა	გორი, საქართველო

კვლევის სათაური

სიღარიბის პრობლემები საქართველოში და მათი დაძლევის გზები

➢ სიღარიბე მსოფლიო პრობლემაა და, სამწუხაროდ, მისი მასშტაბები თანდათანობით იზრდება. სიღარიბე ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა საქართველოშიც.

სიღარიბის ზრდის ძირითადი მიზეზებია: 1) უმუშევრობა; 2) ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება; 3) ინფლაცია (სამომხმარებლო ფასების მატება - სურსათზე, ჯანდაცვაზე, ტრანსპორტზე და სხვა).

დღეისათვის აღიარებულია, რომ სიღარიბე არ მცირდება აუცილებლად ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან ერთად. ქვეყნებში, სადაც აღინიშნება ეკონომიკური ზრდა, სიღარიბე არ აღმოიფხვრა. მაგალითად, პოლონეთმა მნიშვნელოვან წარმატებას

[1] ნაშრომის გვერდების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 5 გვერდს (შრიფტი: Sylfaen; შრიფტის ზომა 12; ხაზებს შორის დაშორება 1.5)

მიაღწია ეკონომიკურ სფეროში, მაგრამ სიღარიბე მაინც იზრდება. სიღარიბის გამომწვევი ფაქტორები შეიძლება იყოს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური ან ეკოლოგიური თავისებურებები. სიღარიბე არ არის სტატიკური მდგომარეობა. არსებობს სიღარიბის კიდევ მნიშვნელოვანი განზომილება, რომელსაც ხშირად „სიღარიბის ფემინიზაციას" უწოდებენ. ეს ნიშნავს, რომ ღარიბებში ჭარბობენ ქალები, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორებთან.[2]

საქართველოში სიღარიბე რამდენიმე მაჩვენებლით განისაზღვრება, ესენია: რეგისტრირებული სიღარიბისა და ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები. ყველაზე ზუსტ სურათს ე.წ რეგისტრირებული სიღარიბის მაჩვენებელი გადმოსცემს, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საარსებო შემწეობის მიმღებ მოსახლეობას. აღნიშნულის უკეთ გააზრებაში დაგვეხმარება სიღარიბის მაჩვენებლები რიცხვით გამოხატულებაში.[3] UNICEF-ის კვლევის თანახმად, 2015-2017 წლებში ოჯახების შემოსავალმა მოიმატა, ხარჯები კი შემცირდა, თუმცა სიღარიბე მაინც გაიზარდა.[4] სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში 2018 წელს სიღარიბის მაჩვენებელი შემცირდა. მათივე ცნობით, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: საქართველო - 20,1%, ქალაქი - 18,0%, სოფელი - 23,1%. 2017 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველო - 21,9 %, ქალაქი - 18,6%, ხოლო სოფელი - 26,6% იყო. მედიანური მოხმარების 60% ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი ასეთია: საქართველო - 20,5%, ქალაქი - 17,2%, სოფელი - 25,4%. რაც შეეხება მედიანური მოხმარების - 40% ქვევით მყოფი მოსახლეობის წილს, ქვეყნის მასშტაბით - 7,6 %, ქალაქად - 6,6%, სოფლად კი - 9,1%.[5]

---

[2] http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-------0-0l--10-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.1&d=HASH6c26c5bbadf508a0f8f921.8.12&gt=1

[3] https://idfi.ge/ge/sdg_essay_goal_1_no_poverty

[4] https://1tv.ge/analytics/gaizarda-tu-ara-sigharibe/

[5] http://www.radioatinati.ge/regioni/article/69091-saqstati-saqarthveloshi-sigharibis-machvenebeli-shemcirda.html

სიღარიბის გამომწვევ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზად უმუშევრობა მიიჩნევა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მონაცემების მიხედვით, 2019 წლის მეორე კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.4 პროცენტი შეადგინა. უმუშევრობის დონე დაბალია სასოფლო დასახლებებში საქალაქო დასახლებებთან შედარებით. 2019 წლის მეორე კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში უმუშევრობის დონე საქალაქო დასახლებებში 0.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო სასოფლო დასახლებებში 0.8 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული.

დიაგრამა 1



საქსტატის მიხედვით, უმუშევრობის დონე კაცებში უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში. (იხ. დიაგრამა 2) 2019 წლის მეორე კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი კაცებში 2.6 პროცენტული პუნქტით მეტია ქალების შესაბამის მაჩვენებელზე. ამასთან, უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქალებში შემცირდა 0.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში – 1.1 პროცენტული პუნქტით.

დიაგრამა 2.



რაც შეეხება საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ სიღარიბის მაჩვენებლებს, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მყოფი მოსახლეობის წილი ასეთია[6]:

ცხრილი 1.

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%)*

წელი	ქალაქი	სოფელი	ასაკობრივი ჯგუფი			სქესი		საქართველო
			0 - 17	18 - 64	65 +	ქალი	მამაკაცი	
2004	34,4	34,1	37,7	33,3	32,9	34,2	34,4	34,3
2005	37,3	33,0	38,9	34,9	32,7	35,6	35,3	35,4
2006	39,5	33,5	40,7	36,3	34,0	37,1	36,7	36,9
2007	37,6	40,3	42,7	38,2	36,0	38,9	38,7	38,8
2008	32,0	38,7	39,1	34,5	31,0	35,0	34,9	34,9
2009	33,0	37,5	38,7	35,0	29,5	34,6	35,2	34,9
2010	32,7	43,3	41,5	37,3	31,8	36,8	37,9	37,3
2011	31,3	37,7	37,7	34,2	28,6	34,0	34,3	34,1
2012	26,3	35,0	34,7	29,8	24,1	30,0	30,1	30,0
2013	20,8	33,4	29,9	26,5	19,6	25,8	26,7	26,2
2014	19,0	29,4	28,3	23,3	17,6	23,3	23,7	23,5
2015**	18,0	26,4	24,2	22,0	16,4	21,3	22,0	21,6
2016	18,0	27,4	26,4	21,9	16,1	21,2	22,9	22,0
2017	18,6	26,6	26,0	21,7	16,5	21,6	22,4	21,9
2018	18,0	23,1	25,5	19,5	14,4	20,2	20,0	20,1

* 2004-2016 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით; 2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

** სიღარიბის ზღვრის გაანგარიშების საბაზისო წელი

მართალია, 2018 წელს ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა წინა წლებთან შედარებით, თუმცა ეს არ გვაძლევს სახარბიელო სურათს.

[6] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done

რაც შეეხება ინფლაციას, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში 0.4 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 7 პროცენტი შეადგინა. მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ სასაქონლო ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები - ფასების 12.3% ზრდა; ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო - ფასების 15.6% ზრდა; დასვენება, გართობა და კულტურა - ფასების 6.9% ზრდა; ტრანსპორტი - ფასების 2.9% ზრდა; სასტუმროები, კაფეები და რესტორნები - ფასების 7.9% ზრდა.[7]

ამრიგად, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ კონკრეტული დასკვნები და წინადადებები:

- საქართველოსთვის სიღარიბე, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, უმწვავეს სოციალურ პრობლემას წარმოადგენს, რაც ნათლად დასტურდება წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაციებით;

- სიღარიბის გამომწვევი უმთავრესი ფაქტორი უმუშევრობაა. უმუშევრობა და მაღალანაზღაურებადი სამსახურების ნაკლებობაა იმის ძირითადი მიზეზი, რის გამოც საქართველოში მცხოვრები ოჯახები თავს ვერ აღწევენ სიღარიბეს. საქართველოში მოსახლეობის დასაქმების სფეროში არსებული ვითარება არასახარბიელოა. აქედან გამომდინარე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს უმუშევრობის დაძლევის საკითხებს. ისიც ცხადია, რომ სიღარიბის დაძლევა მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის გარეშე შეუძლებელია. უმუშევრობის შემცირება, უპირველეს ყოვლისა შესაძლებელია ქვეყანაში წარმოების განვითარებით, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებითა, რომლის შედეგადაც უნდა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები;

- სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვანი მიმართულებაა შემოსავლების განაწილების სამართლიანი და ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირების მიზნით მთავრობამ

[7] https://forbes.ge/blog/443/inflacia-2019-wlis-bolos

შესაბამისი დახმარება უნდა გაუწიოს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებს, მაგრამ ეს დახმარებები მოშიმშილეთა მყისიერ დახმარებასთან ერთად ორიენტირებული უნდა იყოს შედარებით ხანგრძლივ შედეგზე. ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურად დაუცველთა დასაქმებას და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალურად დაუცველთა ეკონომიკურ აქტივობას;

- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა სიღარიბის პრობლემების მოგვარებას. წლების განმავლობაში ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ ბავშვთა სიღარიბე უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა ქვეყნისთვის;

- იქიდან გამომდინარე, რომ სიღარიბე უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, აუცილებელია მოსახლეობისთვის მიწოდებული უფასო სამედიცინო სერვისების პაკეტის გაფართოება. იმისთვის, რომ მოსახლეობამ ნაკლებად მიმართოს სამედიცინო დახმარებას, აუცილებელია ჯანმრთელობის დაზოგვის ტექნოლოგიების აქტიურ განვითარება ქვეყანაში;

- შრომის ანაზღაურების სფეროში სიღარიბის შემცირების მთავარი ფაქტორი უნდა იყოს მინიმალური ხელფასის ზრდა და დაბალანაზღაურებადი მუშაკების რაოდენობის შემცირება;

- დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, სიღარიბესთან ბრძოლის მთავარ იარაღს ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს, რაც რეალურად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

ბიბლიოგრაფია:

1. https://idfi.ge/ge/sdg_essay_goal_1_no_poverty
2. https://1tv.ge/analytics/gaizarda-tu-ara-sigharibe/
3. http://www.radioatinati.ge/regioni/article/69091-saqstati-saqarthveloshi-sigharibis-machvenebeli-shemcirda.html
4. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done
5. https://forbes.ge/blog/443/inflacia-2019-wlis-bolos
6. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-------0-0l--10-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.1&d=HASH6c26c5bbadf508a0f8f921.8.12&gt=1

საერთაშორისო სტუდენტური კვლევითი კონფერენცია 2020[1]

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სახელი	**მარიეტა**
გვარი	მუავანაძე
უნივერსიტეტი	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფაკულტეტი	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერება (ფსიქოლოგია)
კურსი	1 კურსი
ქალაქი, ქვეყანა	ქობულეთი, საქართველო

კვლევის სათაური

„თაობათა ურთიერთობა“

„ ლამაზად შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“ ვაჟა-ფშაველა

თაობათა შორის ურთიერთობა ყოველთვის გარკვეულ სირთულეებს შეიცავდა. უძველესი დროიდან მოდის ეს პრობლემა, ვინაიდან, მშობლებს მიაჩნიათ, რომ მათ აქვთ ცხოვრებისეული გამოცდილება და იციან თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ პრობლემებს უკეთ და რა უნდა გააკეთონ შვილებმა. რაც შეუსაბამობაში მოდის შვილების ქმედებებთან. ბავშვებს მიაჩნიათ, რომ ისინი არიან თავისუფლები და შეუძლიათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები რითაც განსაზღვრავენ მათ ყოფას. ამიტომ ხშირია კამათი მშობლებსა და შვილებს შორის. „თაობათა ურთიერთობა მანამდე იქნება პრობლემური, ვიდრე ორივე მხარე ერთმანეთში არ დაინახავს იმ უმნიშვნელოვანესს, რაც პირადად მათ აკლიათ და რაც შეიძლება და აუცილებელიცაა ისწავლონ ერთმანეთისაგან.“ რათქმაუნდა, უფროსმა თაობამ ცხოვრების დიდი გზა გაიარა, მეტი რამ ნახეს და ზოგადად ადამიანური ურთიერთობების მიმართ მეტი ცოდნა აქვთ, მაგრამ ახალგაზრდებს გააჩნიათ ახალი ხედვა, იდეები, თანამადროვე დროის მსოფლმხედველობა, უფრო გაბედულნი არიან

[1]ნაშრომის გვერდების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 5 გვერდს (შრიფტი: Sylfaen; შრიფტის ზომა12; ხაზებს შორის დაშორება 1.5)

და ამასთანავე რადიკალურები ესეც ფაქტია, რაც არ შეიძლება, რომ უგულველყოთ. „პატარამ იმიტომ არ უნდა მოუსმინოს დიდს, რომ ის უფროსია, არამედ იმიტომ, რომ მასში ავტორიტეტს უნდა ხედავდეს.“ მშობელმა აუცილებლად უნდა მოუსმინოს შვილს და შემდეგ შეძლოს სწორი არჩევანის გაკეთება, წინასწარ განჭვრიტოს სასიკეთო შედეგები და დაეხმაროს საზოგადოებაში თავის დამკვიდრებაში. თანამშრომლობა და ურთიერთშვსების საჭიროება უნდა იგრძნოს ორივე მხარემ. ეს ნორმალური ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა. ასეთი ურთიერთობით მარტივია შევიყვაროთ სხვა. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ მასში დავინახეთ განსაკუთრებული ღირებულებები და დავაფასეთ.

დროის მიხედვით იცვლება კონფლიქტის სახე. მაგალითად თუ ადრე მშობლები შვილებს უყვიროდნენ იმის გამო, რომ ეზოში ხშირად თამაშობდნენ და სახლში ნაკლებ დროს ატარებდნენ დღეს პირიქით ხდება. ბავშვები იმაზე მეტ დროს უთმობენ კომპიუტერს ვიდრე წიგნს ან სხვა ფიზიკურ აქტივობას. რაც ხშირად იწვევს მშობლის გაღიზიანებას. რადგან კომპიუტერზე მიჯაჭვულობამ შესაძლოა ბავშვის როგორც ზნეობრივ ასევე გონებრივ განვითარებაზე ცუდი გავლენა მოახდინოს. მართალია ისინი პოულობენ ახალ მეგობრებს, უფრო კომუნიკაბელურები ხდებიან, ავარჯიშებენ გონებას, მაგრამ ხშირად სტრესს ან დეპრესიას ღებულობენ.

და მაინც რატომ არიან ახალგაზრდები ასეთი უბედურნი?! როცა მშობლისგან სიყვარულსა და სითბოს იღებენ. ხშირად მათ შექმნილ პრობლემებს მშობელი აგვარებს და ეხმარება სირთულეების გადალახვაში. როცა მშობელს შეუძლია იყოს საუკეთესო აღმზრდელი და ამასთანავე საუკეთესო მეგობარი შვილისა.

თაობათა კონფლიქტი ჯერ კიდევ „მამათა და შვილთა“ ომის დროს დაიწყო. ძველი და ახალი თაობის პაექრობა 1860-იან წლებში მიმდინარეობდა. როცა ცისკარში დაიბეჭდა თერგდალეულთა წინამძღოლის ილია ჭავჭავაძის კრიტიკული სტატია „ორიოდე სიტყვა თ.რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდან შეშლილის თარგმანზედა“. ეს ბრძოლა უმთავრესად ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების, აგრეთვე ენისა და სტილის საკითხს მოიცავდა. ახალი თაობა მოითხოვდა მწერლობის ხალხთან დაახლოებას, ძველი ენობრივი ნორმების, კერძოდ, ორთოგრაფიული და გრამატიკული არქაიზმის უკუგდებას, ისინი ილაშქრებდნენ ანტონ კათოლიკოსის ავტორიტეტის წინააღმდეგ, უარყოფდნენ მაღალ სტილს და ა.შ ყოველივე ეს მამების უკმაყოფილობას იწვევდა.

უფროსისა და უმცროსის ურთიერთობა ნათლად ჩანს „ოთარაანთ ქვრივში.“ საქმის მეტყველი სული, ყველასთვის მისაბაძი ძლიერი დედა გახლდათ ოთარაანთ ქვრივი. გიორგი კი საუკეთესო მაგალითი ღირსეული შვილისა. ტკბილი, სიყვარულით სავსე ურთიერთობა ჰქონდა დედა-შვილს. მაგრამ, როგორც ჩანს,

ყველას ცხოვრებაში დგება ის ჟამი როცა ხიდი ტყდება. „ვინ შეიძლება იყოს დედა-შვილზე უფრო ახლობელი ერთმანეთისთვის? მაგრამ დგება დრო, როცა ირღვევა ეს ახლობლობა და გაუცხოება ისადგურებს მათ შორის.“ ეს ერთ-ერთი დაუწერელი კანონია ბუნების. „უკან აღარ მოიხედა!..-დაიკვნესა დედამ, ჩემგან მიდის, თითქოს ძაფიც არ იჭერს...“ ოთარაანთ ქვრივს უძნელდებოდა გიორგის გაშვება, თუმცა მას მიაჩნდა, რომ შვილის ბედნიერებისათვის ეს უკეთესი იქნებოდა.

გაუცხოებას თურმე მრავალი მიზეზი უდევს საფუძვლად. ზოგჯერ ეს საფუძველი კლასობრივი სხვაობაა, ზოგჯერ-ადამიანური ღირსება, ზოგჯერ-სიყვარული და ზოგჯერ კიდევ ვინ იცის. რა გამოდის, რომ გაუცხოება ადამიანის არსებობის თვისება ყოფილაო.

ამ თემასთან დაკავშირებით გაიმართა სალონური შეხვედრა, სადაც ლექციას კითხულობდა ფსიქოლოგი: ნათია ფანჯიკიძე. წარმოგიდგენთ მოკლე მიმოხილვას რაც ქალბატონმა ნათიამ ლექციის დროს ისაუბრა.

თაობათა ურთიერთობას აქვს როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარე. დადებითია ძაან ის, რომ ბავშვის განვითარება იწყება, როცა სვამს კითხვებს, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად მეტ მნიშვნელობას იძენს. გვაქვს საკმარისი პასუხი, მთავარია ახალი კითხვის დასმა. თუ არ გვექნება ახალი შეკითხვა არ გვექნება ახალი პასუხი, მაგრამ სწორედ აქ იწყება ჩიხი, როცა ახალი თაობა ხსნის ახალ კარებს და ეშინია მშობელს, რადგან თვლის, რომ არ აქვს საკმარისი ძალა ახლის გასაგებად. ზოგჯერ იმაშიც ეწინააღმდეგებიან, რაც თვითონ გამოუცდიათ და გაუკეთებიათ. ტექნოლოგიების ასე სწრაფად განვითარებამ გაამწვავა ურთიერთობა, ასეთი სხვაობა არ იყო ადრე, ერთ კულტურულ ჭრილში ვითარდებოდნენ. ბოლო დროს მშობელი წუწუნებს, რადგან შემოიჭრა კომპიუტერი და შეიცვალა ბავშვის ქცევა. შეიძლება არ იყოს პათოლოგური დამოკიდებულება და ამიტომ მშობელმა უნდა შეეგუოს, რომ ბავშვი ვითარდება სხვა დროში. მთავარია არ მოხდეს დიდი განხეთქილება და ჰარმონიულად გავაგრძელოთ თანაარსებობა. ყველაზე დიდი პრობლემა მაინც გახლავთ მშობლის შიში. რადგან მათ დროში ჰქონდათ ამის დიდი საფუძველი. (გარეთ გავალ-თბილად ჩაიცვი) და მსგავსი, რაც იწვევს კონფლიქტს მათ შორის, თუმცა ეს შიში ილექება მათ ქვეცნობიერში და სარისკო სიტუაციაში ჩნდება, რომ არცისე გამბედავები არიან და უკან იხევენ.

„გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“--არ შეგვარცხვინო! იღებს ხოლმე საშიშ ფორმებს ერთი ადამიანის სირცხვილი არსებობს სხვის წინაშე, რომელიც არის სოციალური მოვლენა და ადამიანს დაუნდობელს ხდის თავისდაუნებურად. მაგალითად ადრე რაჭაში ერთი გოგონა გათხოვებამდე დაორსულდა. დედამ ეს შეურაწყოფად მიიღო და გადაწყვიტა გოგონასთვის შვილი მოეცილებინა რათა აერიდებინა ხალხის უკმაყოფილება თავიდან. ეს არის უტრირებული მაგალითი, საზოგადოების

სისასტიკე აიძულებს დედას იყოს დამღუპველი შვილისა და შვილიშვილის. ეს რომ დავიყვანოთ სოციალურ ქცევაზე, „ცხრაზე დაბრუნდი, თორემ რას იტყვის ხალხი“, ეს არ არის მისაღები, რადგან ეს ართმევს მას იდენტობას. შეიძლება მე უბრალო სურვილი მქონდა, მაგრამ არ შეგვარცხვინო და შემდეგ სირცხვილის მთელი ნუსხის ჩამოთვლა არის კიდევ ერთი კონფლიქტი.

ბავშვი რომელიც უმეგობრდება განსხვავებულ ადამიანებს, ცდილობს ახალი ცოდნის მიღებას, ინტერესის დაკმაყოფილებას, მშობლებში ეს იწვევს შიშს. (ამასთან ერთად არ წახვიდე, ეს არ გააკეთო რადგან მე გიყვები ყველაფრის შესახებ და აღარ არის საჭირო რაიმე ახალი კითხვა ან ინტერესი გქონდეს) ერევიან შვილის არჩევანშიც. როგორც პროფესიულში ისე სასიყვარულოში, რადგან მათ აქვთ მოწყენილი არარეალიზებული პირადი ცხოვრება და მათი ოცნების ეჭვიანობის გადატანა სურთ თავიანთ შვილებში. მათ ნაცვლად თხოვდებიან და ა.შ. ეს არის „ვამპირულად დაპყრობა“ შვილის ცხოვრების.

შვილებსაც აქვთ პასუხისმგებლობა მშობლების მიმართ. (ისინი არიან ჩემი საყვარელი ხალხი და მე უნდა გავამართლო მათი სურვილები) ხშირად მშობლები ზედმეტად აქებენ ბავშვს ან კარგი პედაგოგიკა მიაჩნიათ აღზრდის საუკეთესო საშუალებად. მაგალითად: ბავშვი 5-ე კლასამდე სწავლობდა კარგად, მაგრამ შემდეგ აიცრუვა გული. ის მიჩვეული იყო ოვაციებს, მაგრამ გახდა (losery) ხელმოცარული და ხვდება, რომ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს იზრდება დათრგუნული დაბალი დაბალი თვითშეფასებით. ამიტომ სჯობს, ბავშვი შევაქოთ კარგი ნიჭიერების გამოვლინებისათვის და არასდროს დავაყენოთ როგორც პირობა. რადგან ყველა ადამიანში არის ნიჭიერება, რომელიც შეუძლის მან აღმოაჩინოს და განავითაროს. მშობლები ცდილობენ ბავშვების ჩარჩოში მოქცევას, რომელიც მათთვის ნიშნავს- როგორია კარგი პიროვნება და ა.შ. მუდმივი შენიშვნებისაგან დათრგუნულ ადამიანს უნდება გახლეჩვა, როცა მას აქვს შეგრძნება: სწორად თუ გავაკეთე, რამე ხოარ შემეშალა და თავის გონებაში 10 000-ჯერ სინჯავს თავის ნათქვამს. და შეეძლო წინ წასული, მაგრამ, რადგან ხშირად იხედება უკან, შეიძლება წინ კედელს შეეხეთქოს ან საერთოდ ვერ წავიდეს წინ.

განავითარო „მე“ რომელიც იწყება გარდატეხის ასაკში, ამდროს მას აქვს ბევრი ამოცანა, ამიტომ ხშირად არის გაღიზიანებული. რათქმაუნდა, ამ დროს არის კონფლიქტი შვილთან, მაგრამ მშობელმა უნდა აცადოს შვილებს გამარჯვება და თან მიახვედრონ, რომ ზოგჯერ დამარცხდებიან. ამ დროს მთელი ძალით ითხოვს თავისუფლებას, ეშინია თავისუფლების და ღლის თავისუფლება, რადგან ეს არის შეუცნობელი სივრცე. ეკამათებიან მშობლებს, მაგრამ ზოგჯერ ისინი იღლებიან ამით და არ აქვთ უნარი გარესამყაროს უთხრან უარი. და კარგ/კეთილ შობლებს იყენებენ ჩამოსაყრდენ კედელად. (ვითომ შენ არ მიშვებ).

თაობათა ურთიერთობა ეს არის დროს მორგებული საკითხი, რომელიც არის ყოველთვის განხილვის საგანი. და იარსებებს მანამ, სანამ დედა-შვილს შორის არ დაიძლევა კონფლიქტის საგანი. მშობელს უნდა შეეძლოს სწორად განჭვრიტოს ის სიახლეები რაც დღეს ხდევა და ზუსტად მოარგოს შვილს და არ აღზარდოს შვილი ისე, როგორც ეს მის დროს ხდებოდა. რადგან ეს გავლენას ახდენს ბავშვის ზნეობრივ და გონებრივ განვითარებაზე და ამავდროულად დიდ გავლენას ახდენს ბავშვის თვითშეფასებაზე. არ შეიძლება უფროსმა დაანგრიოს წმინდა რაც ბავშვს ადრეულ ასაკში გააჩნია, მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინია და ამას უყურებს თავისი საუკუნიდან. ჩემი აზრით, ჩვენი თაობა საკმაოდ ორიგინალურია თავისი ახალი იდეებით, განსხვავებულობით, მეტად გაბედული არიან, არ უშინდებიან ახალ დაბრკოლებებს, გოგონები ქმნიან ოჯახებს მაგრამ პროფესიულ საქმიანობასაც ათავსებენ, მამაკაცები მონაწილეობას ღებულობენ შვილის აღზრდაში და ხელს უწყობენ თავიანთ მეუღლეებს. ცდილობენ დამოუკიდებლად ცხოვრება ისწავლონ, რომ დაიმკვიდრონ საზოგადოებაში ადგილი მარტივად. ამავდროულად დღეს ახალგაზრდებს მეტი მიზანი და პერსპექტივა გააჩნიათ, მაგრამ წინა თაობას, რომ ვკითხოთ ისეთი თინეიჯერები არიან დღეს, რომ არაფერი არ იციან და არც არაფერს აფასებენ. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობენ მათ ჩაცმულობას, რომელიც მათთვის არასასიამოვნოა და ხშირად აკრიტიკებენ ბავშვებს ამის გამო. ისინი მხოლოდ გარე ნიშნების მიხედვით მსჯელობენ და არ აფასებენ მათ შინაგან ბუნება-განწყობილებას. ამიტომ ყველამ უნდა დავაფასოთ ერთმანეთი, ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ზომიერება ყოველივე საქმისა, რომ შემდეგ მათ აღზარდონ მათი შვილები ღირსეულად. და „სხვას ისე მოვექცეთ, როგორც ჩვენ გვინდა, რომ მოგვექცნენ“.

საერთაშორისო სტუდენტური კვლევითი კონფერენცია 2020[1]

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სახელი	**გიორგი**
გვარი	ჯამბრიშვილი
უნივერსიტეტი	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ფაკულტეტი	სოციალურ მეცნიერებათა,ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
კურსი	პირველი
ქალაქი, ქვეყანა	საქართველო, ქალაქი გორი

კვლევის სათაური :

განახლებადი ენერგორესურსების ეკონომიკური ეფექტი საქართველოში

➢

XX საუკუნეში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მრეწველობის მზარდმა აღმავლობამ გაზარდა მოთხოვნილება ენერგორესურსებზე, გაიზარდა ქვანახშირის, ბუნებრივი აირის, ნავთობპროდუქტების და ატომური საწვავის მოხმარება, რის ხარჯზეც შემცირდა ენერგო დეფიციტი, მაგრამ დიდი ზიანი მიადგა გარემოს, რამაც შესაძლებელია გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. დღის წესრიგში დადგა ეკოლოგიურად სუფთა და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების აუცილებლობა. საჭირო გახდა ყურადღება მიქცეოდა მზისა და წყლის ენერგიის მეტად საფუძვლიანად და სრულფასოვნად გამოყენებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიქმნა ჰიდროელექტროსადგურები (წყლის პოტენციური

[1] ნაშრომის გვერდების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 5 გვერდს (შრიფტი: Sylfaen; შრიფტის ზომა 12; ხაზებს შორის დაშორება 1.5)

ენერგია) და მზის ბატარიები (მზის ენერგია). ენერგიის ამ გზით მიღების შესაძლებლობამ ხელი შეუწყო გარემოში საზოგადოებისთვის მავნე ნივთიერებების გამოყოფის შემცირებასა და მოსახლეობის საჭორო ენერგიით უზრუნველყოფას. საქართველოს გააჩნია შემდეგი ენერგორესურსები: მზის ენერგია, რომელიც 108 მეგავატ სიმძლავრის ექვივალენტს წარმოადგენს, ხოლო ქარის ენერგიის ტექნიკური პოტენციალი კი შეადგენს 4.5 მლრდ. კვტ. სთ წელიწადში. საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს შორის გამორჩეულია წყლისა და წყალთან დაკავშირებული რესურსები. საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, მყინვარები, მიწისქვეშა წყლები, ჭაობები) მისი ფართის გათვალისწინებით მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს.

როგორც ცნობილია, მზე ენერგიის ამოუწურვადი წყაროა. დღესდღეობით ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების მზარდი ტემპი გვაძლევს ენერგოდანადგარების გამოყენებით მზის ენერგიის თბურ, ან ელექტრო ენერგიად გარდაქმნის საშუალებას, შესაბამისად, ასხვავებენ მზის თერმულ დანადგარებს და მზის ფოტოელემენტებს (მზის პანელებს). ამ დანადგარებიდან მიღებული თბური და ელექტროენერგიის გამოყენება შესაძლებელია როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე ენერგეტიკული მიზნებისათვის. დანადგარის ეფექტურობა დამოკიდებულია მზის გამოსხივებაზე (მუშა ზედაპირზე დაცემული სხივების დახრის კუთხესა და რაოდენობაზე) და დანადგარის მარგი ქმედების კოეფიციენტზე (მქკ).[2]

ჰიდრო რესურსები

წყალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძალიან საჭირო საშუალებაა ენერგოეფექტურობის მხრივ, წყლის პოტენციური ენერგიის გამოყენებით მომუშავე ჰიდეროელექტროსაგურებიდან აღსანიშნავია ენგურის ჰიდროელექტროსადგური. იგი უდიდესი ჰესია ამიერკავკასიაში, რომელიც მდინარე ენგურზე მდებარეობს (1961-1968 წლები მშენებლობის პერიოდი) და ჰიდროელექტროსადგურების

[2] http://www.eiec.gov.ge/თემები/ენერგია.aspx

კასკადია, რომელშიც შედის თავად ენგურჰესი მისი სიმძლავრე 1300 ათას კვტ. (5 აგრეგატი თითოეული 260 კვტ. სიმძლავრის).

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო სიმძლავრე 1640 ათ. კვტ-ს შეადგენს, საშუალო წლიური გაომუშავება - 5,46 მლრდ კვტ/სთ. ნაგებობათა კომპლექსი ასევე მოიცავს, მიწისქვეშა ჰესს 5 ჰიდროაგრეგატით. [3]

ასე გამოიყურება მდ. ენგურის კასკადის ძირითადი მაჩვენებლები:

ჰესების მიერ გამომუშავებული ენერგია ცხრილი 1.

მზის ენერგია

რაც შეეხება მზის ენერგიას, იგი ყველაზე ეფექტურ და ხშირადმოხმარებად ენერგიას მიეკუთვნეება. 21-ე საუკუნეში თანდათან უფრო მეტად გაიზარდა მზის პანალების გამოყენება, რომელიც ენერგოეფექტურობასთან ერთად, სააგრძნობლად ამცირებს გარემოზე მავნე გავლენას (ატომური ელექტროსადგურები,

ჰესის დასახელება.	კაშხალის სიმაღლე მ.	სიმძლავრე მ.გ.ვ.ტ.	ელექტროენერგიის გამომუშავება კვტ.ს.	წყალსაცავის მოცულობა მლმ³
პარის	173	230	780	240
ტობარის	173	250	810	200
ხაიშის	204	670	1470	445
ხუდონის	196.5	740	1700	364
ენგურის	271.5	2300	4430	1110
ვარდ. I-IV	57.5	220	700	146
	12.0	340	1110	145
მთლიანად კასკადის	-	3530	10281	2404

თბოელექტროსადგურები).

[3] https://ka.wikipedia.org/wiki/ენგურის_ჰიდროელექტროსადგური

2014 წელს, ქალაქ გორის სამხედრო ჰოსპიტალში დამონტაჟდა მზის წყალგამაცხელებელი სისტემა, ამ ენერგოეფექტური ტექნოლოგიის დანერგვით ჰოსპიტალი მნიშვნელოვნად შეამცირებს: ენერგოდანახარჯებს, გადასახადებსა და გარემოზე მავნე ზემოქმედებას.

აღნიშნული წყალამაცხელებელი სისტემა შედგება 72 მ² საერთო ფართის ფირფიტოვანი კოლექტორების მოდულისგან, 2250 ლიტრი ცხელი წყლის მოცულობითი ბოილერებისგან, სატუმბი სადგურებისა და სისტემის ავტომატური მმართავი ბლოკიგან. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად ყოველწლიურად დაიზოგება: 111,000 კვტ/სთ ელექტროენერგია და 88,000 მ³ ბუნებრივი აირი, რაც შეამცირებს ჰოსპიტლის ენერგოგადასახადებს დაახლოებით 88,000 ლარით და ატმოსფეროში CO2 ის ემისიებს 184 ტონით. (პროექტი განახორციელა კავშირმა „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“ BP-მიერ ნავთობისა და გაზის სფეროში, ბიზნეს პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული პროგრამის „განხლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის ახალი პროექტის“ - ფარგლებში.[4]

პრობლემის გადაჭრის გზები

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკმარისი ენერგორესურსი გააჩნია, რათა ენერგომოთხოვნილების დიდი წილი დაიკმაყოფილოს ეკოლოგიურად სუფთა და განახლებადი ენერგიით. ეს საშუალებას მოგვცემს, მაქსიმალურად შევამციროთ გარემოს დაბინძურება და მივიღოთ მეტი ეკოლოგიურად სუფთა ენერგია. მე-20 საუკუნეში მეცნიერებმა საფუძველი ჩაუყარეს განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების ტექნოლოგიების შესწავლასა და პრაქტიკულ გამოყენებას. მიუხედავად ამ ენერგიის გამოყენების ტექნოლოგიური სიძვირისა, ეკონომიკური ეფექტი დადებითია, რადგან მიღებული ენერგია საკმაოდ იაფი ჯდება. ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული 1 კვტ ენერგიის

[4] კვლევა გაკეთებულია ქალაქ გორის სამხედრო ჰოსპიტლის მიერ გამოქვეყნებული საჯარო მონაცემებიდან

ღირებულება - 1,358 თეთრი;[5] თბოელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ენერგიის ღირებულება- 5,96 თეთრი.[6]

ჰიდრო ენერგეტიკის წარმოების განვითარება გაზრდის ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხს. იაფი ელექტროენერგია საკმაოდ მიმზიდველი პროდუქტი იქნება ინვესტიციების მოსაზიდად და ქართული ეკონომიკის ასაღორძინებლად. პრევენციული ღონისძიებები საქართველოს ენერგო-ეკონომიკურ წინსვლაში:

- სახელმწიფომ და კერძო სექტორმა იზრუნონ ჰიდრო და ჰელიო რესურსებით ელექტროენერგიის წარმოების გაზრდაზე;
- საქართველოში დაინერგოს მზის პანალების წარმოება და გამოყენება ელექტროენერგიით მომარაგებისათვის სასწავლო, სამედიცინო, საჯარო და კერძო სექტორში;
- განვითარდეს ელექტრომობილების გასამართი სადგურების ქსელი, გაიზარდოს ელექტროტრანსპორტის გამოყენება;
- მოვახდინოთ ჰელიო სადგურების მიერ წარმოებული ენერგიის აკუმულირება და გამოვიყენოთ დასახლებული პუნქტების ღამის განათებაში.

აღნიშნული ღონისძიებების ყველდღიურ ცხოვრებაში დანერგვით: 1) გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა; 2) შემცირდება ენერგოდეფიციტი; 3) გამარტივდება ობიექტების ცხელი წყლით მომარაგება; 4) შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები.

---

[5] https://sputnik-georgia.ru/economy/20200103/247411995/Snizheny-tarify-na-elektroenergiyu-dlya-Inguri-GES.html ; 1 მარტი 2020 წელი

[6] http://www.bashinform.ru/news/1237729-stoimost-elektroenergii-ot-vozobnovlyaemykh-istochnikov-bashkirii-v-4-raza-vyshe-traditsionnoy/ ; 11 ნოემბერი 2018 წელი

ბიბლიოგრაფია:

1. http://www.eiec.gov.ge/თემები/ენერგია.aspx
2. https://ka.wikipedia.org/wiki/ენგურის_ჰიდროელექტროსადგური, მოძიებულია: 13 თებერვალი, 2020
3. ქალაქ გორის სამხედრო ჰოსპიტლის მიერ გამოქვეყნებული საჯარო მონაცემები
4. https://sputnik-georgia.ru/economy/20200103/247411995/Snizheny-tarify-na-elektroenergiyu-dlya-Inguri-GES.html ; მოძიებულია: 1 მარტი, 2020 წელი
5. http://www.bashinform.ru/news/1237729-stoimost-elektroenergii-ot-vozobnovlyaemykh-istochnikov-bashkirii-v-4-raza-vyshe-traditsionnoy/ ; მოძიებულია: 11 ნოემბერი, 2018 წელი

საერთაშორისო სტუდენტური კვლევითი კონფერენცია 2020[1]

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სახელი	მეგი
გვარი	თაბუკაშვილი
უნივერსიტეტი	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ფაკულტეტი	სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდენობის
კურსი	ეკონომიკის საბაკალავრო, პირველი კურსი
ქალაქი, ქვეყანა	გორი, საქართველო

კვლევის სათაური

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება მომხმარებელთა მომსახურებაში (ქალაქ გორში მოქმედი სააფთიაქო ქსელების მაგალითზე)

➢ XXI საუკუნე ხასიათდება ციფრული ტექნოლოგიების უსწრაფესი განვითარებით. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ და პრაქტიკაში ფართოდ დამკვიდრებამ ასახვა ჰპოვა საცალო სავაჭრო საწარმოთა მომსახურებაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სააფთიაქო ქსელები. კვლევის ობიექტად შევარჩიეთ ქ. არსებული სააფთიაქო ქსელები. ქ. გორში დღეისათვის წარმოდგენილია 5 ძირითადი სააფთიაქო ქსელი. ესენია: ავერსი, იმპექსი, პეესპე, ფარმადეპო და ჯიპისი. აქედან ავერსი 6, იმპექსი - 1, პეესპე - 4, ფარმადეპო - 2, ხოლო ჯიპისი - 3 აფთიაქითაა წარმოდგენილი.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ყველაზე მეტი რაოდენობის აფთიაქებით ქალაქში ავერსია წარმოდგენილი, ყველაზე ნაკლებით კი - იმპექსი. ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა ზემოთ ჩამოთვლილი სააფთიაქო ქსელების ყველა ფილიალი. გარე და შიდა ინტერიერის თვალსაზრისით ყველა აფთიაქი დამაკმაყოფილებელია,

[1] ნაშრომის გვერდების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 5 გვერდს (შრიფტი: Sylfaen; შრიფტის ზომა 12; ხაზებს შორის დაშორება 1.5)

გაფორმებულია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ადგილმდებარეობის თვალსაზრისით აფთიაქების უმრავლესობა ხელსაყრელ ადგილზეა განლაგებული - საავადმყოფოებთან ახლოს ან ყველაზე ხალხმრავალ ცენტრალურ ქუჩებზე.

შესწავლილი სააფთიაქო ქსელების მაგალითზე დადებითად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ყველა მათგანში დანერგილია პლასტიკური ბარათით გადახდის სისტემა და მომხმარებელს საშუალება ეძლევა მოახდინოს შეძენილი მედიკამენტებისა და პროდუქტების ანგარიშსწორება სწრაფად და მარტივად პლასტიკური ბარათით საბანკო ტერმინალის გამოყენებით. ამასთან, აუცილებელია მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი მომხმარებელთა უსაფრთხოების პირობები პლასტიკური ბარათით გადახდის დროს.

ყველა აფთიაქში დაცულია ჩაცმის ეტიკეტი და მომსახურე პერსონალი შესაბამისი კომპანიის ბრენდირებული უნიფორმით ემსახურება მომხმარებლებს. მომხმარებელთან მომსახურების პროცესში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება პერსონალის მხრიდან სამკერდე ბეიჯების ტარებას, სადაც მათი სახელი ან/და გვარია მოცემული. ეს მომსახურების პროცესში წარმოქმნილ გარკვეულ უხერხულობას ხსნის.

შესწავლილ აფთიაქებში მომსახურე პერსონალი მაქსიმალურად ცდილობდა კლიენტთა თავაზიანად მომსახურებას. თუმცა იყო ცალკეული შემთხვევები, როცა ფარმაცევტი გულგრილად და უხეშად მიმართვადა მომხმარებლებს. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც გამყიდველი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ კონკრეტული პროდუქტის მარაგი აფთიაქში ამოიწურა და მომხმარებელს სხვა ფილიალში ამისამართებდა. თუმცა ეს პროდუქტი მოცემულ აფთიაქში აღმოჩნდა. კლიენტთა მომსახურების პროცესში ინტერიერთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აფთიაქში სისუფთავის, ჰიგიენის ნორმების დაცვას. აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც კორონავირუსის გავრცელების გაზრდილი საფრთხის გამო. ამიტომ

აუცილებელია შესაბამისი სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება. ამ მხრივ ყველა აფთიაქში ტარდება შესაბამისი ღონისძიებები.

კლიენტთა მომსახურების პროცესში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე გამყიდველთა მიერ კლიენტთათვის შეძენილი პროდუქციის შესახებ დეტალური ამონაწერის, კალკულაციის გადაცემას ანგარიშსწორებისას. ამონაწერის საშუალებით მომხმარებელს რამდენიმე პროდუქტის შეძენის შემთხვევაში შეუძლია მარტივად დაადგინოს, თუ რა ფასი გადაიხადა და რა ოდენობის ფასდაკლება მიიღო თითოეულ მათგანში. ამასთან, ეს აფთიაქისადმი ერთგვარ ნდობასაც აღვივებს მომხმარებლებში. არის შემთხვევები, როდესაც გამყიდველი ნებსით თუ უნებლიეთ არ აძლევს დეტალურ ამონაბეჭდს მომხმარებელს. ბოლო პერიოდში რამდენიმე აფთიაქმა მომსახურებაში დანერგა SMS ამონაწერი, რომელიც გულისხმობს მომხმარებლის მიერ აფთიაქში შეძენილი პროდუქციის შესახებ დეტალური ამონაწერის მიღებას მომხმარებლის მიერ აფთიაქის ბაზაში დაფიქსირებულ შესაბამისი ტელეფონის ნომერზე SMS სახით. ეს გარკვეულ ხარჯებსაც ამცირებს. ამასთან, მიღებული SMS შენახვა ტელეფონში ბევრად უფრო მოხერხებულია მომხმარებლისთვის. აღნიშნული სისტემა დანერგილი აქვს ფარმადეპოსა და ჯიპისის აფთიაქებს.

სააფთიაქო ქსელების მხრიდან უმნიშვნელოვანესია მომხმარებელთა სატელეფონო და ონლაინ მომსახურებების განვითარება-გაუმჯობესება. ყველა სააფთიაქო ქსელში ამოქმედებულია ტელეფონის ნომერი და მომხმარებელს საშუალება აქვს აფთიაქში ვიზიტამდე გაიგოს პროდუქტის ფასი, არის თუ არა იგი გაყიდვაში კონკრეტულ აფთიაქში და სხვ. ეს ამცირებს მომხმარებელთა ფინანსურ და დროით დანახარჯებს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი სააფთიაქო ქსელებიდან მხოლოდ პეესპესა და ფარმადეპოს აქვთ ცხელი ხაზის ერთიანი სატელეფონო ნომრები, ხოლო ჯიპისის, იმპექსფარმსა და ავერსს გააჩნია ინდივიდუალური სატელეფონო ნომერი თითოეული აფთიაქისთვის, რაც გარკვეულწილად ზრდის ხარჯებს. ერთიან სატელეფონო ნომერზე დაკავშირებით მომხმარებელი ოპერატორის მეშვეობით ადვილად არკვევს არა მხოლოდ

პროდუქტის ფასს, არამედ იმასაც, თუ ქვეყნის მასტშაბით კონკრეტულად რომელ აფთიაქებშია მისი შეძენა შესაძლებელი, რაც ხშირად შეუძლებელია ინდივიდუალურ, კონკრეტული აფთიაქის ნომერზე დაკავშირებისას.

თანამედროვე პირობებში სააფთიაქო ქსელებისთვის უმნიშვნელოვანესია საკუთარი ვებგვერდებისა და სოციალურ ქსელებში (უმთავრესად Facebook-ში) გვერდების არსებობა. ვებგვერდი უნდა იყოს სრულყოფილი, ინფორმაციული, მინიმუმ ორენოვანი, სწრაფად განახლებადი არსებული ცვლილებებისა და გამოწვევების შესაბამისად. ამასთან, ვებგვერდის საშუალებით მომხმარებელს უნდა ჰქონდეს ონლაინ დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობა. სააფთიაქო ქსელებიდან საკუთარ ვებგვერდს ფლობს მხოლოდ ავერსი, პეესპე და ჯიპისი, ხოლო იმპექსფარმსა და ფარმადეპოს ამჟამად ვებგვერდი არ გააჩნიათ. სოციალურ ქსელ Facebook-ში ხუთივე სააფთიაქო ქსელია წარმოდგენილი.

საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების შედეგად გაიზარდა Android, iOS, Microsoft Windows Phone ოპერაციულ სისტემებზე დაფუძნებული მობილური ტელეფონების მომხმარებელთა რაოდენობა. მომხმარებლისთვის სულ უფრო მიმზიდველი ხდება ამა თუ იმ კომპანიის მობილური აპლიკაციის სარგებლობა. ჩვენ მიერ შესწავლილი 5 სააფთიაქო ქსელიდან მობილური აპლიკაცია აქვს მხოლოდ ავერსს, ჯიპისისა და პეესპეს.

რაც შეეხება კლიენტთა ლოიალობის პროგრამებს, ქულების დაგროვებითი სისტემა დანერგილი აქვს ავერსს, ჯიპისისა და პეესპეს, ხოლო ფასდაკლების შეთავაზება კვირის კონკრეტულ დღეებში გააჩნია ყველა სააფთიაქო ქსელს.

მომხმარებელთა მომსახურების პროცესში ხშირად წარმოიშობა რიგების მოწესრიგების პრობლემაც. რიგითი ადამიანი ცხოვრების განმავლობაში, საშუალოდ 3.5 წელს ატარებს რიგში, რაც დაახლოებით 25 ათას საათს უდრის მხოლოდ და მხოლოდ სერვისის მოლოდინში, რაც ზიანს აყენებს როგორც ბიზნესის, ასევე ბრენდის სახეს.[2] აღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზაა აფთიაქებში

[2] http://www.ngt.ge/ge/media/virtual-queue

თანამედროვე ტექნოლოგიების - რიგის მართვის სისტემის დანერგვა. რიგის მართვის სისტემა ადაპტირებულია მომხმარებლის მოთხოვნებზე და ზრუნავს კომფორტული გარემოს შექმნაზე. მისი დანიშნულებაა, ნებისმიერ დაწესებულებაში მარტივად მოაწესრიგოს მომხმარებელთა რიგები, ორგანიზაციას მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებელთა რიგების დატვირთულობის შესახებ დროის სხვადასხვა მონაკვეთისა და ოპერატორის მიხედვით. საქართველოში არაერთ დაწესებულებაში წარმატებით იყენებენ LS-QMS, QMATIC, AKIS MICRO და სხვა სისტემებს. რიგების მარეგულირებელი ონლაინ სისტემა დანერგა პეესპემ, რომელიც მომხმარებელს ატყობინებს მერამდენეა რიგში.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საკითხებიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნები და წარმოვადგინოთ კონკრეტული წინადადებები:

1. აფთიაქებში დასაქმებული ფარმაცევტების მომსახურების ხარისხი მრავალ შემთხვევაში დამაკმაყოფილებელია, თუმცა არის ცალკეული შემთხვევები პერსონალის მხრიდან მომხმარებლების მისმართით აგრესიული, უხეში დამოკიდებულებისა და არაკვალიფიციური მომსახურებისა. აქედან გამომდინარე ხელმძღვანელმა პირებმა უნდა შეისწავლონ და შესაბამისი ღონისძიებები გაატარონ მათ აღსაკვეთად;

2. სააფთიაქო ქსელებში დანერგილია ანგარიშსწორების თანამედროვე ტექნოლოგიები (პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორება), თუმცა ამის პარალელურად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მათი უსაფრთხოების დაცვასაც. განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ თავად მომხმარებლებმა. ბარათი ტერმინალს თავად მომხმარებელმა უნდა დაადოს ან ყურადღება უნდა მიაქციოს, ბარათის CVV/CVC კოდი დაფარული იყოს, რათა უცხო პირმა არ დაიმახსოვროს და არ მოხდეს მისი არაკეთილსინდისიერი მიზნებისთვის გამოყენება;

3. კომპანიებმა ფეხი უნდა აუწყონ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციებს. აუცილებელია ყველა სააფთიაქო ქსელს გააჩნდეს მუდმივად განახლებადი ვებგვერდი ონლაინ დამარების ჩატით, რომლის

საშუალებითაც მომხმარებელი მარტივად მოძებნის სასურველ პროდუქტს და ოპერატიულად მიიღებს საჭირო ინფორმაციას;

4. სასურველია ფარმაცევტული კომპანიების მიერ შეიქმნას მობილური აპლიკაციები, არსებული მობილური აპლიკაციები კი განახლდეს უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით;

5. საჭიროდ მიგვაჩნია აფთიაქებში დაინერგოს რიგის მართვის სისტემები, აგრეთვე რიგების მარეგულირებელი ონლაინ სისტემები;

6. მომხმარებელთა საჭიროებებიდან გამომდინარე სასურველია როგორც აფთიაქები, ისე სატელეფონო ოპერატორები მუშაობდნენ 24/7-ზე რეჟიმით;

7. სასურველია ფასდაკლების სისტემა მოქმედებდეს 24/7 რეჟიმით და არა ამა თუ იმ დღეების მიხედვით. დაავადებამ არ იცის კვირის კონკრეტული დღე;

8. ავერსმა, ჯიპისიმ და ფარმადეპომ სასურველია შექმნას საკუთარი ერთიანი სატელეფონო ცენტრალიზებული სისტემა, სადაც ერთ ნომერზე დარეკვით მომხმარებელი შეძლებს მიიღოს საჭირო ინფორმაცია;

9. სასურველია აფთიაქებმა დანერგონ SMS ამონაწერის სისტემა, რომლის მიხედვითაც მომხმარებელი აფთიაქში შეძენილი პროდუქციის შესახებ დეტალურ ამონაწერს საკუთარი მობილური ტელეფონის ნომერზე მიიღებს;

10. სასურველია გაფართოვდეს, განახლდეს მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამები.

ამრიგად, სააფთიაქო ქსელში მომხმარებელთა მომსახურებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. წარმატებას აღწევს ის, ვინც ფეხს აუწყობს საინფორმაციო ტექნოლოგიებში არსებულ გამოწვევებს და მაქსიმალურად დააკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს მომსახურების ახალი ხერხებითა და საშუალებებით.

ბიბლიოგრაფია:

https://www.aversi.ge/

http://psp.ge/new/

http://gpc.ge/

http://www.ngt.ge/ge/media/virtual-queue

http://www.ngt.ge/ge/direction/cex/cfm

საერთაშორისო სტუდენტური კვლევითი კონფერენცია 2020

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სახელი	ლექსო
გვარი	კულუა
უნივერსიტეტი	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფაკულტეტი	მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა
კურსი	მაგისტრატურა, 1 კურსი
ქალაქი, ქვეყანა	თბილისი, საქართველო

კვლევის სათაური

ქართული სატელევიზიო მედიის ბოლო წლების პრობლემები

➢ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ სამყაროში, სადაც ინტერნეტი და მასობრივი კომუნიკაციის სხვა საშუალებები განვითარების მაღალ საფეხურზე დგას. ამ განვითარებამ შედეგად ის მოიტანა, რომ სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტისა და ტელევიზიის საშუალებით, შესაძლებელია მსოფლიოს ყველა წერტილში მომხდარი მოვლენების გაგება. ქართული სატელევიზიო სივრცე უკანასკნელ ათწლეულში საკმაოდ გაფართოვდა. არამყარი, ეფემერული სატელევიზიო გარემო შედარებით სტაბილურმა ტელეკომპანიებმა ჩაანაცვლა, რომლებიც ცდილობენ, ზოგი გალანტურად, ზოგი კი ეპატაჟურად საკუთარი აუდიტორიის მოზიდვას. რადგან ტელევიზიებისთვი სწორედ აუდიტორია წარმოადგენს ამოსავალ წყაროს როგორც კომერციული, ისე არაკომერციული საქმიანობისა და მიზნებისათვის. ახალი ამბების მიღების მთავარ წყაროდ საქართველოს მოსახლეობა ტელევიზიას ირჩევს, რასაც მოწმობს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI)[1] კვლევა, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის

მიღების ყველაზე მნიშვნელოვანი პირველი წყარო გამოკითხულთა უმრავლესობისთვის (69%) სწორედ ტელევიზიაა.

არსებული პოლიტიკური მდგომარეობისა და კონიუქტურისა გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ როგორც პოლიტიკური გარემო, ასე ქართული მედია-სივრცე (გარემოც) პოლარიზებულია და , რაც ყველაზე ნიშანდობლივია, მედია ჩართულია ამ პოლიტიკურ დაპირისპირებაში, მაშინ როცა, თუ თავისუფალი მედიის პრონციპებიდან გამოვალთ, მედია არა გვევლინებოდეს, რომელიც საზოგადოებას აძლევს იმ იმფორმაციას, რომელიც მას საშუალება მისცემს განსაზღვროს, თუ რა ხდება სინამდვილეში. დაპირისპირების ახალი ტალღა სტარტს იღებს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან.

ამ დაპირისპირებამ მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ განსხვავებული პოლიტიკური ვექტორის მქონე ტელევიზიები მიმდინარე მოვლენებს განსხვავებულად აშუქებენ. მიუხედავად იმისა, რომ ‘’ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისა და კანონმდებლობის ლიბერალიზაციის შემდეგ, ქვეყანაში ტელევიზიების რაოდენობა გაიზარდა,... აღნიშნულმა ტენდენციამ პოზიტიური ზეგავლენა ვერ მოახდინა მედია გარემოს დეპოლიტიზირებაზე"[2].

საქართველოში სატელევიზიო კომპანიების სარედაქციო დამოუკიდებლობა ხშირად კრიტიკის საგანი ხდება, ალბათ იმიტომ, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს, რომ ტელევიზიის ფუნქციონირება შესაძლოა განვიხილოთ როგორც ბიზნეს საქმიანობა.

1988 წელს გამოცემულ წიგნში „მორჩილების წარმოება“ ნოამ ჩომსკი და ედვარდ ჰერმანი ცდილობენ ახსნან მექანიზმები, რომლითაც მოქმედებს მეინსტრიმული ლიბერალური მედია, მმართველი ელიტის ინტერესებისთვის. ისინი მედიას განიხილავენ როგორც ბიზნესს. ედვარდ ჰერმანისა და ნოამ ჩომსკის მიერ შემუშავებული მოდელი კერძო მედიას განიხილავს, როგორც ბიზნესს, სადაც იყიდება პოლიტიკური პროდუქტი (უფრო მეტად ახალი ამბები) მკითხველსა და

აუდიტორიაზე, რომელიც მომზადებულია ბიზნესის მწარმოებლების (რეკლამის სპეციალისტების) მიერ. ეს ნიშნავს, რომ ახალი ამბები ექვემდებარება იმავე მიკერძოებულობას, როგორც ყველა სხვა წარმოებული პროდუქტი, შესაბამსად თუ რას და როგორ გააშუქებენ მედიაკომპანიები დამოკიდებული იქნება მოგების მიღების მოთხოვნილების საფუძველზე. შედეგად ისინი მაყურებლის შესანარჩუნებლად ამახინჯებენ რეალობას, მხარს უჭერენ სპონსორებს, აშუებენ სენსაციურ ისტორიებს, რათა უფრო საინტერესონი გახდნენ, ან თავს არიდებენ ისეთი სიუჟეტის ეთერში გაშვებას, რაც მათ სპონსორს მუქ ფერებში წარმოაჩენს. ჩომსკი ასევე აცხადებს, რომ ახალ ამბებზე გავლენას ახდენს მთავრობა. მოკლედ რომ ვთქვათ იმის გათვალისინებით, რომ მედიაკომპანიებს, როგორც ბიზნეს-კომპანიებს, არსებობისათვის სჭირდებათ სპონსორები, რაც ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს კომპანიის ინტერესებს.

იმავე პათოსს აყალიბებს პროფესორი დემურ გიორხელიძე საკუთარ საგაზეთო სტატიაში, რომელიც 90-იანი წლების ბოლოს გამოაქვეყნა წერს იმ რეალობაზე რაც დღევანდელ მედიასივრცეს სრულიად შეესაბამება: „ფასეულობათა სისტემა, მასობრივი სტერეოტიპები ადამიანებს ხელს უშლის იმის გააზრებაში, რომ „ფულის კეთება“ (კულტურული ფორმით — ბიზნესი) და ინფორმაციის მიწოდება (რომელსაც მიმწოდებელი აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზიითა და იმპერატიული ტონით ახორციელებს) — შეიძლება განუყოფელი იყოს. ბუნებრივია, დღევანდელ მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებას არ გააჩნია ინფორმაციის ნაკადში სწორად ორიენტირების, ინფორმაციის გაფილტვრისა და ურთიერთშეჯერების, ინფორმაციის მიზნებში, ქვეტექსტებსა და ტექსტებში მკაფიოდ გარკვევის უნარი და მას არც არავინ ეხმარება! ამ მდგომარეობაში მყოფი საზოგადოებისათვის, კრიზისული მდგომარეობების წარმოქმნისას, დგება დრო საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღებისა, მაგრამ იგი (საზოგადოება) დგას იმ საშიშროების წინაშე, რომ მიიღოს ეს გადაწყვეტილებები ზედაპირული და ფრაგმენტალური შთაბეჭდილებების საფუძველზე, რადგან ინფორმაციის მასობრივი საშუალებები არ

ახდენენ გააზრებულ ახსნას იმისა, თუ რა ხდება სინამდვილეში, როგორია მიმდინარე მომვლენების შინაარსი, დანახული სხვადასხვა ხედვის წერტილიდან, რათა ადამიანს მიეცეს საშუალება დაფიქრების საფუძველზე შეიქმნას მეტნაკლებად მიახლოებული წარმოდგენა მიმდინარე მოვლენებზე. არა! ამის ნაცვლად, პრაქტიკულად ყველა საინფორმაციო საშუალება საკუთარი მიზნისა თუ იდეა-ფიქსის თავდაუზოგავ მქადაგებლად გვევლინება. შედეგი ჩვენთვის ცნობილია: ყველა კრიტიკულ სიტუაციაში, ქართულმა საზოგადოებამ მიიღო არა გაცნობიერებული და გააზრებული გადაწყვეტილება, არამედ გადაწყვეტილებები, ფორმირებული თვეების განმავლობაში სპეციალური ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით, მათი ცნობიერების ორიენტირებული კორექციის გზით.“

ქართულ მედიაში პრობლემების გაჩენას ხელი შეუწყო პოლიტიკურმა პოლარიზაციამ. პოლიტიკური კონიუქტურიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური ვექტორის მქონე ტელეკომპანიები, რომლებიც მოვლენებს განსხვავებულად აშუქებენ. გამოკვეთილია თვისობრივად განსხვავებული ტელეკომპანიები, მათ შორის პროსახელისუფლებო და ოპოზიციური არხები. მედიები „ყიდიან აუდიტორიებს“, რომლებსაც ისინი იზიდავენ სხვადასხვა გზებით. „მეინსტრიმ მედია, განსაკუთრებით დღის წესრიგის შემქმნელი ელიტარული მედია, რომელსაც მიჰყვებიან, არიან კომპანიები, რომლებიც „ყიდიან“ პრივილეგირებულ აუდიტორიას ბიზნესს.“ - წერს ნოამ ჩომსკი.[4] საქართველოს შემთხვევაში, ორივე მხარე, როგორც პროსახელისუფლებო, ასევე ოპოზიციურს ჰყავს საკუთარი აუდიტორია, რომელსაც „ყიდიან“ დაინტერესებულ სპონსორებზე. ოპოზიციური არხები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ მთავრობის ყოველ ნაბიჯს. „დამოკლეს მახვილივით“ მუდმივ საფრთხეზე აპელირებენ, რომელიც არსებული მთავრობის მმართველობის პირობებში საზოგადოება განიცდის. ხოლო პროსახელისუფლებო არხი ავრცელებს იმ მესიჯებს, რომლებიც მთავრობის „წისქვილზე ასხამს წყალს“. შედეგად პოლარისაცია ახდენს ობიექტურობის

აბსორბაციას. იშვიათია მეინსტრიმ მედიაში დამოუკიდებელი, ობიექტური აზრის მოსმენა, რომელიც არ არის აფილირებული კონკრეტულ მხარესთან. შედეგად საზოგადოებას არ აქვს საშუალება მოისმინოს ობიექტური ანალიზი მიმდინარე მოვლენები და თავად გამოიტანოს დამოუკიდებელი დასკვნები. ამის საპირისპიროდ მეინსტრიმ მედიები უკვე პირდაპირ სთავაზობს საზოგადოებას ერთეული პიროვნებების მიერ შექმნილ აზრს, ხდება მანიპულირება, რაც საზოგადოებრივ აზრად შუქდება. მედიის მხრიდან მანიპულირების მექანიზმზე პროფესორი დემურ გიორხელიძე საკუთარ საგაზეთო სტატიაში წერს: „ადამიანი დაიბნა, ვერ გარკვეულა რა ხდება. საყრდენებს დაუწყო ძებნა, მაგრამ უშედეგოდ! მისთვის ესა თუ ის გამოცემა თუ სატელევიზიო პროგრამა ვერ გახდა დასაყრდენი, სანდო და საიმედო, რომლის გრძელი სადავის ფრთხილ და მოზომილ მოძრაობებს იგი ცნობიერად თუ ინტუიციურად (მაგრამ, ნებით!) დამორჩილდებოდა და ფრთხილი ტონით ნაკარნახევ მიმართულებებს გაითავისებდა. რაკი ასე არ ხდება, და საზოგადოების მაორიენტირებლისა და დამცავის ფუნქცია გამოკვეთილად თავის თავზე არავის აუღია (თავისუფალი მას-მედიის პრეტენზიის მქონე საშუალებებიდან),— საზოგადოება პრაქტიკულად დაუცველი დარჩა არაკეთილსინდისიერი და კორპორაციული ინტერესების გამტარებელი ინფორმაციის მასობრივი საშუალებების წინაშე, რამაც გაადვილა მათი (საზოგადოების) მანიპულირების შესაძლებლობა.“

საზოგადოებრივი აზრი იქმნებოდა და იცვლებოდა ბელადების, მეფეების, რელიგიური ლიდერების მიერ. დღეს კი საზოგადოებრივი აზრზე ზემოქმედების პრივილეგია ყველას აქვს ვისაც ამის საშუალება გააჩნია. ეს დემოკრატიის გამოვლინების ერთ ერთი ნიშანია, რომელშიც ყველას შეუძლია სცადოს დაარწმუნოს სხვები და საკუთარ ხელში აიღოს ლიდერობა საკუთარი თეზისებითან და იდეებიდან გამომდინარე. სწორედ საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას ემსახურება პოლარიზებული მედია, რომელიც მუდმივად ანტაგონისტური პოლიტიკური საქმიანობითაა დაკავებული.

[1]https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/79040-shemcirda-informaciis-pirveltsyarod-televiziis-gamoyeneba-ndoba-r-2-is-da-imedis-mimarth-ndi-s-kvleva-mediaze

[2] იხ. არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კვლევა "ვის ეკუთვნის ქართული მედია".[2] https://www.transparency.ge/ge/post/vis-ekutvnis-kartuli-media?fbclid=IwAR3UqwCu5c9qBnVFBozHxTMNiV6-CNsFqAQFzih6RB0fRSycZkos6GsMRfA

[3][4]http://www.thirdworldtraveler.com/Chomsky/Necessary_Illusions.html

საერთაშორისო სტუდენტური კვლევითი კონფერენცია 2020[1]

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სახელი	მარიამი ნადირაშვილი და ლილი ხაჩიძე
გვარი	
უნივერსიტეტი	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ფაკულტეტი	ეკონომიკის საბაკალავრო
კურსი	3
ქალაქი, ქვეყანა	გორი, საქართველო.

კვლევის სათაური

პანდემიის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები,მისი ზეგავლენა ეკონომიკაზე

➢ კორონავირუსის პანდემია ჩვენი დროის გლობალური ჯანმრთელობის კრიზისია.მიუხედავად ბოლო ათწლეულის მანძილზე მიღწეული დიდი პროგრესისა სამედიცინო, ბიოტექნოლოგიურ სფეროებში, მსოფლიო მაინც ძალზე მოუმზადებელი შეხვდა კორონავირუსის პანდემიას. შესაბამისად, დღეს მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება სრულად გადატანილია ჯანდაცვისა და ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის პრობლემებზე, თუმცა პარალელურად ალბათ უკვე გასაანალიზებელია ამ პანდემიის ეკონომიკური შედეგები; გასათვლელია, თუ რა გავლენას მოახდენს ეს პროცესი მსოფლიო გეოპოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, გარემოს დაცვასა თუ სოციალურ ურთიერთობებზე.კორონარული ვირუსი რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური

[1] ნაშრომის გვერდების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 5 გვერდს (შრიფტი: Sylfaen; შრიფტის ზომა 12; ხაზებს შორის დაშორება 1.5)

ეკონომიკისთვისაც. განვიხილოთ ის სოციალურ ეკონომიკურ შედეგები,რომლებიც შეიძლება მოყვეს პანდემიას .

მსოფლიოს უდიდესი საკონსულტაციო კომპანია McKinsey-ის ექსპერტების აზრით პოსტპანდემიური მსოფლიოს შესახებ ორი სახის პროგნოზის გაკეთებაა შესაძლებელი:1)ოპტიმისტური, რომლის მიხედვითაც მკვეთრ ვარდნას სწრაფი აღდგენა მოჰყვება;2)პესიმისტური, რომლის მიხედვითაც პანდემია მსოფლიო ეკონომიკას რამდენიმე თვით ან კვარტლითაც კი გააჩერებს. ამ თეორიის თანახმად, ახლანდელი მდგომარეობა გადაიზრდება სრულფასოვან ფინანსურ კრიზისში, რომელსაც მასობრივი გაკოტრება, უმუშევრობა და ქვეყნების კეთილდღეობის განადგურება მოჰყვება.

რას ნიშნავს უფრო დეტალურად ოპტიმისტური სცენარი?McKinsey-ის ექსპერტები პანდემიაზე სწრაფი გამარჯვების შედეგებს ასე აყალიბებენ:1)მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში ეპიდემია დამარცხდება 2-3-თვიანი მკაცრი კარანტინით. ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული პერიოდი 2020 წლის მეორე კვარტლამდე გაგრძელდება. ამ შემთხვევაში, მიმდინარე წლის პირველ და მეორე კვარტლებში ჩინეთი მშპ-ს 3.3% -ს დაკარგავს. ამის შემდეგ ის სწრაფად აღდგება და 2019 წლის შემოდგომაზე არსებულ დონეს დაუბრუნდება. მთლიანობაში, ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში ზრდის ტემპის 1%-ზე ნაკლები შემცირება დაფიქსირდება.2)აშშ-ში რეცესია გაცილებით მაღალი იქნება. მეორე კვარტალში მშპ 8%-მდე შემცირდება, რადგან აქ ეპიდემიის მასშტაბი გაცილებით ფართოა ეს იქნება მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ყველაზე ძლიერი ვარდნა, ეპიდემიის შემდეგ ქვეყანა სწრაფად აღდგება, 2019 წლის წარმოების დონის მიღწევა კი 2020 წლის ბოლოს იქნება შესაძლებელი. თუმცა მთელი წლის განმავლობაში აშშ-ის ეკონომიკის ზრდა ნულის ტოლი იქნება.3)გაცილებით ოპტიმისტური სცენარითაც კი, ევროკავშირი უფრო მეტად დაზარალდება: ეკონომიკა მეორე კვარტალში

თითქმის 10% -ს დაკარგავს და სრულად აღდგენას მხოლოდ 2021 წლის დასაწყისში შეძლებს.

McKinsey- ის ექსპერტებისა და სხვა ეკონომისტების აზრით, მთელი რიგი პესიმისტური სცენარიც არსებობს:1)ყველაზე ცუდი სცენარის მიხედვით, ეპიდემიის შეჩერების ყველა მცდელობა ჩაფლავდება. შესაბამისად, მთავრობები საწარმოებისა და ბანკების დახმარებას ვეღარ შეძლებენ. ბევრი მათგანი დაიშლება, რაც მთელ გლობალურ ფინანსურ სისტემასა და წარმოებას გაანადგურებს. კრიზისი იქნება ხანგრძლივი და თვეების განმავლობაში გაგრძელდება.

McKinsey-ის ექსპერტებმა შეისწავლეს ერთ-ერთი ყველაზე რთული სცენარი, რომლის მიხედვითაც ეპიდემიის მეორე ტალღა ეკონომიკის აღდგენისა და ცხოვრების ჩვეულ რიტმთან დაბრუნების პროცესს გაართულებს:1)ჩინეთი ყველას გაასწრებს, მაგრამ მისი ეკონომიკის აღდგენაც მხოლოდ 2021 წლის შუა პერიოდისთვის მოხერხდება. აშშ მთლიანი შიდა პროდუქტის 8%-ს დაკარგავს, ევროკავშირი კი - 10%-ს. ისინი 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2023 წლის ბოლოსთვის დაუბრუნდებიან.

არსებობს კიდევ ასეთი პროგნოზებიც.კერძოდ,მას შემდეგ, რაც საყოველთაო კარანტინი დასრულდება, ამერიკის შეერთებული შტატები უფრო აქტიურად დაადანაშაულებს ჩინეთს გლობალური ეკონომიკური რეცესიის გამოწვევაში, უმუშევრობის ზრდაში, მცირე და საშუალო ბიზნესების გაკოტრებაში, საფონდო ბაზარზე არსებული რეკორდული ვარდნის ინიცირებაში.ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიას ჩინეთის მიმართ შესაძლოა ბევრი სხვა ქვეყანაც შეუერთდეს (განსაკუთრებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნები).მოსალოდნელია, რომ 2020 წლის მეორე ნახევრიდან ჩინეთ-დასავლეთის დიპლომატიური და ეკონომიკური დაპირისპირება გაღრმავდეს, რამაც შეიძლება მნიშვნელოვან ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ გადაწყობას მისცეს ბიძგი.ეს პროცესი ბევრი კომპანიისთვის

გაზრდის ჩინეთში ინვესტიციის რისკს, რაც დამატებით შესაძლებლობებს შეუქმნის განვითარებად ქვეყნებს, მიიზიდონ ისეთი ინვესტიციები, რომლებიც აქამდე ჩინეთისკენ მიდიოდა.ბევრი კომპანია წარმოების ჩინეთიდან საკუთარ ქვეყნაში, ან უფრო უსაფრთხო, ნაკლებრისკიან ქვეყანაში გადატანას დაიწყებს.

სწორედ ესაა მომენტი, როდესაც ბევრ განვითარებად ქვეყანას პოსტსაბჭოთა სივრცეში, ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში, ექნება შესანიშნავი შანსი, მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ეკონომიკურ გადაწყობაში და გამოიყენოს შესაძლებლობები, რომლებიც შესაძლოა არასდროს მისცემიათ.ამ შემთხვევის შედეგად გამარჯვებულები გამოვლენ ის ქვეყნები, რომელთა მთავრობები იქნებიან ეფექტიანები, ეფექტურები, საზრიანები, კარგად მოახდენენ ადაპტირებას ახალ რეალობასთან .

რაც შეეხება საქართველოს, კიდევ ბევრი რამე შეიცვლება უახლოეს თვეებში.თუ აქამდე ჩინეთი და მისი მსგავსი ქვეყნები ნაკლები პოლიტიკური რისკის შემცველ ქვეყნებად ითვლებოდნენ და ამიტომ ინვესტორთა მიმზიდველობაც მაღალი იყო, ახალი კორონავირუსის კრიზისის შედეგად გამოჩნდა, რომ ასეთი ტიპის ქვეყნები ადვილად მალავენ ინფორმაციას, არ აცხადებდნენ საშიშროებებს და პოლიტიკური მიზნების გამო დამატებითი რისკი შეიძლება შეუქმნან ინვესტორებს, საერთაშორისო საზოგადოებას. ამ შემთხვევაში საქართველოს ეძლევა შანსი, გამოჩნდეს უფრო კონკურენტუნარიანი ბევრ ქვეყანასთან შედარებით.

მსოფლიოში მხოლოდ შვიდ ქვეყანას აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ერთდროულად ჩინეთთან და ევროკავშირთან. ამ ქვეყნებს შორის საქართველო საკმაოდ კონკურენტუნარიანად გამოიყურება როგორც გეოგრაფიული მდებარეობის, ასევე ბიზნესის კეთების თვალსაზრისით . იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ჩინეთიდან საწარმოების გამოტანა, სავსებით რეალურია საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის შანსი.

და ბოლოს,მსოფლიოშიც და მათ შორის საქართველოში პანდემიის შედეგად მიღებული დანაკარგი ნებისმიერ შემთხვევაში იქნება, თუმცა მნიშვნელოვანია მის მინიმალიზებაზე ზრუნვა. საჭირო იქნება მწარმოებლებისა და დამსაქმებლების მაქსიმალური ხელშეწყობა, რომ კერძო სექტორმა შეძლოს ამ კრიზისის გადატანა. ხელშეწყობაში იგულისხმება: შერბილებული საბანკო და საგადასახადო რეგულაციები. მთავრობამ მინიმალურ დონემდე უნდა დაიყვანოს ის ვალდებულებები, რომლებიც ამ კომპანიებს აკისრიათ მათ წინაშე. ამით ბიზნესი ნაკლები დანაკარგებით შეძლებს გადარჩენას.პანდემიის შემდგომი ჩვენი განვითარებაც უნდა დაეფუძნოს სახელმწიფოს წამყვან როლს და სოლიდარულ საზოგადოებას. მრავალი საკითხის გადაფასება მოგვიწევს, მათ შორის დარწმუნება სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი საქმიანობის ეფექტიანობაში და ეს რწმენა შექმნის ფუნდამენტს ახალი სოციალურ-ეკონომიკური მოდელის შესაქმნელად.

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები

https://forbes.ge/news/8192/Coronaekonomika

https://www.interpressnews.ge/ka/article/591467-eka-lekashvili-pandemia-saxelmcipota-upro-met-koordinirebul-kmedebas-moitxovs-da-am-omshi-nebismieri-kveqnis-gamarjveba-nishnavs-msoplios-gamarjvebas/

https://www.radiotavisupleba.ge/

https://commersant.ge/ge/post/shecvlis-tu-ara-pandemia-msoflios-ras-amboben-ekonomistebi-da-filosofosebi

https://www.entrepreneur.com/article/349299

საერთაშორისო სტუდენტური კვლევითი კონფერენცია 2020

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სახელი	მარიამ
გვარი	მარტიაშვილი
უნივერსიტეტი	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ფაკულტეტი	სამართალმცოდნეობის საბაკალავრო
კურსი	მეორე
ქალაქი, ქვეყანა	გორი, საქართველო

კვლევის სათაური- ,,არა ქალკვლას“

➢

,, არა ქალკვლას“

1.შესავალი

ალბათ, მშვიდ ქვეყანაში ცხოვრება თითქმის ყველა ადამიანის სურვილს წარმოადგენს, მაგრამ იქ, სადაც მილიონობით ადამიანი ცხოვრობს სხვადასხვა შეხედულებებითა და ფასეულობებით შეუძლებელია თუნდაც ხანგრძლივ მშვიდობისმყოფელობაზე ფიქრი. ხშირ შემთხვევაში სწორედ აზრთა და შეხედულებათა განსხვავებულობა ხდება ისეთი გახშირებული პრობლემების საფუძველი, როგორიცაა ქალთა მიმართ ძალადობა, გენდერული თანასწორობა, სექსუალური თუ სხვა სახის შევიწროება, რომლებიც დროის სვლასთან ერთად არათუ კარგავს აქტუალურობას, არამედ რჩება ერთ-ერთ გადაუჭრელ და ,,მარადმწვანე'' პრობლემად.საბედნიეროდ, მსგავსი პრობლემები არ რჩება მსოფლიოს თვალთახედვის მიღმა და გამონაკლის არც დღევანდელობა წარმოადგენს, თუმცა ეს დიდად არაფერს ცვლის, რადგან ქალთა მიმართ ძალადობის

გახშირებული შემთხვევების მიღმა ძალიან ბევრი მიზეზია, რომლებიც იმდენად ღრმადაა ფესვგადგმული, რომ ამ პრობლემის აღმოფხვრისათვის რთულად დასაძლევ ბარიერს ქმნის. ცხადია, კარგი საკანონმდებლო რეგულირება ნიშნავს, იმას რომ საზოგადოებაში ერთი მხრივ არის ინფორმაცია ამ ტიპის დანაშაულის შესახებ და მეორე მხრივ სახელმწიფო ახდენს ეფექტურ რეაგირებას, თუმცა როდესაც ვსაუბრობთ ფემიციდზე და მსგავსი ტიპის დანაშაულზე მთავარი არის სახელმწიფოს მხრიდან დაცვისა და დახმარების ღონისძიებების ეფექტურობა და საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების, სტიგმების დამარცხება.

2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებანი და ფემიციდის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები

სახელმწიფოს ვალდებულება, რეაგირება მოახდინოს ქალთა მიმართ ძალადობაზე და მათ შორის ქალების გენდერული ნიშნით მკვლელობაზე, გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებიდან, რომელთა თანახმადაც სახელმწიფო ვალდებულია თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირები დაიცვას, დანაშაულის ჩამდენი პირები კი დასაჯოს და უზრუნველყოს მსხვერპლები კომპენსაციით, თუმცა ქალთა მიმართ ძალადობას არ გააჩნია შემაკავებელი ფაქტორები და გვხვდება როგორც დაბალი სოციალური მდგომარეობის, ასევე ეკონომიურად ძლიერ და უზრუნველყოფილ ოჯახებში. აღნიშნული წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც მოითხოვს აქტიურ ძალისხმევას და გრძელვადიანი ღონისძიებების განხორციელებას სახელმწიფოს, სამოქალაქო სექტორისა და ფართო საზოგადოების მხრიდან. ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირების კუთხით მნიშვნელოვანია შემდეგი სტანდარტები: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ქალის მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW) და ქალის მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის

პრაქტიკა, გაეროს, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ორგანიზების ანგარიშები,ინტერ-ამერიკული სასამართლოს პრაქტიკა, რეკომენდაციები და სხვა.

ქალის მიმართ ძალადობა ქმედებების ფართო სპექტრს მოიცავს - დაწყებული სიტყვიერი შევიწროებით და ემოციური ძალადობის სხვა ფორმებით, დამთავრებული ყოველდღიური ფიზიკური ან სექსუალური ძალადობით. აღნიშნულ ქმედებებს კი ბოლოს მივყავართ ქალთა მკვლელობამდე, ანუ ფემიციდამდე. ფემიციდის მსხვერპლი ქალების 70% სიკვდილამდე იყო დაქვემდებარებული მათი მკვლელი პარტნიორების მიერ ფიზიკურ ძალადობას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მსხვერპლის მიმართ ძალადობა არის ფემიციდის უპირველესი რისკ ფაქტორი.[1] დაფნე პროექტი 2007-2013 (Daphne Project 2007-2013) მოიცავდა კვლევას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ინტიმურ-პარტნიორულ ურთიერთობებთან დაკავშირებული მკვლელობების შესახებ. კვლევამ შემაშფოთებელი შედეგები აჩვენა: ევროპაში ყოველწლიურად 3 500 ადამიანის სიკვდილი უკავშირდება ინტიმურ-პარტნიორულ ურთიერთობებს, რაც დღეში 9 გარდაცვლილ ადამიანს ნიშნავს. აღნიშნული მონაცემების მიხედვით 9 გარდაცვლილიდან 7 ქალია.[2]

საქართველოს სახალხო დამცველის, 2015 წლის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, რომელიც ქალთა უფლებრივ მდგომარეობას ეხება, საანგარიშო პერიოდში შემაშფოთებელი იყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მასშტაბები და სიმძაფრე. 2015 წელს ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტებზე გამოძიება 26 სისხლის სამართალის საქმეზე დაიწყო. აქედან, 14 შემთხვევა ოჯახში ძალადობის პირობებში იქნა ჩადენილი[3]

---

[1] Campbell J. C., Risk Factors for Femicide in Abusive Relationships: Results From a Multisite Case Control Study, American Journal of Public Health. 2003; გვ. 93

[2] PROJECT DAPHNE,. The research uses official data from national countries and from international sources (Eurostat, WHO, UNODC-HEUNI, Interpol). Spinelli, B: "Femicide and Feminicide in Europe. Gender-motivated killings of women as a result of intimate Partner of intimate partner violence", Expert Paper, October 2011, გვ. 7.

[3] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ,,ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა", 2016 წელი, გვ.36.

3.უახლოესი წარსულის კვლევა და „საიას“ რეკომენდაციები

2017 წლის 27 მარტს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია გამართა: „ოჯახში ძალადობა, ოჯახური დანაშაული და ქალთა მიმართ ძალადობა.“ ანგარიშში, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, საუბარია მამაკაცის მიერ ქალის ცემის, ფეხმძიმე ცოლის მიმართ განხორციელებული ძალადობის, ბენზინის გამოყენებით ქალის დაწვის, სერიოზული ფსიქოლოგიური ძალადობის, მოკვლის მუქარისა და ოჯახის ფარგლებში ძალადობის განხორციელების სხვა შემთხვევებზე.დაკვირვების შედეგად, გამოვავლინეთ შემდეგი მიგნებები:

- ხშირად, ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე მოსამართლეები ადეკვატურად არ აფასებენ არსებულ საფრთხეებს და ბრალდებულებს დაუსაბუთებლად, ლმობიერ აღკვეთის ღონისძიებებს უფარდებენ. ამით პოტენციური საფრთხე ექმნება ძალადობის მსხვერპლი ქალების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. წინა საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი არასათანადო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი;

- ასევე, ამ ტიპის დანაშაულებთან მიმართებით პრობლემურია სასჯელის ადეკვატურობა. გამამტყუნებელი განაჩენებისა და დანაშაულის სერიოზულობის მიუხედავად, მოსამართლეებს უჭირთ მოძალადეების მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება;

- კვლევამ აჩვენა, რომ პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებისათვის გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულების გამოკვლევა და შეფასება კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ არცერთ შემთხვევაში, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე, დანაშაულის დაკვალიფიცირება

არ მომხდარა დისკრიმინაციულ დანაშაულად. (არ მომხდარა მითითება სსკ-ის 53-ე მუხლის 31 პუნქტზე). მიუხედავად საქმეში არსებული გენდერული დისკრიმინაციის მოტივის მიმანიშნებელი გარემოებებისა, პროკურორებისა და მოსამართლეების ანალიზი ამ კუთხით მსჯელობას არ მოიცავს; - დაფიქსირდა არასრული, მსუბუქი კვალიფიკაციის ორი შემთხვევა ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეზე, რაც პროკურორის არაეფექტურ და ხარვეზიან საქმიანობაზე მიანიშნებს;

2009 წელს ჩატარებული ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ეროვნული კვლევის თანახმად, ქალების 6.9%-ს პარტნიორის/მეუღლის მხრიდან გამოცდილი აქვს ფიზიკური ძალადობა, ხოლო 3.9% სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გამხდარა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2013 წლის კვლევის მიხედვით კი, ქალთა და გოგონათა 35% ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე განიცდის ფიზიკურ ან/და სექსუალურ ძალადობას. საქართველოს სახალხო დამცველის „ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სპეციალური ანგარიშის“ მიხედვით, 2014 და 2015 წლებში ოჯახში ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები იყო ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა. 2009 წლის ეროვნული კვლევის დროს გამოკითხულ ქალთა პასუხების მიხედვით, ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებული კომპონენტები იყო შეურაცხყოფა (14.3%), დამცირება (5.3%) დაშინება (5.1%) და მუქარა (3.8%). ქალების 35.9%-ის განცხადებით, მათზე ძალადობა ხორციელდებოდა მათი ქცევის კონტროლის მიზნით. ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია არასრული საშუალო განათლების მქონე ქალებში (60%), ვიდრე საშუალო, ტექნიკური ან უმაღლესი განათლების მქონე ქალებში (35%), ხოლო იმ ქალებს შორის, რომლებსაც არ გააჩნიათ შემოსავალი, ეს მაჩვენებელი არის 76.6%.[4]

4. დასკვნა

[4] იხ.ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ (2016 წლის 15-19 თებერვალი):ადამიანის უფლებათა საბჭო 32–ე სხდომა; http://www.parliament.ge/uploads/other/75/75719.pdf (26.11.19)

ვფიქრობ, ნებისმიერი პრობლემა მარტივად მოგვარებადი მაშინ გახდება, როცა დროული მცდელობების შედეგად აზრი არ იქცევა მყარ შეხედულებად, რადგან მიუხედავად საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ დონეზე გასატარებელი თუ გატარებული რეფორმებისა, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს.ხშირ შემთხვევაში შვილი სარკეა ოჯახისა, აქედან გამომდინარე ოჯახის როლიც დიდია ,,მომავლის“ აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ოჯახიც ამ არასწორი შეხედულებების ,,ჭაობშია ჩაძირული“ სკოლა რჩება გამოსავალ საშუალებად, სწორედ სკოლაში უნდა ხდებოდეს გახშირებულ და აქტუალურ თემებზე მსჯელობა, ცნობიერების ამაღლება. ბავშვებმა უნდა შეძლონ თავისუფლად საკუთარი აზრის დაფიქსირება, რომ თუ ისინი არასწორად ფიქრობენ დროულად ეშველოს ამ პრობლემას. საბოლოოდ, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა, გენდერული თანასწორობა, სექსუალური თუ სხვა სახის შევიწროებები, საკუთარი უფლებების მიმართ ცნობიერების დაბალი დონე, არასწორი შეხედულებები გენდერულ თანასწორობაზე, ნაადრევი ქორწინება, ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის დაბალი დონე მანამდე დარჩება მოუგვარებად პრობლემად, სანამ იარსებებს ის შეხედულება, რომ ძალადობა მხოლოდ დაზარალებულის პირადულ პრობლემას წარმოადაგენს.

და ბოლოს ,,მშვიდობა მხოლოდ თანასწორებს შორის არის შესაძლებელი“.